# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 მარტი, 2006 წელი.

№ 53 (5391)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.



## „ჩა-დი, მო-ე-სვი, გა-და-დე-ქი!..“

იხ. მე-2 გვ.

## ქარიშხალი ჭიქა წყალში,



ანუ სანაგვის პოლიტიკის ტრანსფორმაცია ბაზრის პოლიტიკაში

იხ. მე-5-6 გვ.

## მორიგი „ჯახი“ პარლამენტში

იხ. მე-3 გვ.

## „გონს მოდით, სამგლე გოჭებივით ნუ ხართ ატეხილი!“

იხ. მე-3 გვ.

## ზვიად ძიძიგური: „ხომ არ დადგა დრო, მზადება დავიწყოთ რევოლუციისთვის?“



იხ. მე-2 გვ.

## ხიდების დიდოსტატი, კაცობაში – ეტალონი



იხ. მე-14 გვ.

⊙ სხვისი კარიკატურა ფიქრთ ასაშლელად



დიმიტრი დრაზდოვი (რუსეთი).



## რა შემოგვინახეს პიერლუიჯის ფოტოებმა

იხ. მე-11 გვ.

## დღეს ლუკაშენკო დაჭმუჭნილი საყელოთი აღარ დადის...



იხ. მე-5-6 გვ.

◉ კანონმდებლები

# ისევ ჩქარობენ?

**გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა კანონპროექტი საგადასახადო კოდექსის შესახებ მესამე მოსმენით განიხილა. პირველად ამ კანონპროექტზე კომიტეტმა დეკემბერში იმსჯელა, როცა იგი პარლამენტში შემოვიდა, მეორედ — ორი კვირის წინ, მესამედ კი, როგორც მოგახსენეთ — გუშინ.**

კომიტეტი ოთხშაბათიდან შემოვიდა ბებს, რომელიც ძირითადად დოკუმენტაციის წარმოებას ეხება, პარასკევს პლენარულ სხდომას წარუდგენს, სადაც ამ საკითხის განხილვა დაიწყება, თუმცა პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვის დაწყებას ოპოზიცია ეწინააღმდეგება. საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, რომ პირველი მოსმენით პრინციპების განხილვა ხდება და ამ თვალსაზრისით ეს საკითხი განსახილველად მოუმზადებელია, ოპოზიცია კი მიიჩნევს, რომ საგადასახადო კოდექსის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი ასე ნაჩქარევად განხილვა არ შეიძლება. არადა, გასული წლის დეკემბერში სწორედ ამ მიზეზით გადაიდო საგადასახადო კოდექსის განხილვა. მას შემდეგ, რაც კოდექსი გადაიდო, სამი თვე გავიდა, მაგრამ საპარლამენტო ოპოზიციის აზრით, საკითხი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

**მამუკა კაციტაძე, „მემარჯვენე ოპოზიცია":** „ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს საკითხი კომიტეტში ჯეროვნად არ არის განხილული. მაგალითად, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა იგი თხუთმეტ წუთში განიხილა. ეს არის სერიოზული დოკუმენტი, ეს არის ძალიან სერიოზული თემა. ამიტომ ვთვლით, რომ მიდგომა საჭიროა. კომიტეტებში მოუმზადებელი საკითხის სესიაზე გატანა პროცედურული დარღვევაა — აცხადებენ, პრინციპების დონეზე ვიხილავთ და მეტი დრო არ არის საჭიროო. თუ პრინციპების დონეზე დაარღვიეს, მერე მუხლებში და პუნქტებში ლაპარაკი რას უშველის? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ასეთ უმნიშვნელოვანეს კანონს უკანონოდ დავამტკიცებთ, რაც, თავისთავად, იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მისი კანონიერების საკითხის დასმა შესაძლებელი იქნება".

ასეა თუ ისე, პარასკევს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საგადასახადო კოდექსის განხილვა დაიწყება. ეკონომიკა, ბიუჯეტი, საგადასახადო პოლიტიკა იმდენად მნიშვნელოვანი სფეროებია, რომ იმედი ვიქონიოთ, კანონმდებლები მას „თხუთმეტ წუთში" არ გადაახტებიან.

**მზია გელენავა**

◉ პროტესტი

**ჩავრთოთ. აინთება ОП. ვაჭერთ ИТ: აინთება 00; ავკრიფოთ თანხა. დავაჭიროთ ПИ. აინთება 0, დავაჭიროთ ПИ. აინთება „უდრის" და დავაჭიროთ ИТ-ს. ჩეკი ამოიბეჭდება. თუ თანხა შეგვეშალა ამობეჭდვამდე დავაჭიროთ АН.**

**ყოველდღიური ანგარიში: ვაჭერთ РЕЖ-ს 2-ჯერ, აინთება АД. ვაჭერთ ИТ — აინთება ПРОГ. ვაჭერთ ПИ, აინთება ПО. ვაჭერთ ИТ და ამოიბეჭდება ყოველდღიური ანგარიში.**

ეს იმ სალარო აპარატის მოხმარების წესია, რომლის სავაჭრო ობიექტებზე დადგმის აუცილებლობის მთავრობისეულ კანონს უკვე რამდენიმე კვირაა პარლამენტის შენობის წინ ოპოზიციური პარტიები და ბაზრობათა მოვაჭრეები ხალხმრავალი მიტინგებით აპროტესტებენ. გუშინდელ აქციაზე კი ამ ადამიანთა რიცხვმა თხუთმეტი ათასს გადააჭარბა.

დედაქალაქური მიტინგის კვალად საპროტესტო აქციები სხვადასხვა რეგიონში: ოზურგეთში, სამტრედიაში, სენაკში და სხვაგან მიმდინარეობდა. ჭიათურელი, რუსთაველი და ხაშურელი მოვაჭრეები კი პარლამენტის წინ მიმდინარე აქციას შემოუერთდნენ.

**გუშინდელი მიტინგი ოპოზიციური სპექტრის გამსხვილებითა და გამრავალფეროვნებითაც გამოირჩა:** პარლამენტის შენობის წინ ლეიბორისტებისა და კონსერვატორების გარდა, „ახალი მემარჯვენეები" თავიანთი ლიდერით — მენარმე — გამოჩნდნენ, მოვიდნენ „ემიგრანტი" ოპოზიციონერებიც: კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია და გია მაისაშვილი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ირაკლი წერეთლის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და აკაკი ასათიანის „სახალხო ფრონტი" მიტინგზე სრული შემადგენლობით გამოცხადდნენ. აქციაზე მოვიდა მხცოვანი ოპოზიციონერი ნოდარ ნათაძეც.

ლეიბორისტმა პაატა ჯიბლაძემ, რომელსაც მიმდინარე აქციების უცვლელი წამყვანობის გამო, ხუმრობით, „დიჯეი ჯიბოსაც" ეძახიან, **საუბარი იმ თემით დაიწყო, გუშინ სამტრედიაში მიმდინარე აქცია კრიმინალურმა პოლიციამ რომ დაარბია და მიტინგის მონაწილე მანდილოსნები მანქანაში ძალის გამოყენებით „ჩატენა".** ჯიბლაძემ ამ პოლიციელებს „ოჯახში გაუზრდელები" უწოდა და ხაზი იმასაც გაუსვა, სხვადასხვა ქალაქიდან ხალხს თბილისურ აქციასთან შემოერთება უნდა, მაგრამ ხელისუფლება მას ამის საშუალებას არ აძლევს და ყველა ხერხის გამოყენებით გზას უკეტავსო.

ჯიბლაძემ, ტრადიციულად ხალხისგან მოწვდილი წერილებიც წაიკითხა, რომელთაგანაც რამდენიმე ფრიად ორიგინალური და რადიკალურიც გამოდგა.

**ის ხალხი, რეგიონებში რომ მართავენ აქციებს, აქ გამოიყვანეთ და გველეშაპს (მიხეილ სააკაშვილი იგულისხმება) თავს რომ წავაცლით, სხვა წვრილი თავები მერე თავისით დაცვივდებაო, — ეწერა ერთ-ერთ უსტარში, რომელიც აქციის სიღრმიდან პირადად შალვა ნათელაშვილის სახელზე გამოგზავნეს.**

**მომიტინგეებმა თავიანთ წერილებში პრეზიდენტი ლუარსაბ თათქარიძესა და ნიკიტა ხრუშჩოვსაც შეადარეს.**

ჩვეულ გაფრთხილებებს გაისმა პარლამენტის წინ უხვად მყოფი პოლიციელების მიმართაც. გუშინდელ აქციაზე მათ ჭკუა ნოდარ ნათაძემ დაარიგა, **თქვენ დანაშაულებრივ ბრძანებებს მოგცემენ და არ შეასრულოთ, თორემ პასუხისმგებლები თავადვე იქნებითო.**

ნათაძემ მიხეილ სააკაშვილს „გათამამებული, უპასუხისმგებლო ლაწირაკი" უწოდა და თქვა, ჩვენი პრობლემები ძალის ფონზე უნდა გადავწყვიტოთო.



## „წა-დი, მო-უ-სვი, გა-და-დე-ქი!.."

საგულისხმო გუშინდელ აქციაზე ისიც იყო, რომ ოპოზიციის ლიდერები ხალხს დაეკითხნენ, ხმამაღალი პოლიტიკური განცხადებები გავაკეთოთ თუ არაო და რაკი მომიტინგეთაგან ერთსულოვანი თანხმობა მიიღეს, გულდას თავი მოხსნეს და სხვადასხვა პოლიტიკური მოთხოვნებიც ნიაღვარივით წამოვიდა.

**— მთელი მსოფლიოა იმის მოწმე, რომ ჩვენ, ოპოზიციის ყველა ლიდერი, თავს ვიკავებდით რადიკალური პოლიტიკური მოთხოვნებისაგან, მაგრამ ხელისუფლება სხვა გზას არ გვიტოვებს,** — განაცხადა მშრომელთა თავგადაკლულმა ქომაგმა შალვა ნათელაშვილმა და ხელისუფალთ ომახიანად შესძახა: გეყოფავთ, მოგვცილდით, მოუსვით აქედანო.

„მხოლოდ ორატორული გამოსვლა რომ არ გამოსვლოდა", ნათელაშვილმა გადაწყვიტა „ტყუილს უჯს ხორციანი ბორში ჯობიაო" და აქციაზე ის დოკუმენტაცია წარმოადგინა, რომელსაც „მტარვალმა პრეზიდენტმა იმ დღეებში მოაწერა ხელი, როცა ამდენი ხალხი პარლამენტის წინ დგას და „პურის ფულს ეძებს".

ლეიბორისტ ლიდერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, მიხეილ სააკაშვილს თავისი სარეზერვო ფონდიდან 1 მილიონი ლარი გამოუყვია, იმ ბუკლეტების დასაბეჭდად, სადაც ეწერება „გლეხებმა პეტრუშკა როგორ მოიყვანონ".

მალე ალბათ იმის სასწავლებელ ბროშურებსაც დაგვიბეჭდავენ, ბავშვები როგორ იბადებიანო, — აღნიშნა ნათელაშვილმა.

ასევე სააკაშვილის ბრძანებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 112 ათას ლარი საქართველოს მთავრობის დელეგაციის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტში წასასვლელად. ამ ფაქტს ნათელაშვილმა ასეთი კომენტარი გაუკეთა: **აქ ხომ ყველაფერი გადაწყვიტეს, სალარო აპარატების პრობლემაც მოაგვარეს და ახლა მსოფლიოს ეხმარებიან ეს ჭკუამოკლეებიო.**

ასეთი პრეზიდენტი ახლა თვითმფრინავში უნდა იჯდეს და ჰაერიდან გვემშვიდობებოდესო, — გამოიტანა განაჩენი პირველმა ლეიბორისტმა.

შალვა ნათელაშვილის შემდეგ მიკროფონთან „მემარჯვენე" დავით გამყრელიძე მივიდა, რომელმაც მომიტინგეებს ერთსულოვნებისა და შემართებისთვის მადლობა უძღვნა.

ხელისუფლება და მისი პუბლიცისტები ხშირად ავრცელებენ, თითქოს მე ამ აქციას ვემიჯნები, მაგრამ ეს ტყუილია და თქვენს გვერდით ვდგავარო, დაამშვიდა ხალხი გამყრელიძემ, რომელიც „მსოფლიოს უამრავი ქვეყნის უამრავ ქალაქში ყოფილა, მაგრამ სალარო აპარატი არსად არ უნახავს".

**— არ იფიქროთ, რომ ხელისუფლება მხოლოდ სალარო აპარატებს დასჯერდება. ხვალ ურთულეს ბუღალტერიას მოგთხოვენ. ეს ყველაფერი კი იმისთვის კეთდება, რომ კეზერაშვილმა და მისმა ამფსონებმა, თქვენ ყველანი კრიმინალებად გააქციონ. გაიძულონ, რომ კანონი დაარღვიოთ და მერე დამნაშავეებად გამოგაცხადონ,** — უთხრა ხალხს „ახლების" პირველ კაცმა და მოუწოდა, ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ უკან დაიხიოსო.

პარტია „თავისუფლების" ლიდერს, ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟს, კოკო გამსახურდიას, ბევრი უფიქრია თუ რომელი ისტორიული ფიგურისთვის შეედარებინა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება და ბოლოს **ანალოგია, არც მეტი, არც ნაკლები, ულმობელ არაბ დამპყრობელ მურვან-ყრუსთან უპოვია.**

საზოგადოებრივი მოძრაობა „მომავლის მთავრობის" ლიდერმა გია მაისაშვილმა კი მძაფრი პოლიტიკური მოთხოვნა გააჟღერა: **პრეზიდენტმა მთავრობა სრული შემადგენლობით გადააყენოს, ჩვენთან დიალოგზე წამოვიდეს და ჩვენ მას საქართველოს ძლიერ, ეკონომიკურად წელში გამართულ, წარმატებულ სახელმწიფოდ ქცევის ინსტრუქციას, კონსპექტს მივაწვდითო.**

გუშინდელ აქციას, უკვე მიწურულისკენ, სასამართლო პროცესგამოვლილი მშენებელთა კავშირის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

მომავალი საპროტესტო აქცია პარლამენტის წინ 17 დეკემბერს არის დაგეგმილი.

**ჯაბა ხუბუა**



◉ ინფორმაცია

## პრეზიდენტი საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას ითხოვს

**საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელი ბრძანებულებით, ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა ვადამდე ადრე უნდა გაუქმდეს.**

**ასევე, პრეზიდენტის ბრძანებულებით, ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს პრეზიდენტის 2006 წლის 26 თებერვალს გამოცემული ბრძანებულება, რომლის მიხედვით, ხელვაჩაურის რაიონში საგანგებო ვითარება იქნა შემოღებული. აღნიშნული ბრძანებულება პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინება.**

## 50-ე სკოლაში სასწავლო პროცესის აღდგენა ვერ მოხერხდა

**თბილისის 50-ე სკოლაში სასწავლო პროცესის აღდგენა გუშინ ვერ მოხერხდა.**

**სკოლის დირექტორის განცხადებით, ამის მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ მშობლები გამოკვლევების შედეგებს ელოდებოდნენ. რამდენიმე დღის წინათ ჩატარებული ანალიზების პასუხი უკვე ცნობილია. 800 ბავშვიდან სტაფილოკოკი 15-ს აღმოაჩნდა, თუმცა მსუბუქ ფორმებში, რაც ექიმთა თქმით, პანიკის საბაბს არ იძლევა.**

**სკოლის დირექტორი იმედოვნებს, რომ სასწავლო პროცესი დღეიდან მაინც აღდგება.**



**7 მარტს, თბილისის 50-ე საშუალო სკოლის მოსწავლე - 12 წლის თამთა ქუხილავა სტაფილოკოკით გარდაიცვალა. 11 მარტს კი გვიან ღამით, 7 წლის დიანა ბერიძე სავარაუდოდ პნევმონიით დაიღუპა. ამ ფაქტების გამო 50-ე სკოლის მოსწავლეების მშობლები პანიკამ მოიცვა. თბილისის 50-ე საშუალო სკოლაში მწვავე რესპირატორული ინფექციის გამოვლენის შემდეგ, ინფექციურ საავადმყოფოს, გამოკვლევის ჩასატარებლად ასობით ადამიანმა მიაკითხა.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ ოპოზიცია

# ზვიად ძიძიგური:

# „ხომ არ დადგა დრო, მზადება დავიწყოთ რევოლუციისთვის?"



**პარლამენტის ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი" აცხადებს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები ნაციონალური მოძრაობის მიერ წარდგენილი პირებით დაკომპლექტდა. ფრაქციის წევრები მუდმივად აღნიშნავდნენ, რომ სახელისუფლებო პარტია აპირებდა, თავისი აქტივისტებით შეევსო საარჩევნო სისტემა, რაც არჩევნების გასაყალბებლად ყველა საჭირო ბერკეტს ჩაუგდებდა ხელში.** მაშინ, როცა გია ქავთარაძე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობიდან მინისტრთა კაბინეტში გადაანაცვლეს, ოპოზიციონერები ამბობდნენ, იგი სინამდვილეში კი არ დააწინაურეს, საარჩევნო სისტემას ჩამოაშორეს, რადგან ნაციონალური მოძრაობის ბრძანებების მორჩილად შესრულებაზე უარს ამბობდა. მის ნაცვლად დანიშნული გურამ ჩალაგაშვილი, ზვიად ძიძიგურის თქმით, პარტიულ დავალებებს განუხრელად ითვალისწინებს. ამის ერთ-ერთი დასტურია საოლქო კომისიების დაკომპლექტება არა კანონით გათვალისწინებული წესების თანახმად, არამედ ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ოფისების სურვილით. მართალია, კონკურსი ჩატარდა, მაგრამ კახა კუკავა ირწმუნება, რომ კანდიდატები ტესტირებისას მიღებული ქულების მიხედვით არ აურჩევიათ. ამ თემაზე გუშინ „დემოკრატიულმა ფრონტმა" ბრიფინგი გამართა.

საოლქო საარჩევნო კომისიების დასაკომპლექტებლად გამართულ კონკურსამდე რამდენიმე კვირით ადრე კონსერვატიული პარტიისთვის ცნობილი გახდა იმ პირთა ვინაობა, რომელთა დანიშვნაც იგეგმებოდა სამტრედიის ერთ-ერთი საოლქო კომისიის წევრებად. მოპოვებული ინფორმაცია გადაეცა არასამთავრობო ორგანიზაციებს („ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას", „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრს", „კონსტიტუციის 42-ე მუხლს") და დაილუქა. სათანადოდ გაფორმებული, ბეჭედდასმული კონვერტები გუშინ ჟურნალისტების თვალწინ გახსნეს ზვიად ძიძიგურმა, კახა კუკავამ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ანა დოლიძემ. წინასწარ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ცესკოს სამტრედიის 54-ე საარჩევნო ოლქში მმართველი პარტიის მიერ წარდგენილი ექვსი კანდიდატიდან (ახობაძე, ლალაძე, ლომაია, სიხარულიძე, ხუჭუა, მეტრეველი) ხუთი უნდა დაენიშნა კომისიის წევრებად (შეგახსენებთ, რომ საოლქო კომისიები სწორედ ხუთ-ხუთი წევრისგან შედგება). ცესკოს სხდომამ კონსერვატორთა პროგნოზი დაადასტურა — აღნიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებად სწორედ ზემოთ დასახელებული პირები შეირჩა მეტრეველის გამოკლებით. კონსერვატორებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებასაც, რომ დაწუნებულ კანდიდატებს შერჩეულებზე მეტი ქულები მიუღიათ. მაგალითად ალ. დგებუაძეს შვიდი ქულით გადაუჭარბებია ახობაძისთვის, მაგრამ მაინც ეს უკანასკნელი დაინიშნა საოლქო კომისიის წევრად.

კონსერვატიული პარტიის წევრები შეშფოთებას გამოთქვამენ ცესკოს მიერ ერთპარტიული კომისიების დანიშვნასთან დაკავშირებით და მკაცრ, ადეკვატურ სამართლებრივ რეაგირებას მოითხოვენ. მათი დასკვნით, ამით ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ არჩევნების გაყალბებას აპირებს. ზვიად ძიძიგურის თქმით, ისინი აპირებენ, მიმართონ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას იმის გამო, რომ მოქალაქეებს წართმეული აქვთ არჩევანის უფლება. მანამდე კი კონსერვატორები გურამ ჩალაგაშვილისაგან ელიან პასუხს შეკითხვაზე:

— საოლქო კომისიების ამგვარად დაკომპლექტება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ დროა, ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა შევწყვიტოთ არჩევნებისთვის მზადება და სანაცვლოდ მოვემზადოთ რევოლუციისთვის?

**რუსუდან გახარია**

◎ ვიზიტი



# „საქართველოს მნიშვნელობა რეგიონის ფარგლებს სცილდება“

**ამერიკის მთავრობა საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას უჭერს მხარს.**

ამის შესახებ საქართველოში ვიზიტად მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში დანიელ ფრიდმა სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტ ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

– კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გეგმას არა აქვს ალტერნატივა. ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება კატასტროფული იქნებოდა, – განაცხადა დანიელ ფრიდმა.

ასევე, როგორც დანიელ ფრიდმა აღნიშნა, ამერიკის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

ინტერპრესნიუსი

◎ კანონმდებლები

# მორიგი „ჯახი“ პარლამენტში

**საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე საკონტროლო-სალარო აპარატების დადგმის ვალდებულებისა და მასთან დაკავშირებული სანქციების ამოქმედების ორი თვით გადავადების თაობაზე „კონსერვატიული პარტიის“ საკანონმდებლო ინიციატივას ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა.**

ინციდენტი მას შემდეგ დაიწყო, რაც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა ელდარ კვერნაძემ და თენგიზ გონგაძემ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელს „ლეიბორისტ“ ჯონდი ბაღათურიას „პოლიტიკური პუტანკა“ უწოდეს.

თენგიზ გონგაძემ ჯონდი ბაღათურიას ქაღალდების შეკვრა ესროლა, თუმცა მანდატურების ჩარევის შედეგად აღნიშნული ინციდენტი ხელჩართულ ჩხუბში არ გადაზრდილა.

საპარლამენტო ოპოზიციის მიერ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტზე წარმოდგენილ კანონპროექტში ცვლილებების პროექტის მიხედვით, ინდივიდუალური მეწარმეები და ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას, ორი თვით უნდა გათავისუფლდნენ საკონტროლო-სალარო აპარატების ვალდებულებისგან და შესაბამისად, ორი თვით გადავადდეს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოუყენებლობისთვის დაწესებული ჯარიმები.

როგორც ოპოზიციის წარმომადგენელმა და კანონპროექტის წარმომდგენმა კახა კუკავამ გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე აღნიშნა, ზუსტად ორი თვის ვადაში საქართველოს პარლამენტმა დაზეგვრისა და ადმინისტრირების ალტერნატიული ფორმები უნდა შეიმუშაოს, რომელსაც ჩადებს კანონში და სადავო აღარაფერი იქნება.

საპარლამენტო უმრავლესობა კი გუშინ საპარლამენტო ოპოზიციას ჩრდილოვანი ეკონომიკის ხელშეწყობაში ადანაშაულებდა. მთავრობის პოზიცია კომიტეტის სხდომაზე აბსოლუტურად უცვლელი იყო.

მთავრობა ახლაც აცხადებს, რომ საკონტროლო-სალარო აპარატების შემოღება ქვეყანაში აღრიცხვიანობის მოწესრიგებას უკავშირდება.

– ჩვენ არ გვინდა ჯარიმებით შევავსოთ ბიუჯეტი და არ არის სწორი, როდესაც ბაზრობის თანამშრომლები გამოდიან და აცხადებენ, რომ ისინი აპრიორი საკონტროლო-სალარო აპარატებს დახლებზე ვერ დადგამენ, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა გოცირიძემ.

ინტერპრესნიუსი



◎ ინფორმაცია

## გრიპთან ხუმრობა არ შეიძლება

ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის ხელმძღვანელის ზურაბ ლაკერბაიას მონაწილეობით სოხუმში ფრინველის გრიპის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები შეიტანეს.

მარაგში 60 ლ სადეზინფექციო საშუალება, დეზააპარატები „სოლო“, ასევე 40 ხელი სპეციალური ტანსაცმელი და 55 წყვილი ჩექმა აღმოჩნდა.

აფხაზეთის ვეტერინარულ სამსახურს 10 ათასი ცოფის საწინააღმდეგო, სულ 600 ათასი რუბლის ღირებულების ათასი ვაქცინაც ერგო.

## კანონპროექტს ვენეციის კომისიის სხდომაზე განიხილავენ

საქართველოს იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე და მინისტრის მოადგილე კონსტანტინე ვარძელაშვილი დღეს ვენეციაში მიემგზავრებიან, სადაც 17–18 მარტს დაგეგმილ ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის სხდომაზე „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს დაზარალებულთა ბინადრობისა და საკუთრების რესტიტუციის შესახებ კანონის“ პროექტს წარადგენენ.

საქართველოს ხელისუფლების თხოვნით, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის ექსპერტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი კანონპროექტის შემუშავების პროცესში. პროექტში ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

კანონპროექტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში მომზადდა, ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა ქონების რესტიტუციასთან დაკავშირებულ საკითხებსა და პროცედურებს განსაზღვრავს. მასში გათვალისწინებულია ბინადრობისა და ქონებრივ საკითხთა კომისიის პარიტეტულ საწყისებზე შექმნა, რომელიც ქართული და ოსური მხარეებისა, ასევე სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება.

კანონპროექტზე მუშაობის პროცესში ვენეციის კომისიის დელეგაცია, კომისიის მდივნის ჯანი ბუკიკიოს ხელმძღვანელობით, საქართველოში ორჯერ იმყოფებოდა.

## სიყალბე არ გაუვიდათ

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ შპს „უნითრეიდის“ ხელმძღვანელ პირთა მიერ ყალბი საგადასახადო დოკუმენტის გამოყენების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. აღნიშნულმა ფირმამ ესპანეთიდან კოსმეტიკური საშუალებები შემოიტანა, ტვირთის განბაჟებისას კი ყალბი დოკუმენტების გამოყენებით საბაჟო გადასახადი შეამცირა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით დაიწყო.

## საბაჟო წესს არღვევდნენ

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ საბაჟო წესის დარღვევის ფაქტზე ორი სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება დაიწყო.

ინდმეწარმე „სულხან რამიშვილმა“ 2004 წლის მაისში დიდი ბრიტანეთიდან 28 080 აშშ დოლარის ღირებულების კარაქი შემოიტანა. ფინანსურმა პოლიციამ გადაამოწმა ეს ინფორმაცია და აღმოაჩინა, რომ რამიშვილმა საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემები შეიტანა და საბაჟო წესი დაარღვია. რეალურად კარაქი 44 400 აშშ დოლარის ღირებულების იყო.

საბაჟო წესი ინდმეწარმე „მამია სვიანიძემაც“ დაარღვია. მან 2004 წლის იანვარში ესპანეთიდან ზეთის ხილი შემოიტანა. სვიანიძემ საბაჟო დეკლარაციაში მიუთითა, რომ ტვირთი 6 800 კილოგრამს იწონიდა და 2 457 აშშ დოლარის ღირებულების იყო. ფინანსურმა პოლიციამ აღნიშნული ინფორმაცია ესპანეთის საბაჟო სამსახურში გადაამოწმა და გამოარკვია, რომ ზეთის ხილი რეალურად 15 984 ევროს ღირებულების იყო და 9 ტონას და 720 კილოგრამს იწონიდა.

ფინანსურ პოლიციაში ორივე ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით დაიწყო, – „საბაჟო წესის დარღვევა“.

ჯი-ეიჩ-ენი.

◎ გვწერენ

# „გონს მოდით, სამგლე გოჭებივით ნუ ხართ ატეხილი!“

**ამოგვივიდა ყელში „ნაციონალების“ სიცრუისა და ტრაბახის მოსმენა, ხმის ჩახლეჩამდე რომ გაჰყვირიან, „ხომ გახსოვთ როგორ ქვეყანაში ვცხოვრობდით და ახლა როგორ ქვეყანაში ვართო“.**

მართალია, კომუნისტებთან და რუსებთან ერთად ვცხოვრობდით, მაგრამ მაშინ სწავლაც უფასო იყო და მკურნალობაც, კანონიც იყო და სამართალიც. ამათ ხელში კი როგორც ვართ, ყველა ხედავს: **გაგვამათხოვრეს, ხალხი შიმშილით ერთმანეთს ეჯუდება. ესენი კი კანში ვეღარ ეტევიან, კისრებს ვეღარ აბრუნებენ. ნუთუ არაფრის რცხვენიათ, ნუთუ ღმერთი არ სწამთ?**

მიხეილ სააკაშვილმა ამაყად განაცხადა, **„ჩემ პრეზიდენტობას ვუძღვნი გაჭირვებულ ხალხსო“**. რომელ გაჭირვებულს დაეხმარა? უფასო სასადილოებს რომ ხსნის, იმას ხომ არ უწოდებს დახმარებას? ნუთუ ვერ ხვდება, რომ ამათ ერთხელ კიდევ დასცინა და შეურაცხყო ის ადამიანები, რომლებიც, გაჭირვებულები კი არიან, მაგრამ თავმოყვარეობა არ დაუკარგავთ. ის ამას ვერ გაიგებს, რადგან გული არა აქვს. მას რომ გული ჰქონდეს, ერთი წუთით წარმოიდგენდა თავის თავს ჩვენ მდგომარეობაში – 28 ლარით რომ ვცხოვრობთ, მაგრამ სად ახსოვს გაჭირვებული ადამიანები, პირიქით, ისევ იმათ უმატებს ხელფასებს, ვისაც ისედაც თავზე გადასდის.

**ბრძანებს, ეკონომიკურად ვძლიერდებითო, ბიუჯეტი 5-ჯერ გაიზარდაო. კი, მაგრამ სად მიდის ის ბიუჯეტი? ნუთუ 5-ჯერ გაზრდილი ბიუჯეტიდან არაფრის გამოყოფა არ შეიძლება გაჭირვებული ხალხისთვის?**

იგორ გიორგაძემაც კი დახმარების ხელი გაუწოდა გოგიტა მურცხვალაძეს და თვეში 500 ლარი პენსია დაუნიშნა მის ავადმყოფ შვილს, მანვე იკისრა მკურნალობის ხარჯებიც. ბატონი პრეზიდენტი შვილების პატრონია და ნუთუ ჩვენი პრეზიდენტი იმ კაცის მდგომარეობაში არ უნდა შესულიყო, რომელმაც 21 ლიტრი სისხლი გაყიდა, შვილისთვის წამალი რომ ეყიდა?

თუმცა ჩვენთვის სად სცალია, უკრაინისა და ბელორუსიის საქმეებს არჩევს. ნათქვამია: „ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო“. ასეა ჩვენი ხელისუფლების საქმე. საკუთარი ხალხისთვის ვერ მოუვლიათ და სხვის საქმეებში ურევენ ხელს.

**14 ლარი მოგვიმატეს და სულ იმას გაჰყვირიან, პენსიები გავაორმაგეთო (იმას კი არ ამბობენ, რომ თვითონ, ბოზოლებმა, ხელფასები გაიასმაგესძ. აღარ მინდა, ბატონო, ის 14 ლარი, მთავრობისთვის შემიწევია, ბიუჯეტში შეიტანეთ ან უმრავლესობის წევრებს გადაუნაწილეთ.**

პრეზიდენტო, თქვენ პრეზიდენტობას გაჭირვებულ ხალხს კი არა, პირად ანგარიშსწორებას უძღვნით. გელაშვილი ცემით კინაღამ მოკლეს. მაინც ვერ გავიგეთ, რა დააშავეს მირცხულავამ და მოლაშვილმა, ისინი პირადად პრეზიდენტის პატიმრები არიან. მოლაშვილს „სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება“ წაუყენეს ბრალად და 8 წელი მიუსაჯეს.

**პრეზიდენტმა ისიც თქვა, „ერთი ქურდი აღარ გაიჭაჭანებს ჩვენს ქვეყანაშიო“. მაგას რა სჯობია, მაგრამ ჯერ მთავრობა გაწმინდეთ ქურდებისაგან, ნარკომანებისა და მკვლელებისაგან.**

რა უფლებით ჰყიდიან ობიექტებს ასე განუკითხავად! მთელი თბილისი გაყიდეს, მთელი ზღვისპირეთი გაყიდეს. ამით პარლამენტარებიც კარგად ითბობენ ხელს: ჩალის ფასად ყიდულობენ და მამასისხლად ჰყიდიან. ამას კორუფცია არ ჰქვია?

პრეზიდენტმა გამოსვლისას რუსთაველის გამონათქვამი მოიშველია: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონებიო“, რაც **მისმა ხელისუფლებამ შებრუნებით გაიგო – გაჭირვებულებს ართმევენ და მილიონერებს აძლევენ.**

ამდაგვარადვე გაიგეს „რუსთაველის“ გამონათქვამი: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა – ღირსებას“: უნივერსიტეტი გაანადგურეს, ჩვენი საამაყო პროფესორ-მასწავლებლები გარეთ გამოყარეს, სკოლები შეამცირეს... **რომელ ნიჭსა და ფართო გზაზეა ლაპარაკი.**

გონს მოდით, სამგლე გოჭებივით ნუ ხართ ატეხილი, საზღვარი ყველაფერს აქვს.

**გვეყო ამდენი მოთმენა,**
**ყველაფერსა აქვს საზღვარი,**
**წყალი თუ ჯებირს გადმოვა,**
**შედეგი იცით, რაც არი.**

**ელეონორა მძელური,**
მარტოხელა პენსიონერი.

◎ გვწერენ

## არასამთავრობოებმა საპროტესტო აქცია გამართეს

კახეთის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ინიციატივით, სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, გუშინ გურჯაანში საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციაში მონაწილეობდნენ შვილმკვდარი დედები, რომელთა საქმეებიც დღემდე გაუხსნელია.

აქციის მონაწილეებმა ვანო მერაბიშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. ისინი არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციას გაეგზავნება.

ჯი-ეიჩ-ენი.

# განჩინება

## გაკოტრების მმართველის დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი 13 მარტი, 2006 წ.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ი. ადეიშვილმა ერთპიროვნულად განვიხილე სს „თბილგაზის“ გაკოტრების მმართველის დანიშვნის საკითხი.**

**სარეზოლუციო ნაწილი**

ვიხელმძღვანელე რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“

საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით

**დავადგინე**

1. სს „თბილგაზის“ გაკოტრების მმართველი გიორგი გვიჩიანი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან;

2. სს „თბილგაზის“ გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ილია ბასიშვილი (დაბ. 04.09.1968 ქ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, დიღმის მეურნეობა, კორპ. 2, პროფესია – ენერგეტიკოსიძ;

განემარტოს გაკოტრების მმართველს თავისი უფლებები და მოვალეობები;

3. დაევალოს ილია ბასიშვილს გამოაქვეყნოს განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად;

4. სს „თბილგაზის“ კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2006 წლის 21 მარტს, 11 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში;

5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის.

**ი. ადეიშვილი, მოსამართლე**

⊙ თემა

# გაზს „თქვენობით“ უნდა ველაპარაკოთ

**საქართველო ბუნებრივ გაზს 45 წელია იყენებს. გაზი მიეწოდებოდა აზერბაიჯანიდან ყარაბაღის საბადოებიდან, შემდეგ – ირანიდან, ხოლო 1963 წლიდან – რუსეთიდან ორი შტო მაგისტრალური გაზსადენით. ბოლო ხანებში გაზის შეფერხებით მოწოდება გახშირდა, რისი ძირითადი მიზეზიც ის არის, რომ გაზი მხოლოდ ერთი წყაროდან მოგვეწოდება და მოქმედი მაგისტრალური გაზსადენების ავარიის შემთხვევაში ალტერნატიული წყაროს უქონლობის გამო ქვეყანა ველარ იღებდა გაზს გარკვეულ პერიოდში. ამჟამად ენერგეტიკის სამინისტრომ ზომები მიიღო და აღდგა ძველად არსებული მაგისტრალური გაზსადენი აზერბაიჯანიდან, ირანიდან. წლის ბოლოს უნდა დამთავრდეს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ბაქო-თბილისი-ერზერუმის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა, რაც გაზის ახალი წყაროს გამონახვის საშუალებას შექმნის. ისე რომ, ამ საკითხის მოგვარება უახლოეს დროში მოხდება. გაზის შეფერხებით მოწოდების მეორე მხარე კი ქვეყნის გაზის მეურნეობის გაუმართავი მუშაობაა.**



საქართველოში გაზიფიკაციის სამუშაოების და ბუნებრივი გაზის მიღების პირველი დღიდანვე, 40 წლის განმავლობაში, ვმუშაობდი სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. სისტემას სათავეში ედგა მაღალკვალიფიციური ინჟინერი, შესანიშნავი პიროვნება, ნიჭიერი ხელმძღვანელი, ორი ათეული წლის საწარმოო გამოცდილების მქონე ბატონი გიორგი ბარძიმოვი, რომელიც, სამწუხაროდ, ადრე, 67 წლის ასაკში, 1977 წელს გარდაიცვალა.

1957-1977 წლებში, ქ. თბილისის და რუსთავის შემდეგ, მთელ საქართველოში გაზიფიკაციის სამუშაოები ჩქარი ტემპებით მიმდინარეობდა. ამ ახალი დარგისთვის სპეციალისტების მომზადებით, მყარი ინფრასტრუქტურის შექმნით, თავდადებული შრომისუნარიანი ხელმძღვანელობით, 20 წელიწადში საბინაო ფონდის გაზიფიცირების დონემ 92 პროცენტს მიაღწია, ქვეყნის საწვავის ბალანსში კი ბუნებრივი გაზის წილმა 60 პროცენტი შეადგინა. დარგი ერთ-ერთ მოწინავედ ითვლებოდა, ხოლო საკავშირო მასშტაბით კარგ მაჩვენებლად. გაზი შეუფერხებლად მიეწოდებოდა, მთლიანად გაზის მეურნეობა უსაფრთხოდ, თითქმის უავარიოდ და რენტაბელურად მუშაობდა. ზეგეგმითი მოგება წელიწადში 3-6 მილიონს შეადგენდა. დროულად სრულდებოდა ბიუჯეტისადმი ვალდებულება.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა აღვნიშნო საქართველოს გაზიფიკაციისა და გაზმომარაგების საქმის ერთ სისტემაში არსებობა. „საქმთავარგაზში“ თავმოყრილი იყო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების და გასაშვებ-გასამართი სამუშაოების წარმოება, მთლიანად გაზის მეურნეობის ექსპლუატაცია ქალაქ თბილისის ჩათვლით. დიდი ყურადღება ექცეოდა სპეციალისტების კვალიფიკაციის სისტემატურად ამაღლებას, საამისოდ მთავარ სამმართველოსთან არსებობდა სასწავლო ცენტრი, მაღალ დონეზე იყო დაყენებული საავარიო სამსახური. აქ მუშაობდნენ მხოლოდ სათანადო დოკუმენტის მქონე სპეციალისტები.

ამჟამად ეს დარგი სავალალო მდგომარეობაშია. ხშირი ავარიების გამო გაზის მიწოდება ფერხდება, დიდია გაზის დანაკარგები ქუჩის გაზსადენების ქსელში. 2-3 თვეში ერთხელ ბინებში გაზის აპარატურის პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების წლობით არსებული წესი მოიშალა, გაზის სათბობი აპარატურის მონტაჟს მოსახლეობა გაზის მეურნეობასთან შეუთანხმებლად, კერძო პირების საშუალებით აკეთებს, ამიტომ ხშირია ავარია, რასაც მსხვერპლი მოსდევს (ბოლო წლებში 62 ადამიანი დაიღუპა). არ ხდება კადრების გადამზადება, გაზის მეურნეობაში არის კორუფცია, არარენტაბელური მუშაობის გამო ერთი ყველაზე მსხვილი მეურნეობა „თბილგაზი“ გაკოტრდა კიდეც.

უნდა აიკრძალოს ბინებში გაზის აპარატურის მონტაჟი კერძო პირების მიერ. ისინი უნდა დადგან გაზის მეურნეობებმა, მათ უნდა აიყვანონ აღრიცხვაზე და გაუწიონ ზედამხედველობა და პროფილაქტიკური მომსახურება. რაც შეეხება გაზის აპარატურას, მათი შემოტანა ასევე გაზის მეურნეობებს უნდა დაევალოთ. მათ იციან, რა ტიპის და რომელი ქვეყნის გამოშვებულია ვარგისი. თუ რაიმე მოსაზრების გამო მოსახლეობა თვითონ შეიძენს აპარატს, იგი უნდა დაამონტაჟებინოს მხოლოდ გაზის მეურნეობას, აპარატიააყვანინოს აღრიცხვაზე და მაშინ მათ შეიძლება პასუხისმგებლობა მოვთხოვოთ. მომავალში გაზის აპარატურის წარმოება რესპუბლიკის ფირმებს შეიძლება დაევალოთ, ისე, როგორც ძველად იყო. თბილისში არსებობდა გაზის აპარატურის ქარხანა, რომელიც უშვებდა გაზქურებს, გაზის წყლის გამაცხელებლებს, მაგიდის გაზქურებს, რომელთა ხარისხი უზრუნველყოფდა გაზის მეურნეობის უსაფრთხო მუშაობას.

რადგან თბილისში და სხვადასხვა ქალაქში ცალკე უბნებზე გაზსადენების მილებს მუშაობის ნორმატიული ვადა გასდის, ინტენსიურად უნდა გაძლიერდეს პროგნოზირება და დაზიანებული მონაკვეთების გამოვლენა, თანდათან გამოცვლა, რათა ავარიამდე არ მივიყვანოთ.

გაზის მეურნეობის თითქმის მთლიანად გაჩანაგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზები უნდა განახლდეს, უამისოდ ისინი გაზსადენების იმედიანობას და შეუფერხებელ გაზმომარაგებას ვერ შეძლებენ.

ორჯონიკიძე-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის პირველ შტოს მალე უთავდება მუშაობის ნორმატიული ვადა, საჭიროა სათანადო ღონისძიებათა დროულად დასახვა, იმის გათვალისწინებით, რომ ცალკე მონაკვეთების განახლება უნდა მოხდეს გაზის მიწოდების შეუფერხებლად, ტრასაზე ბევრ მონაკვეთზე წინა წლებში წყალდიდობებით დაზიანებული იყო გაზსადენების დამცავი ნაგებობები. მათი აღდგენა არ უნდა შეჩერდეს. ამჟამად მაგისტრალური გაზსადენების ექსპლუატაციას აწარმოებს საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ ეს ფუნქცია წაართვა „საქტრანსგაზმრეწვს“, რომელსაც 40 წლის გამოცდილება ჰქონდა. კორპორაციის მუშაობაზე ვერაფერს ვიტყვი, ის კი არის, რომ იქ სუფევდა კორუფცია და მისი ხელმძღვანელი ალეკო გოცირიძე გაქცეულია და მის მიერ უკანონოდ შეძენილი ქონების შესახებ ტელევიზიით ყოველდღეა ლაპარაკი. საქმის გაუმჯობესებისთვის კარგი ხომ არ იქნება თითქმის უფუნქციოდ დარჩენილი „საქტრანსგაზმრეწვის“ კორპორაციის შემადგენლობაში შეყვანა რომელსაც კიდევ შემორჩა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გამართული კომპიუტერული სისტემა, მცირე მაგრამ გამოცდილი კადრები და არცთუ ცუდი ფინანსური მდგომარეობა.

რასაკვირველია ჩვენი რესპუბლიკის მწირი ბიუჯეტის პირობებში ღონისძიებათა ჩატარება უცბათ ვერ მოხერხდება, საჭიროა ინვესტორების მოძებნა, სხვაგვარად შეუფერხებელ გაზმომარაგებას და გაზის მეურნეობის უსაფრთხო და უავარიო მუშაობას ვერ უზრუნველვყოფთ.

შესაძლოა ზოგიერთებმა ჩემი მოსაზრებები არ გაიზიარონ, უზუსტობები შენიშნონ, მოძველებულ შეხედულებად მიიჩნიონ. ამისათვის ნუ დამზრახავენ, მათ შევახსენებ, რომ იცვლება საზოგადოებრივი ფორმაცია – სახელმწიფოებრივი წყობილება. გაზთან დაკავშირებით კი შეცვლა საჭირო არ არის. როგორც საქართველოში გაზის მიღებისას კიევიდან ჩამოსულმა გამოცდილმა სპეციალისტმა გვითხრა, გაზს „თქვენობით“ უნდა ველაპარაკოთ.

**ლევან ედილაშვილი,**
**დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, დამსახურებული ინჟინერი.**

⊙ კითხული კაცის აზრი

# რაც დროზე ავაშენებთ, მით უკეთესი

**მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის კეთილდღეობას და უსაფრთხოებას ენერგორესურსების სტაბილური მიწოდება და მოხმარება განსაზღვრავს. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მქონე ქვეყნებში აღნიშნული პრობლემა წყდება სარეზერვო ნავთობისა და გაზის საცავებით, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სახელმწიფოს სტრატეგიულ მარაგებს. ამასთანავე მსოფლიოში მიწისქვეშა გაზსაცავების არსებობა რენტაბელურია.**

მიწისქვეშა გაზსაცავებად ძირითადად გამოიყენება ნავთობის გამომუშავებული საბადოები წყალშემცველ და მარილშემცველ ფენებში, ასევე ნავთობის დამუშავებულ ფენებში. მიწისქვეშა გაზსაცავები ფართოდაა გავრცელებული, მაგალითად, აშშ-ში არის 487 გაზსაცავი, კანადაში – 42, გერმანიაში – 31, რუსეთში – 27, საფრანგეთში – 15, უკრაინაში – 13, აზერბაიჯანში – 2 და ა.შ.

ამიერკავკასიაში სულ 3 მიწისქვეშა გაზსაცავია, აქედან 2 აზერბაიჯანში და 1 სომხეთში. თურქეთში სტამბოლის მახლობლადაც მიმდინარეობს გაზსაცავის მშენებლობა.

რა მდგომარეობაა ჩვენთან?

საქართველოში ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან დაიწყო ზრუნვა გაზსაცავების დაპროექტებაზე. ახლო წარსულში, როცა გ. ვარშალომიძე იყო „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი, მისი ინიციატივით შეიქმნა გაზსაცავის პროექტირების და მშენებლობის სამმართველო (გენდირექტორის მოადგილის ივერი ჭელიძის ხელმძღვანელობით). არსებობს სამგორის სამხრეთ თაღში გერმანელების მიერ შემუშავებული გაზსაცავის პროექტი, რომელმაც ყველა საჭირო ექსპერტიზა გაიარა. მისი მოცულობა 505 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, ხოლო გაზის აქტიური მოცულობა – 230 მილიონ კუბურ მეტრს.

სამგორი-პატარძეული-ნინოწმინდის ნავთობის საბადოების კომპლექსში შესაძლებელია 2-3 მილიარდი კუბმეტრ მიწისქვეშა გაზსაცავის აშენება. 2002-2003 წლებში დანიურმა კომპანიამ ჩაატარა მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები, რომლის საფუძველზე აღნიშნულ საბადოებში შესაძლებელია მიწისქვეშა გაზსაცავების შექმნა, რომელიც საქართველოს უზრუნველყოფს არა მარტო გაზით, არამედ ეს იქნება შესანიშნავი მარეგულირებელი საშუალება ბაქო-თბილისი-ერზრუმის მაგისტრალური მილსადენისთვისაც. იგი მოითხოვს დაახლოებით 60-80 მილიონი დოლარის კაპდაბანდებას, მაგრამ მოგვცემს საკმაოდ დიდ მოგებას. ასეთი გაზსაცავის შექმნა შესაძლებელია დასავლეთ საქართველოშიც ჭალადიდი-ყულევის საბადოებზე. საჭიროა მხოლოდ სს „საქნავთობს“ დაევალოს მისი მშენებლობისთვის სათანადო სახსრების გამოძებნა ადგილობრივი ნავთობმოპოვების ხარჯზე. ნინოწმინდაში ერთდროულად შესაძლებელია ვაწარმოოთ ნავთობისა და გაზის მოპოვება და ამასთანავე ქვედა დამუშავებული ჰორიზონტები გამოყენებულ იქნეს გაზსაცავად.

მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, გაზსაცავებში მოთავსებულ გაზს შეუძლია ქვეყნის ინტერესები 30-90 დღის განმავლობაში დააკმაყოფილოს.

ასეთი გაზსაცავის აშენება რომ აუცილებელია, ამას წინათ ქვეყანაში შექმნილმა ენერგობლოკადამაც გვიჩვენა. მაშ რაღას ველოდებით?



**ირაკლი გოგუაძე,**
**სტუ კათედრის გამგე, პროფესორი.**

⊙ ინფორმაცია

## გორელი ჟურნალისტები დახმარებას ითხოვენ

გორელი ჟურნალისტები მხარდაჭერას უცხადებენ ჟურნალისტ თამარ ოქრუაშვილს, რომელიც აცხადებს, რომ პარლამენტარ ბადრი ნანეტაშვილისგან ზეწოლას და შანტაჟს განიცდის. ჟურნალისტები ქეთევან ახალბედაშვილი და ნანა კახნიაშვილი აცხადებენ, რომ სამი თვის წინ ფინანსურ პოლიციას მიმართეს განცხადებით, რითიც მოითხოვეს შეესწავლათ პარლამენტარის საქმიანობა.

„ბადრი ნანეტაშვილი საკუთარ ტელევიზიაში ტრეფიკინგის პირობებში გვამუშავებდა ყოველგვარი ხელფასის და შრომითი ვალდებულებების გარეშე. ჩვენ ამ დარღვევების თაობაზე მივმართეთ სამართალდამცავ ორგანოებს. ამჟამად, ეს ტელევიზია ყველა საინფორმაციო გამოშვებაში გვლანძღავს. მივმართავთ ყველა ორგანიზაციას დახმარებისთვის და მოვითხოვთ, შეწყვიტოს ტელეკომპანიამ შეურაცხმყოფელი ეპითეტების ხმარება“- აცხადებენ ქეთევან ახალბედაშვილი და ნანა კახნიაშვილი. ისინი სახალხო დამცველთან შეხვედრას ითხოვენ.

## 30 მილიონი ლარი – ელექტროენერგიას

სახელმწიფო ბიუჯეტმა „ენგურჰესის“ გაჩერების პერიოდში თბოელექტროსადგურებიდან ელექტროენერგიის შესასყიდად 30 მილიონი ლარის სუბსიდია გამოყო. ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა. მისი განმარტებით, ენგურჰესის გაჩერებით საქართველოს ენერგოსისტემას პიკური 500-600 მეგავატის ოდენობით სიმძლავრე მოაკლდება. „ენგურჰესის გარეშე მუშაობა ნიშნავს ურეზერვოდ მუშაობას. მინისტრის განცხადებით აღნიშნული ენერგია იმპორტირებული და ენერგობლოკების მიერ გამომუშავებული ენერგიით ჩანაცვლდება.

„ჩავრთავთ სომხეთის იმპორტს 100-120 მეგავატის ოდენობით; ჩაირთვება „თბილსრესის„ მე-3 ან მე-4 ბლოკი, რაც 130 მეგავატს მოგვცემს; ჩაირთვება ასევე მე-9 ენერგობლოკი და გაზოტურბინა, რომელიც ამჟამად ტესტირებას გადის. პარალელურ რეჟიმში ვიმუშავებთ რუსეთის ენერგოსისტემასთან, საიდანაც „კავკასიონისა„ და „სალხინოს„ ელექტროგადამცემი ხაზებით 250 მეგავატი სიმძლავრე შემოვა. პიკურ სიმძლავრეს მოგვცემს „ხრამი-1“, „ხრამი-2“ და გაზოტურბინა. „ხრამი-2“-ის სარეაბილიტაციო სამუშაოების 23 მარტისთვის დასრულდება და მას 50 მეგავატ სიმძლავრით ავამუშავებთ“ – განაცხადა გილაურმა.

მისივე თქმით, აპრილის ბოლოსთვის, როდესაც დათბება და ელექტროენერგიის მოხმარება მნიშვნელოვნად შემცირდება, აღნიშნული სიმძლავრეები ეტაპობრივად გამოირთვება.

## ექსპორტი 100 მეგავატამდე გაიზარდა

აზერბაიჯანში ქართული ელექტროენერგიის ექსპორტი გუშინ 100 მეგავატამდე გაიზარდა. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, აზერბაიჯანში ელექტროენერგიის იმპორტი ენგურჰესის გაჩერებამდე გაგრძელდება, რაც 25-დან 30 მარტამდე იგეგმება.

ჭარბი ელექტროენერგიის იმპორტი აზერბაიჯანში ორი დღის წინათ დაიწყო და საწყის ეტაპზე ის მხოლოდ 30 მეგავატს შეადგენდა.

„ელექტროენერგია აზერბაიჯანს ბარტერული გაცვლის პრინციპით მიეწოდება. მარტის ბოლოს, აპრილის დასაწყისში კავკასიონზე ზვავსაშიშროება იქმნება, შესაბამისად „კავკასიონის“ ელექტროგადამცემ ხაზზე შესაძლოა რაიმე დაზიანება მოხდეს. ამ შემთხვევაში აზერბაიჯანიდან უკან შემოვიტანთ ელექტროენერგიას“ – განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა.

მისივე თქმით, ექსპორტირებული ელექტროენერგიიდან 32 მილიონი კილოვატსაათი აზერბაიჯანს ძველ ვალში გაექვითება, რომელიც საქართველოს მის წინაშე გასულ წლებში დაუგროვდა (მირცხულავას დროს).

**ჯი-ეიჩ-ენი.**

პოზიცია

# ქარიშხალი ჭიქა წყალში,

## ანუ სანაგვის პოლიტიკის ტრანსფორმაცია ბაზრის პოლიტიკაში

**როდესაც ქვეყნის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების 70 პროცენტზე მეტი ვაჭრობისა და მომსახურების სფეროზე მოდის, ნაღდი ფულის მოძრაობაზე კონტროლის დამყარებასა და, ამ მიზნით, სალარო აპარატების გამოყენებას ალტერნატივა არა აქვს. მაგრამ ამ ძალზე საშური საქმის ღია ცის ქვეშ მდგარი მეწარმეებიდან დაწყება, არ გვგონია, რომ გონივრული და რამდენადმე ეფექტური ნაბიჯი იყოს.**

გრძელდება დაპირისპირება ქუჩის მოვაჭრეების დახლებზე სალარო აპარატების დადგმასთან დაკავშირებით. გაისმის მეწარმეების ძალზე დამაფიქრებელი და კატეგორიული განცხადებები იმის თაობაზე, რომ სალარო აპარატების ამუშავების პირობებში ვერ აჩვენებენ მთელ შემოსავალს, მოუწევთ საქმიანობის შეწყვეტა და მშიერი დაურჩებათ ოჯახები. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, სახეზეა შემოსავლების მასობრივი დამალვის საქვეყნოდ აღიარება. განცხადებები უკომენტაროდ დარჩა. არავინ დაინტერესებულა, რა დგას ასეთი საგანგაშო ფაქტების მიღმა.

ძალზე არადამაჯერებლად ჟღერს ყველაფერი ის, რასაც ხელისუფლება დახლებზე დადგმული საკონტროლო სალარო აპარატებისგან ელოდება: ჯამაგირები, სტიპენდიები და პენსიები, კულტურა და ხელოვნება, ჯანმრთელობისა და წესრიგის დაცვა, არმია, გზები, წყალი, განათება და სხვა. ყველაფერი ეს მხოლოდ 10 000 000 ლარად! თუ ამ თანხას გავყოფთ 365 დღეზე და კიდევ დაახლოებით იმ 20 000 წვრილ თუ მსხვილ მეწარმეზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სალარო აპარატების მკაცრად დანიშნულების მიხედვით გამოყენება, მივიღებთ, რომ ერთი მოქმედი საკონტროლო სალარო აპარატი სახელმწიფოს დამატებით მოუტანს მხოლოდ ერთ ლარს, ანუ ერთი კოლოფი იაფფასიანი სიგარეტის ღირებულებას



ყოველდღიურად. ხოლო თუ ამ „დამატებით“ მიღებულ ერთ ლარს ადმინისტრირების, ანუ მის ამოღებაზე გასაწევ ხარჯებსაც გამოვაკლებთ, ძალზე საეჭვო გახდება, სალარო აპარატების ამოქმედებაში წესრიგის დამყარებისათვის მორიგი კამპანიის რაიმე საღ აზრთან სიახლოვე. აღარაფერს ვამბობ იმაზე, შეძლებენ თუ არა სალარო აპარატები ღია ცის ქვეშ, ყინვასა და 40-გრადუსიან სიცხეში შემოსავლების აღრიცხვას. არა გვგონია, რომ ისინი ვინმეს ასეთი რეჟიმებისთვის დაემზადებინოს.

უფრო მეტიც, როდესაც სახელმწიფო სალარო აპარატების ღია ცის ქვეშ დახლებზე დადგმით, ელოდება დამალული 10 მილიონი ლარის ამოღებას, დაპირებული სამ მილიარდიანი ბიუჯეტის პირობებში, ირკვევა, რომ ქვეყანაში თურმე, გადასახადების მხოლოდ 0,3 პროცენტი იმალება და ისიც დახლებზე მოვაჭრეების მიერ(?!ძ ნუთუ მართლა, გადასახადების მხოლოდ 0,3 პროცენტი იმალება ქართულ ეკონომიკაში?

კიდევ უფრო სუსტია ხელისუფლების არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სალარო აპარატების გამოყენება მოაწესრიგებს ბუღალტრულ აღრიცხვას. სალაროს აპარატი აღრიცხვის ინსტრუმენტია და მეტი არაფერი, ისიც აპარატის მკაცრად დანიშნულებით გამოყენების შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იქცევა შემოსავლებისა და გადასახადების დამალვის ძალზე საიმედო საშუალებად. ასე იყო ბოლო წლების განმავლობაში და, როგორც ირკვევა ასეა დღესაც, რადგან იმ რესტორნებსა და სუპერ-მარკეტებში, სადაც შემოსავლების მხოლოდ მეათედი ხვდება ბუღალტრულ აღრიცხვაში, ყველგან საკონტროლო-სალარო აპარატები „მოქმედებენ“, მკაცრი „კონტროლის“ ქვეშ.

ბუღალტერიასთან ხელისუფლების ასეთი „პრინციპული“ დამოკიდებულება ახალი არ არის. გავიხსენოთ საგადასახადო კოდექსის მუხლი, რომლის თანახმად, ჩხოროწყუელი და იორმუღანლოელი ბებიები, რომელთაგან ერთი წინდებს ქსოვს, მეორე კი ცოცხებს წნავს, ვალდებული არიან, აწარმოონ შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვა და საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს ყოველკვარტალურად წარუდგინონ დეკლარაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით. ხოლო თუ ცოცხის დაწნაში მეზობელსაც მოიხმარს და შრომასაც აუნაზღაურებს, მაშინ ბებია სორეიას მოუწევს, ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით წარადგინოს გაანგარიშებები საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ. დღეს კიდევ სალაროს აპარატებიც. ყველაფერ ამას ქვეყნის ფინანსთა მინისტრი მიიჩნევს სამართლიანად. ასეთი სამართლიანი დოკუმენტები ჩვენი გადამხდელებისათვის ახალი სულაც არ არის. იქნებ ვინმეს მართლა ჰგონია, რომ ფიზკულტურაზე წიგნების კითხვით ძალა მოემატება, კანონების კითხვით გონება, ან სამახსოვროების დარიგებით ბუღალტერია მოწესრიგდება.

ყოველივე ამაში მაინც არის რაციონალური მარცვალი. ხელისუფლებას გაახსენდა ბუღალტრული აღრიცხვა. იმედია, სულ მალე გაახსენდება ბუღლტრული აღიცხვის დანიშნულება და როლი ეკონომიკისა და მთლიანდ სახელმწიფოს მართვაში.

თუმცა ბუღალტერიას აქვს უარყოფითი მხარეც. მოწესრიგებული აღრიცხვისა და ანგარიშგების პირობებში ძალზე მცირდება კრედიტებისა და გრანტების დაკარგვის, მასშტაბური ფინანსური მაქინაციების შესაძლებლობა და ძალზე იზრდება ასეთი მაქინაციების დროული გამოვლენის ალბათობა. სავარაუდოა, რომ სწორედ ეს უშლის ხელს ძველსა და ახალ ხელისუფლებას („კონსტრუქციული“ ოპოზიციის დიდ ნაწილსძ გადადგას ნაბიჯი ამ სფეროში წესრიგის დასამყარებლად.

რა შეიცვალა ვარდების რევოლუციის შემდეგ? როგორც ირკვევა ბევრი არაფერი. ხელისუფლებას უჩნდება ილუზია, რომ ქუჩის მოვაჭრეებიდან ამოღებული ლარებითა თუ ძალზე საეჭვო ათი მილიონით მოაგვარებს ყველა პრობლემას.

კიდევ უფრო სუსტია არგუმენტი სალარო აპარატის როლის შესახებ კორუფციასთან ბრძოლის საქმეში. ძნელი მისახვედრი არ არის, როდის უფრო ადვილი და სარფიანი იქნება მეწარმის გამოძალვა, ფიქსირებული გადასახადის დროს, თუ მაშინ, როდესაც საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელს სულ რამდენიმე წამში, რამდენიმე ღილაკზე თითის დაჭერით შეეძლება 5000 თუ 10000-იანი ჯარიმის გაქარწყლება. გავიხსენოთ, როგორ „შეამცირა“ კორუფცია, წინა პრეზიდენტის ბრძანებულებით, სალარო აპარატების გამოყენებაზე ზედამხედველობისათვის საგადასახადო ინსპექციის საშტატო რიცხოვნების 250 ერთეულით გაზრდამ.

იხ. მე-6 გვ.

გლობუსი

# დღეს ლუკაშენკო დაჭმუჭნული საყელოთი აღარ დადის...

**კონფუცის ჰკითხეს, რა სჭირდება ქვეყნის მართვას? კონფუციმ მიუგო — სურსათი უნდა იყოს საკმარისი, იარაღი და მთავრისადმი ხალხის ნდობა.**

**კონფუცის ჰკითხეს, თუ ისე მოხდა, რომ აქედან რაიმეს დათმობა მოგვიწიოს, რა დავთმოთ?**

**შეიარაღება — ამბობს კონფუცი. თუ კიდევ იქნება დასათმობი, დავთმოთ სურსათი. ადამიანი მოკვდავია, მაგრამ ხალხში თუ ნდობა არ იქნება მთავრისა, ის სახელმწიფო ვერ გადარჩება.**

დიდი ჩინელი სწავლულის და მეცნიერის კონფუცის სიტყვები ეხმიანება იმ თემას, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. ამას წინათ ტელეკომპანია „ევრონიუსმაც“ აღიარა, რომ ძნელია ეპაექრო ხელისუფლებას, რომლის დროს 24 პროცენტით მოიმატა მოსახლეობის შემოსავლებმა. ნდობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბელორუსთა დიდი ნაწილი ენდობა ქვეყნის მთავარს.

ბელორუსიაში აქტიურად მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია. რამდენიმე დღეც და ქვეყანას ახალი პრეზიდენტი ეყოლება. ბევრი თვლის, რომ არავითარი ცვლილება არ მოხდება, ვინაიდან დღევანდელი პრეზიდენტი ხალხის მხარდაჭერით სარგებლობს, ამასთან მას ზურგს უმაგრებს ადმინისტრაციული რესურსიც.

ოპტიმისტურად არიან განწყობილი ლუკაშენკოს მეტოქეთა ბანაკშიც, მათ შორის გამოირჩევა ერთიანი ოპოზიციური კოალიციის კანდიდატი ალექსანდრე მილინკევიჩი, რომელსაც მხარს უჭერენ საერთაშორისო ორგანიზაციები. მილინკევიჩის განცხადებით, ის ხმების საკმარის რაოდენობას დააგროვებს და თუ ლუკაშენკო არ აღიარებს დამარცხებას, მაშინ საყოველთაო გამოსვლებით აიძულებს გადადგომას. მილინკევიჩს არჩევნების დღეზე მეტად, შემდგომი დღეების იმედი აქვს, ისევე, როგორც დასავლეთს. დასავლეთი არც ძალას და არც ფინანსებს არ დაიშურებს საყოველთაო ანტისამთავრობო გამოსვლების ორგანიზებისათვის. დასავლეთი პოსტსაბჭოურ სივრცეში ნაცად ფერად-ყვავილოვანი გზით მიდის, მაგრამ თუ რამდენად გამოუვა, ამას სულ რამდენიმე დღეში დავინახავთ.

ოპოზიცია გამუდმებით ლაპარაკობს, რომ ლუკაშენკოს არ ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ვინაიდან ძველი კონსტიტუცია კრძალავდა მესამე ვადით კენჭისყრას. 2004 წლის ოქტომბერში, პრეზიდენტის ინიციატივით, ბელორუსიაში გაიმართა რეფერენდუმი. მისი მიხედვით ბელორუსიის მოსახლეობის 79 პროცენტმა მხარი დაუჭირა ლუკაშენკოს წინადადებას მესამედ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე. რეფერენდუმის შედეგით გახალისებული ლუკაშენკო, გასული წლის განმავლობაში საჯარო გამოსვლების დროს აღნიშნავდა, რომ ის თავის კანდიდატურას არ მოხსნის, მაგრამ თუ ხალხი იტყვის, „გეყოფა ლუკაშენკოო“, პრეზიდენტი დაემორჩილება ხალხის ნებას. ლუკაშენკოს არ დაუზუსტებია, როგორ და სად უნდა განაცხადოს ხალხმა — „გეყოფა“, სხვა რეფერენდუმზე თუ მიტინგზე?

„მე რაიმე განსაკუთრებულის დაპირება არ შემიძლია. გავაკეთებ იმას, რაც უნდა გააკეთოს პრეზიდენტმა. თუ ერთად ვიმუშავებთ, ყველაფერი გამოგვივა“ — თქვა ლუკაშენკომ.

რას გააკეთებს ლუკაშენკო მესამე ვადით არჩევის შემთხვევაში?

ამ კითხვაზე პასუხი არა მარტო დსთ-ს ფარგლებში, არამედ აშშ-ი, ევროპაში, საერთაშორისო ორგანიზაციებშიც აინტერესებთ. საერთაშორისო ორგანიზაციები წლების განმავლობაში ვერ პოულობენ საერთო ენას ბელორუსიის ოდიოზურ პრეზიდენტთან. მათგან განსხვავებით ბელორუსიის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მოძებნილი აქვს საერთო ენა პრეზიდენტთან, სჯერათ მისი დაპირებების. განვლილი ორი საარჩევნო ვადის შედეგების მიხედვით ლუკაშენკოს სიტყვა არ გაუტეხია.

პრეზიდენტმა ერთობ ამბიციური სამომავლო პროგრამა შესთავაზა საზოგადოებას ბელორუსიის ეკონომიკური განვითარების ფორუმზე, რომელიც შარშან გაიმართა. მან აღნიშნა, რომ საშუალო ხელფასი, რომელიც დღეს 220 აშშ დოლარს შეადგენს, 500 დოლარამდე გაიზრდება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეცნიერების განვითარებას და მის დაახლოებას ცხოვრებასთან. ლუკაშენკოს სურვილია, რომ საერთო ეროვნული პროდუქტის წარმოების მაჩვენებელმა 5-7 პროცენტს მიაღწიოს. ექსპერტთა აზრით ბელორუსიის ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა, მაგრამ ეს გამოწვეულია იაფფასიანი რუსული გაზის და ნავთობის ექსპორტით. ბელორუსია 1000 კუბმეტრ გაზს 47 დოლარად იღებს და საბაზრო ფასებში ყიდის ევროპის ქვეყნებში. 2 ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ასევე იაფად მიღებულ რუსულ ნავთობს, გადამუშავების შემდეგ, საბაზრო ფასებში ყიდის მსოფლიო ბაზარზე.



იხ. მე-6 გვ.

ინფორმაცია

### ათასამდე ერთი ნაბიჯია...

**იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტმა და მისმა რეგიონულმა სამსახურებმა 2005 წლის მარტიდან, მას შემდეგ, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაში შევიდა, 920 არასამთავრობო ორგანიზაცია დაარეგისტრირეს.**

**საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტმა რაიონულ სასამართლოში გაბნეულ არასამთავრობო ორგანიზაციების სარეგისტრაციო დოკუნტებს თავი მოუყარა და ერთიანი რეესტრი შექმნა. სწორედ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი არასამთავრობო ორგანიზაციების ზუსტი აღრიცხვა.**

### გორის „ნაციონალური პარტიის“ თავმჯდომარე გადააყენეს

**„ნაციონალური პარტიის“ გორის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პარლამენტარმა ლადო გეგელაშვილმა პარტიის გორის ოფისი უკვე დატოვა. როგორც მან განაცხადა, პარტიის გენერალურმა მდივანმა იგი ცენტრალურ ოფისში დაამწინაურა. გუბერნატორის მოადგილე გია მჭედლიძე კი აცხადებს, რომ გორის კულტურის სახლში ჩატარებულ კრებაზე პარტიის წევრებმა ლადო გეგელაშვილი გადააყენეს.**

**ლადო გეგელაშვილი კონფერენციას მასხარაობას უწოდებს და ამბობს, რომ ასეთი ტიპის კონფერენციები ჩვენც შეგვეძლო ჩაგვეტარებინაო. იგი აცხადებს, რომ ვასიკო მახარაშვილი ოფიციალურად არ არის დანიშნული.**

**ჯი-ეიჩ-ენი.**

◎ პოზიცია

# ქარიშხალი ჭიქა წყალში,

## ანუ სანაგვის პოლიტიკის ტრანსფორმაცია ბაზრის პოლიტიკაში

(მეხუთე გვერდიდან)

ხელისუფლებას არაფერზე არ ყოფნის ფული, კონცერტებისა და ფეიერვერკების გარდა. ამ დროს მზადდება გადაწყვეტილება საბაჟო გადასახადების გაუქმებისა და შემცირების შესახებ, იმ მოტივით, თითქოს ამით ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის მოცულობა გაიზრდება. საინტერესოა, როგორ მოხდება ეს, როდესაც, კიდევ უფრო გაიაფდება ისედაც ძალზე იაფი უცხოური პროდუქცია? ხელისუფლებას რომ ეროვნული წარმოების გაზრდის სურვილი გასჩენოდა, გადასახადებს შეუმცირებდა მწარმოებელს, რომელიც იმ პროდუქციის წარმოებას აითვისებდა, რომელიც საქართველოში არ იწარმოება, ხოლო იმ მეწარმეს, რომელიც ივაჭკაცებდა და ასეთ პროდუქციას ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანდა, საერთოდ გაათავისუფლებდა ყველა გადასახადისაგან გარკვეული ვადით.

იმედია, არ დაგვჭირდება იმის მტკიცება, რომ ამით მოიგებდა ყველა: მათ შორის დღეისათვის დაუსაქმებლები, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტები, ქვეყნის საინვესტიციო გარემო და სახელმწიფო მთლიანად.

განსაკუთრებით ღიმილისმომგვრელია განცხადებები იმის შესახებ, რომ არ არის სამართლიანი, როდესაც ერთნაირი ფიქსირებული გადასახადით იბეგრება ინდმეწარმის 50-ლარიანი და მილიონიანი შემოსავალი. ვის უნახავს ქუჩაში მდგარი მეწარმის მილიონიანი შემოსავალი? არც ის არის აუცილებელი, რომ ერთნაირი ფიქსირებული გადასახადით დაიბეგროს 500 და 2500-ლარიანი შემოსავლები. კეთილი ინებონ საგადასახადო ორგანოებმა და დაადგინონ სამართლიანი და დიფერენცირებული ფიქსირებული გადასახადები საქონლის ჯგუფებისა და საქონელბრუნვის მოცულობების გათვალისწინებით. ამისათვის მათ საჭიროზე მეტი უფლებამოსილებები აქვთ მინიჭებული საგადასახადო კოდექსით. მათ შორის: ქრონომეტრაჟი; დასაბეგრი ობიექტის სრული განსაზღვრის მიზნით განახორციელონ საქონლის საკონტროლო შესყიდვა; შემოსავლების დაბეგვრა გადასახადით იმ შემთხვევაშიც, როდესაც შემოსავლის კანონიერება სადავოა; როგორც ვხედავთ, კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლებრივ ნორმებს, რომელთა გამოყენება გამორიცხავს ფიქსირებული გადასახადების უსამართლობასა და დამალვას რაიმე არსებითი ოდენობით.



თუ ჩვენი ხელისუფლება, საგადასახადო სისტემაში მეტ უსამართლობას ვერ ხედავს, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. როგორ, სამართლიანია, როდესაც:

✱ ერთნაირი განაკვეთით იბეგრება ქუჩაში, ღია ცის ქვეშ მდგარი პენსიონერი ქალის 10-15-ლარიანი და ახალგაზრდა მილიონერების შემოსავლები?

✱ ერთნაირად არის გათავისუფლებული გადასახადისაგან 600 და 50 000 კვადრატული მიწის ნაკვეთები;

✱ ერთნაირად არის გათავისუფლებული გადასახადისაგან გლდანის ბოლოს, ხუთსულიანი და 115-ლარიანი შემოსავლის პატრონი ოჯახის ერთოთახიანი ბინა და მილიონერის სასახლეები აუზებითა და საჯინიბოებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ორივეს ოფიციალური შემოსავალი წელიწადში 40 000 ლარზე ნაკლებია?

იქნებ ის არის სამართლიანი, რომ ქუჩის მოვაჭრემ ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოოს, დეკლარაციები წარადგინოს საგადასახადო ორგანოებში, ნავაჭრი 20 ლარი დღის ბოლოს ბანკში შეიტანოს და მეორე დილას გამოიტანოს?

გააზრებული, გათვლილი და დასაბუთებული არაპოპულარული ნაბიჯები, ხელისუფლების სიძლიერის მაჩვენებელია. გაუაზრებელი არაპოპულარული ნაბიჯები და ამ ნაბიჯების კიდევ უფრო უაზრო დაცვა კი დაუყოვნებლად იქცევა ხელისუფლების არაპოპულარობად, ყველა კარგად ცნობილი შედეგით, რომელთა აცილებისათვის მძღოლების დაშინება, უარი თქვან გამწარებული ხალხის დედაქალაქში ჩამოყვანაზე, აღარ იქნება საკმარისი.

თუ ასე გაგრძელდება, ხელისუფლება, რომელიც გუშინ დავით აღმაშენებლის აბჯარს იზომებდა, საპატიმროებისა და უფასო სასადილოების მშენებლად დარჩება ისტორიაში.

**ნინო იაშვილი,**
**ეკა მაღალაშვილი,**
**საკონსულტაციო ფირმა N*I&პარტნიორები**

◎ გლობუსი

# დღეს ლუკაშენკო დაჭმუჭნული საყელოთი ადგას დღის...

(მეხუთე გვერდიდან)

პროგრამით გათვალისწინებულია შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია. სამხედრო ხარჯები 26 პროცენტით გაიზრდება. უკვე მოდერნიზებულია რეაქტიული სისტემა „გრადი“ და ტანკები „ტ-72ა“, ასევე „სუ-27 უბმ“ და „მიგ-29 მ“ ტიპის თვითმფრინავები. ბელორუსიის არმიაში 65.000 სამხედრო მოსამსახურეა. არმიაში 93 პროცენტი ოფიცრობაა. მაღალია ხელფასებიც: ასეულის მეთაურის ხელფასი 345 დოლარია, რუსეთში – 389; ბატალიონის მეთაურისა – 521, – რუსეთში – 450; პოლკის მეთაურისა 622, რუსეთში – 540. საგრძნობი მატებაა სამხედრო პენსიების თვალსაზრისით. თუ 1994 წელს სამხედრო მოსამსახურეთა საშუალო პენსია 15 დოლარს შეადგენდა, შარშან 210 დოლარს მიაღწია.

მაშინ, როდესაც ევროპა ალმაცერად უყურებს ბელორუსიას, ლუკაშენკო არ იბნევა და აღმოსავლეთში ეძებს პარტნიორებს, გასული წლის დეკემბერში ჩინეთში ოფიციალური ვიზიტის დროს ხელი მოეწერა სახელმწიფოთაშორის 10 ხელშეკრულებას. ერთ-ერთი ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები არ შეეხებიან ურთიერთის საკამათო პოლიტიკურ საკითხებს. ჩინეთისათვის ასეთია ტაივანი. ბელორუსია არ დაამყარებს ტაივანთან ოფიციალურ ურთიერთობებს, გამოვა გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ტაივანის გაწევრიანების წინააღმდეგ, არ მიჰყიდის ტაივანს იარაღს. თავის მხრივ ჩინეთი პატივისცემით და გაგებით განიხილავს ბელორუსიის დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, არ ჩაერევა ბელორუსიის საშინაო საქმეებში.

ჩინეთი ჩადებს 40 მილიონი დოლარის ინვესტიციას ბელორუსიის ფარმაცევტულ მრეწველობაში. ჩინურ კრედიტებს მიიღებენ ბელორუსიის სამკერვალო ფაბრიკები ტექნიკური მოდერნიზაციისთვის. მინსკში ჩინელები ააშენებენ 105 მილიონი დოლარის ღირებულების „მინსკ-არენას“ მაღაზიებითა და კვების ობიექტებით. წარმატებად ითვლება ბელორუსის ჩინეთის ეროვნული ტურიზმის რეესტრში შეტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩინური ტურისტული სააგენტოები რეკომენდაციას გაუწევენ ჩინელ ტურისტებს იმოგზაურონ ბელორუსიაში. მიმდინარე წლიდან გაიზრდება ჩინელი სტუდენტების რაოდენობა ბელორუსიის უმაღლეს სასწავლებლებში. ჩინეთი თავის სტუდენტებისათვის ბელორუსიაში აშენებს „ახალგაზრდულ სოფელს“. ჩინელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა გაზრდის ბელორუსიის სავალუტო შემოსავლებს.

10 წლის წინათ, როცა „ბელორუსის გაზეთი“ ბელორუსიის ახალი პრეზიდენტის გარეგნობას აღწერდა, ხაზს უსვამდა ლუკაშენკოს შეუფერებლობას პრეზიდენტობისთვის. წერდა პრეზიდენტის პერანგის დაჭმუჭნულ საყელოზე, რომლის ერთი ნაწილი პიჯაკის ზევით იყო, მეორე კი ქვევით, მოძველებულ რატინის პალტოზე, სირიულ ჰალსტუხზე. დღევანდელი ლუკაშენკო გამოირჩევა დახვეწილი გარეგნობით, კარგი ჰალსტუხებით, ძვირფასი კოსტიუმებით და, რაც მთავარია, აზრიანი პოლემიკით. ლუკაშენკო ხშირად ამბობს: „ჩვენ გვესხმიან თავს, იმისათვის, რომ ავტორიტარული ხელისუფლება ვართ. მე არ უარვყოფ, რომ ჩვენი ხელისუფლება ძლიერია. შესაძლოა იყოს ავტორიტარიზმის ფაქტები, მაგრამ არსად, არავის და არასდროს არ გამოუყენებია ეს ძალაუფლება იმისთვის, რომ დაენგრია ადამიანთა ცხოვრება. მე მთავრობის წევრებს ვეუბნები, დასაჯეთ, მოჰკითხეთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაანგრიოთ ადამიანთა ბედი“.




მოკლედ ბელორუსია-რუსეთის შესახებ. ჩვენთან მოარული ხმების მიხედვით, ორ ქვეყანას შორის საბჭოთა კავშირის მსგავსი კავშირია დამყარებული, რაც გადაჭარბებულია. ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით რუსეთის მოსახლეობას სურს ბელორუსთან კავშირი, მაგრამ ის თანაფარდობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს. თუ 90-იანი წლების ბელორუსია-რუსეთის კავშირის პროექტი იყო ნაბიჯი უკან, საბჭოთა კავშირისკენ, დღეს ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ორივე ქვეყნის მოსახლეობას მიაჩნია, რომ კავშირის შემთხვევაში გაზიარებული უნდა იქნას ევროკავშირის მაგალითი.

სპეციალისტთა აზრით, დღევანდელ ლუკაშენკოში შერწყმულია უბრალო სოფლელი ეშმაკი კაცი და ორატორული ჟანრის ოსტატი, სერიოზული პოლიტიკური მოთამაშე, რომელმაც კარგად იცის ბელორუსიის მოსახლეობის აზრი და თავისი მოღვაწეობის პერიოდში ცდილობს გაითვალისწინოს მისი სურვილები.

ექსპერტთა მიხედვით, ოპოზიციურ კანდიდატთა შესახებ მხოლოდ მათმა ახლობლებმა იციან. მილინკევიჩი, რომელიც მათ შორის გამოირჩევა, მიიჩნევს, რომ ქვეყანა დემოკრატიული და არა ავტორიტარული გზით უნდა ვითარდებოდეს. მისი სურვილია პრესის თავისუფლება, საზოგადოების „ჩვენებად“ და „სხვებად“ დაყოფის აღმოფხვრა, სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ ლოიალური დამოკიდებულების ქონა. მილინკევიჩს სურს რუსეთთან პარიტეტული ურთიერთობების ჩამოყალიბება. მილინკევიჩს სერიოზულ დახმარებას უწევენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის ეუთო, ევროკავშირი. წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე მილინკევიჩი აღნიშნული ორგანიზაციების მიერ მიწვეული იყო ევროპის ქვეყნებში. ის რუსეთშიც იმყოფებოდა, მაგრამ ევროპაში შეხვედრათა დონე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე რუსეთში.

მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი ამერიკა-ევროპის ქვეყნების ლიდერების დამოკიდებულება ლუკაშენკოსადმი, რაც არა მარტო ბელორუსიის ლიდერისადმი პირადი ანტიპატიით არის გამოწვეული.

მსოფლიოში პირველობისათვის ბრძოლა ახალ სტადიაში შედის. ამერიკის ერთპიროვნულ მმართველობას სერიოზული ბზარები გაუჩნდა. სულ უფრო ანგარიშგასაწევი ხდება ისეთი გიგანტების აზრი, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი, სხვა ქვეყნები. მიუხედავად დროებითი ჩავარდნებისა, გაერთიანებული ევროპა ახლო მომავალში უფრო ანგარიშგასაწევი იქნება. შოკური მდგომარეობიდან გამოდის რუსეთიც და თუ გავითვალისწინებთ მის მიერ ბოლო დროს განხორციელებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნაბიჯებს, დავინახავთ, რომ მას სულაც არ სურს მოჩანჩალე ქვეყნის როლი შეასრულოს. მიუხედავად ამერიკის და რუსეთის პრეზიდენტების პირადი კარგი ურთიერთობისა, პოლიტიკაში პირველ პლანზე მაინც ქვეყნის ინტერესებია. აშშ საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის დემოკრატიის კარტს ათამაშებს. სწორედ ამ თვალსაზრისით ვაშინგტონი მიიჩნევს, რომ რუსეთში ჯერაც ბევრია გასაკეთებელი, ბელორუსიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

არადა აშშ-ს ქმედება ერაყში, სხვა ქვეყნებში, ეჭვქვეშ აყენებს ამერიკის დემოკრატიულობას. ამერიკელთა გარკვეული წრისათვის ცივი ომის დასრულება სულაც არ ნიშნავს რუსეთთან ჭიდილის დასრულებას პაექრობაში წარმატების მიღწევისათვის აშშ პოსტსაბჭოურ სივრცეში მოსკოვის გავლენის შემცირებას მიიჩნევს და სადაც შესაძლებელია – ე.წ. რევოლუციების ორგანიზებასაც.

გეგმაშია რუსეთის ირგვლივ სანიტარიული საზღვრის შექმნა ბალტიის ზღვის ქვეყნებიდან დაწყებული, შავი და კასპიის ზღვების ქვეყნებით დამთავრებული. ლუკაშენკო ვერ ჩაჯდება ამ გეგმაში. ამიტომაც მძლავრად მიმდინარეობს ლუკაშენკოს დისკრედიტაცია. ვერბალურ შეტევაში აშშ ხშირად იყენებს თავის სატელიტ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, რომლის პრეზიდენტმა და ხელისუფლებამ დაარწმუნეს საკუთარი თავი „არადემოკრატიული“ პოსტსაბჭოური ქვეყნების განმათავისუფლებლობაში. 21-ე საუკუნის ჩე გევარობა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ იტვირთა, ნაკლებად ეხამება ქვეყნებს შორის კორექტულ, დიპლომატიურ ურთიერთობებს და საშინაო საქმეებში ჩარევისაკენ იხრება. მოჭარბებული აქტიურობა სუსტი პოლიტიკური თვითშეგნების ნაყოფია. უნებლიედ გახსენდება ქართული ანდაზა – „ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო“. საქართველოს დაუწყობელი ყოფა, მძიმე სოციალური ვითარება, მოსახლეობის პერმანენტული უკმაყოფილება, მიტინგები და გამოსვლები, მზარდი კრიმინოგენული მდგომარეობა, სხვათა აზრის უგულებელყოფა ნაკლებად მეტყველებს დემოკრატიულობაზე. პოსტსაბჭოურ სივრცეში არსად საქართველოს გარდა, არ მომხდარა პრეზიდენტების არადემოკრატიული გზით ხელისუფლებისაგან ჩამოშორება. ასეთი ქვეყანა და მისი ხელისუფლება საკუთარი პრობლემების აღმოფხვრით უნდა იყოს დაინტერესებული და თვალი სხვაზე არ უნდა ეჭიროს, მით უმეტეს, როდესაც იქ ასჯერ უკეთესი პირობებია შექმნილი ხალხისათვის, ვიდრე შენთან.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## რას გვეუბნება სხვათა გამოცდილება

# 2. გაუაზრებელმა რეფორმებმა დასავლური სასკოლო განათლება დაღუპა...

## ერთიანი გამოცდებით ჩარიცხულ ფრანგ სტუდენტს დედამიწის რადიუსი 10 მმ ჰგონია

**წინამდებარე მასალა წარმოადგენს ადრე გამოქვეყნებული პუბლიკაციის გაგრძელებას. პუბლიკაციის ავტორი, პარიზის მარია და პიერ კიურების სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ვიქტორ დოცენკოა. თავისი პუბლიკაციის პირველ ნაწილში ავტორი თანამედროვე ფრანგულ საშუალო სკოლაში მიღებული ცოდნის ძალიან დაბალ დონეზე მოგვითხრობს. მეორე ნაწილში კი იგივე თემაზე უნივერსიტეტთან დაკავშირებით.**

ამჯერად ვისაუბროთ იმაზე, როგორ ასწავლიან ფიზიკასა და მათემატიკას უნივერსიტეტში. მათემატიკის სახელით საშემოდგომო სესიაზე ისწავლება სამი თემა: ტრიგონომეტრია (სინუსები, კოსინუსები და ა. შ.), ფუნქციათა წარმოებულები და რამდენიმე ფუნქციიდან ინტეგრალი. ეს არის ის, რაც BAK-ის ჩამბარებელმა უნდა იცოდეს, მაგრამ უნივერსიტეტში ასწავლიან ყველაფერს თავიდან, რომ ბოლოს და ბოლოს ასწავლონ როგორც საჭიროა.

რაც შეეხება ტრიგონომეტრიას, მისი შესწავლა დაიყვანება იმ ცხრილის დამახსოვრებაზე, რომელშიც შეტანილია სტანდარტული კუთხეების (0 გრადუსი, 30 გრადუსი, 45 გრადუსი, 60 გრადუსი და 90 გრადუსი) სინუსის, კოსინუსისა და ტანგესის მნიშვნელობები და ამ ფუნქციათა შორის რამდენიმე სტანდარტული თანაფარდობის დამახსოვრება. მონდომებულმა სტუდენტებმა (და მათი რიცხვი არცთუ ისე მცირეა), ეს ყოველივე უკვე იციან. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტში ჩემი მოღვაწეობის ხუთი წლის მანძილზე (ყოველწლიურად 50 პირველკურსელს ვასწავლი) 250 ჩემი სტუდენტიდან ვერც ერთმა ვერ მიპასუხა კითხვაზე, რატომ უდრის sin 30 გრადუსი – 1/2; უფრო მეტიც, ისინი თვლიან, რომ ასეთ კითხვას აზრი არა აქვს, რადგანაც რის ტოლია ეს სინუსები და კოსინუსები, ეს არის მოცემულობა, რომელიც მათ ჯერ სკოლაში დაიმახსოვრეს და რომელსაც უნივერსიტეტშიც იმახსოვრებენ. მოცემულობა უნდა დაიმახსოვრო. ასეთია მათი აზრი და ყოველწლიურად მე ვცდილობ გადავარწმუნო ისინი, ვცდილობ ვუამბო რა დამოკიდებულება აქვს ყოველივე ამას სამყაროსთან, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, უკანასკნელ ძალებს ვხარჯავ იმაზე, რომ ჩემი მონაყოლი იყოს საინტერესო, ისინი კი მიყურებენ, როგორც ვილაც ჩერჩეტს და მოთმინებით ელოდებიან ჩემ დაწყნარებას და იმ წუთს, როდესაც მე ბოლოს და ბოლოს ვეტყვი, რა უნდა დაიმახსოვრონ ზეპირად. ჩემ დიდ წარმატებად ვთვლი, თუ სემესტრის ბოლოს ერთი ან ორი სტუდენტი დამისვამს შეკითხვას „რატომ?" მაგრამ ეს ყოველწლიურად არ ხდება.

ახლა ფუნქციის წარმოებულზე გიამბობთ. უნივერსიტეტში მუშაობის დაწყების პირველ პერიოდში დავდიოდი ჩემი კოლეგების ლექციებზე და აღმოვაჩინე, რომ სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე ოდესმე ჩვენ გვასწავლიდნენ. აი, რაში მდგომარეობს ეს აღმოჩენა – თურმე ფუნქციის წარმოებელი ყოფილა შტრიხი, რომელიც ფუნქციის მარჯვნივ და ზემოთ იწერება. მე მართლა არ ვხუმრობ, მართლა ასე ასწავლიან. მაგრამ, ეს ყველაფერი არ არის, მათ კიდევ უნდა დაიმახსოვრონ, რა მოხდება, თუ ასეთ შტრიხს ფუნქციათა ნამრავლის მარჯვნივ დავსვამთ, და ა. შ. მათ უნდა დაიზეპირონ ცხრილი, რომელშიც მოცემულია ის შედეგები, რომელსაც ვიღებთ ამ „შტრიხის" ელემენტარული სტანდარტულ ფუნქციებზე მოქმედების შედეგად, აგრეთვე უნდა დაიმახსოვრონ – თუ ამ მაგიური ოპერაციების შედეგი დადებითია, ფუნქცია ზრდადია, თუ უარყოფითი, ფუნქცია კლებადია. ინტეგრირების ახსნაც ამ სტილშია. მათ ეძლევათ შეტყობინება, რომ ინტეგრირების შედეგი არის ფართობი ინტეგრალის ნიშნის ქვეშ (ან ეს ფართობი რაში სჭირდებათ?).

ფიზიკის სწავლების მეთოდიც ასეთივეა, თუმცა ამაზე ლაპარაკი გაცილებით მოსაწყენია, მაგრამ სრული სურათის მისაღებად, მაინც საჭიროდ ვთვლი. მარია და პიერ კიურების სახელობის პარიზის უნივერსიტეტის პირველი კურსის პირველი სემესტრი რატომღაც იწყება გეომეტრიული ოპტიკით (ლაბორატორიული მეცადინეობებზე კი პარალელურად რატომღაც ოსცილოგრაფს შეისწავლიან), შემდეგ ორი მეცადინეობის მანძილზე ისინი იზეპირებენ უშველებელი ცხრილს ფიზიკური სიდიდეების განზომილებებით. მაგალითად, როგორ გამოიხატება კგ-ში, წმ-ებში და მეტრებში, გრავიტაციული მუდმივა და მინდა აღვნიშნო, რომ მათ აბსოლუტური წარმოდგენაც კი არ აქვთ, რა არის გრავიტაციული მუდმივა. შემდეგ სწავლობენ მექანიკას (ბურთულების შეჯახება, წონასწორობა და ა. შ.), დაბოლოს, სემესტრი რატომღაც მთავრდება ჰიდროდინამიკით. რატომ არის ასეთი კრებული თემებისა, გაუგებარია. ალბათ ეს არის ის მცირეოდენი, რაც იცის ჩვენი სექციის მთავარმა კოორდინატორმა (და ლექტორმა). რატომ მაინცდამაინც ასეთი თანამიმდევრობა, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, როგორი თანამიმდევრობით მოხდება ყოველივე ამის დაზეპირება.

საწყალი მარია და პიერ კიურები! ისინი ალბათ იმ ქვეყნად სირცხვილით ადგილს ვერ პოულობენ.

შევეცდები, მთელი ამ აბდაუბდის შორეული ანალოგია შემოგთავაზოთ ჰუმანიტარებისთვის. დავუშვათ, რომ უნივერსიტეტის საპროგრამო კურსის „რუსული ლიტერატურა" შედგება შემდგომი ნაწილებისაგან: 1. ა. ჩეხოვის შემოქმედება. 2. მე-19 და მე-20 საუკუნის რუსი და საბჭოთა მწერლების შემოქმედების ლინგვისტური ანალიზი, 3. „Слово о полку Игореве" 4. პლატონოვის შემოქმედება და მორჩა.

რაც შეეხება „Еколь Нормаль Суперьер"-ს (ანუ ისინი, ვინც არიან „სუპერ – ყველაზე-ყველაზე-), აქ სიტუაცია სრულიად სხვა არის, ამ სტუდენტებმა გაიარეს ისეთი მკაცრი შერჩევა, რომ წილადებშიც ყველფერი წესრიგში აქვთ, ალგებრაც მშვენივრად იციან და კიდევ ბევრი რამ, რაც მათ ამ ასაკში უნდა იცოდნენ. ისინი არიან ძალიან მიზანმიმართულები, შრომისუნარიანები და შემსრულებლები და დისერტაციების საქმეც, მე მგონია, კარგად ექნებათ. მაგრამ ერთი უბედურება ის არის, რომ მათ საერთოდ არ შეუძლიათ ფიქრი, პედაგოგის მიერ მკაფიოდ ფორმულირებული მანიპულაციების შესრულება – კი ბატონო, რაიმეს შესწავლა, დამახსოვრება – რამდენიც გინდა – აი, ფიქრი კი – არაფრით არ შეუძლიათ. ორგანიზმის ეს ფუნქცია მათ მთლიანად ატროფირებული აქვთ. გარდა ამისა, თეორიული ფიზიკა, მათ ცხადია, სრულებით არ იციან. მათ, ცხადია, ბევრი რამ იციან, მაგრამ ეს არის რაღაც ჭრელი, სრულიად ქაოტური „მოზაიკა", რომელიც შედგება ყოველგვარი პატარა „ცოდნებისაგან". ეს „ცოდნები" მათ შეუძლიათ წარმატებით გამოიყენონ იმ შემთხვევაში, თუ მათდამი კითხვები მომზადებული იქნება წინასწარშეთანხმებული წესების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია ამ მოზაიკასთან. მაგალითად, თუ ასეთ ასპირანტს აძლევენ რაღაც კითხვას, მისი პასუხი უნდა იყოს ან „ცოდნა A", ან, „ცოდნა B", ან „ცოდნა C" და თუ ეს ასე არ არის, მაშინ ის ჩიხში ექცევა და ამბობს – ასე არ ხდება.

მაგრამ ამ „Нормаль Суперьср"-საც აქვს სერიოზული ხვრელები ცოდნაში. მაგალითად, ჩემი მოღვაწეობის მანძილზე ამ უნივერსიტეტში მე აღმოვაჩინე, რომ არც ერთ ჩემ ასპირანტს არ შეუძლია გაუსის ინტეგრალის ამოღება, და არც იციან, ეს რა არის. ეს იგივეა, ადამიანი რომ დისერტაციას წერდეს გუ-




ნების ადგილზე პუშკინის შემოქმედებაში და ამ დროს წარმოდგენა არ ჰქონდეს იმაზე, რა არის სინონიმი. მაგრამ, საერთოდ, ამ ასპირანტებისაგან შეიძლება მივიღოთ კარგი შემსრულებლები. ამიტომ მე უფრო მომწონს პირველკურსელებთან მუშაობა, რადგანაც იქ არის სულ მცირე იმედი მაინც, რომ ვინმეს რამეს ასწავლი.

მე ძალიან მეცოდება ეს ბავშვები. წარმოიდგინეთ, წლიდან წლამდე ბავშვობიდან დაზეპირება მთელი ამ ბოდვისა. ხომ ცხადია, რომ ყველაფრის დაზეპირება შეუძლებელია. ყველაზე მუყაით და ბეჯით მოსწავლეებსაც კი ხარვეზები აქვთ. წარმოიდგინეთ სტუდენტი, იცის წარმოებულის პოვნა, იცის ინტეგრალის აღება (ე. ი. ზეპირად იცის ყველა წესები შტრიხებზე და ინტეგრალის ნიშანზე), მაგრამ წილადების შეკრება არ იცის. ან შეკრება იცის, გამოკლება კი ვერაფრით. დროზე არ დაიზეპირა. შეიძლება მან იცოდეს მთელი გამრავლების ტაბულა ზეპირად, მაგრამ 6X7-ზე არ იცოდეს (შეიძლება იმ დღეს, როდესაც მასწავლებელმა ეს ინფორმაცია მიაწოდა, ავად იყო). ყოველივე ამის შემდეგ – თქვენთვის ალბათ ცხადია, რომ 3/6 შეიძლება ტოლი იყოს არა მარტო 1/3-ის, არამედ რისიც გინდათ. თუ გნებავთ, ამას შეიძლება „არითმეტიკის მეხუთე წესი" ეწოდოს. ასე რომ, რამდენსაც ვიტყვით, იმდენი იქნება.

**მოამზადა**
**დალი ქვირიამ**

## ახალი ტექნოლოგიები

# ეს ყოვლისშემძლე ლაზერი...

**კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი ქალბატონი ბარბარა კილასონიძე ისეთი გამოგონებების ავტორია, რომელთა აქტუალობა თანამედროვე მსოფლიოში დღითი დღე იზრდება. კერძოდ, მან შეიმუშავა პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული მესერების მიღების უნიკალური ტექნოლოგია. საქმე ის გახლავთ, რომ ასეთი ტიპის მესერებს საწარმოო მასშტაბებით მსოფლიოში არც ერთი კომპანია არ აწარმოებს. როგორც ქალბატონი ბარბარა გვეუბნება, ამ მესერების საფუძველზე შესაძლებელია შეიქმნას ახალი ტიპის კონკურენტუნარიანი მოწყობილობები, კერძოდ პოლარიმეტრები და ელიფსომეტრებია, რომლებიც არსებული ანალოგებისგან გამოირჩევია კომპაქტურობით, სწრაფმოქმედებით, სიზუსტით და, რაც მთავარია, სიიაფით.**

მათი გამოყენება შეიძლება ტექნიკის იმ დარგებში, სადაც საჭიროა სინათლის პოლარიზაციის მდგომარეობის მყისიერი და სრული გარდაქმნა, ასტრონომიაში ციური ობიექტების კლევის დროს, მზის ლაქების, მზის გვირგვინის, ვარსკვლავების გამოსხივების ანალიზისთვის, ტექნიკაში თხელი ფენების და აფსკების სისქის, გარდატეხის მაჩვენებლის განსაზღვრისთვის, მაგალითად, ჩიპების წარმოებაში.

ეს უნიკალური ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, წარმატებას მივაღწიოთ ოპტიკურ სახეთა ამოცნობის სისტემებში, კერძოდ, მისი გამოყენება თავისუფლად შეიძლება კრიმინალისტიკაში, სამხედრო მიზნებისთვის და ა. შ.

ამჟამად ქალბატონ ბარბარა კილასონიძის ხელმძღვანელობით ლაბორატორიაში მუშავდება დინამიური, პოლარიზაციულად მგრძნობიარე მასალების შექმნის ახალი ტექნოლოგიები. ამდაგვარი მასალების დიდი უპირატესობა ის არის, რომ ინფორმაციის ჩაწერისთვის არ არის საჭირო სინათლის მაღალი ინტესიობა, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ მცირე სიმძლავრის კომპაქტური უწყვეტი ლაზერები. მისი მეშვეობით შესაძლებელია შეიქმნას სხვადასხვა სახეობის პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული მოწყობილობები, კერძოდ: დინამიური, პოლარიზაციული, ჰოლოგრაფიული ელემენტები, ოპტიკური გადამრთველები, ოპტიკური გამაძლიერებლები, დოკუმენტების და ფასიანი ქაღალდების ახალი ტიპის დაცვის სისტემები, ოპტიკურ სახეთა ამოცნობის მოწყობილობები და სხვა.

სწორედ ეს პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული მეთოდი იძლევა იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ შეიქმნას ზემაღალი ტევადობის, მცირეგაბარიტიანი, მაქსიმალურად სწრაფმოქმედი მეხსიერების ელემენტი მომავლის ოპტიკური კომპიუტერებისთვის.

ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე გაკეთდა პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული მეხსიერების ელემენტის მოცულობისა და მახასიათებლების გამოთვლები.

თურმე არსებობს ინფორმაციის სელექტური წაშლისა და ჩაწერის შესაძლებლობა. ჩაწერილი ინფორმაციის შენახვა კი ოთახის ტემპერატურაზე თურმე რამდენიმე წლით შეიძლება.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ბარბარა კილასონიძის მეთოდი საშუალებას იძლევა, განისაზღვროს სითხის, ვთქვათ, წყლის ფიზიკური მახასიათებლები: ზედაპირული დაჭიმულობა, სიბლანტე, კაპილარული ტალღების მილევის კოეფიციენტი და ულტრაბგერის გავრცელების სიჩქარე.

ეს მეთოდი ასევე შეიძლება გამოვიყენოთ ეკოლოგიურ პროგრამებში წყლის დაბინძურების მონიტორინგის დროს, წყალქვეშა ნავების მოძრაობის კვალის აღმოსაჩენად, ლუდის, ღვინის, სუნამოების და ა. შ. პარამეტრების კონტროლისთვის.

**ლალი ქინქლაძე**

## ინფორმაცია

### საქართველო „შაჰდენიზის" გაზს ნოემბრის ბოლოს მიიღებს

**საქართველო „შაჰდენიზის" გაზს ნოემბრის ბოლოდან მიიღებს. ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა.**

**როგორც მან აღნიშნა, სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში „შაჰდენიზის" გაზი სრული მოცულობით თურქეთში წავა. საქართველოსთვის გაზის მოწოდება კი შემოდგომის მიწურულს დაიწყება. საქართველო პირველი წლის განმავლობაში „შაჰდენიზიდან" გაზის ტრანზიტის საფასურის სანაცვლოდ 250 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს, ხოლო 50 მილიონ კუბურ მეტრს შეღავათიან ფასში შეისყიდის.**

**– სერიოზული მოლაპარაკებები მიმდინარეობს საქართველოსთვის „შაჰდენიზის" გაზსადენიდან მოსაწოდებელი გაზის მოცულობის გაზრდაზე. „შაჰდენიზს" 2007 წლის ბალანსში 0,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზი რეზერვში აქვს, რომელზეც კონტრაქტები ჯერ არ გაფორმებულა. საქართველო მოლაპარაკებებს აწარმოებს, რომ ამ მარაგიდან გაზი დამატებით კიდევ მიიღოს. ამისთვის საჭიროა სამმხრივი მოლაპარაკებების წარმოება, – განაცხადა გილაურმა.**

**მისი თქმით, ხვალ საქართველოში ჩამოდის აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრი ნატიკ ალიევი, რომელიც თბილისში გამართულ ენერგეტიკულ ფორუმს დაესწრება. მხარეები სავარაუდოდ აღნიშნული საკითხზეც იმსჯელებენ.**

### გზების რეაბილიტაცია დაიწყო

**თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა დედაქალაქში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. გუშინ დაიწყო ნაძალადევის მეტროდან კინო საქართველომდე მონაკვეთზე ტრამვაის რელსების აყრა და ახალი გზის დაგება.**

**როგორც კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა კოზა სუხელიანმა აღნიშნა, გზის ამ მონაკვეთის მოწესრიგებას 17 სამუშაო დღე დასჭირდება.**

**მიმდინარე წელს დედაქალაქში სულ 54 ქუჩა შეკეთდება. ამისთვის თბილისის ბიუჯეტში 60 მილიონი ლარია გათვალისწინებული. აქედან 54 მოხმარდება ასფალტის ახალი საფარის დაგებას, ხოლო დარჩენილი თანხა 6 მილიონი ქუჩების შეკეთებას.**

**ХО-ЭЙВ-ЭНО.**

როცა ასეთი სიყვარულია

# „მახ ვარზემ გვურძსდონ მე გვრძიაგ ადემ!“ – ჩვენ გვიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი

## ქართველების ოსი რძლები

საუკუნეთა განმავლობაში ურიცხვი მტრის ურდოებისაგან მრავალჯერ გავერანებული და აოხრებულ-აწიოკებული ივრის ხეობა დღეს ზღაპრულ სილამაზესთან ერთად ეთნიკური მრავალფეროვნებითა და მშვიდი ცხოვრებით გამოირჩევა. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსეთის თვითმპყრობელობამ ლეკთა თარეშის აღსაკვეთად გომბორში რუსული სამხედრო დასახლება შექმნა, ცივ-გომბორის ქედის დასავლეთის მხრის კალთებზე მალაკნები დაასახლა და სოფელი რუსიანი გაჩნდა (ამჟამად იქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ). XX ს-ის დასაწყისში ზოგიერთმა მდიდარმა ფშაველმა ლაჰიჯების ტომის რამდენიმე კაცი მენახშირეებად ჩამოიყვანა. აზერბაიჯანელებსაც მოეწონათ აქაურობა და მათაც გომბორში დამკვიდრება ირჩიეს. ამავე საუკუნის დასაწყისში რუსულმა ხელისუფლებამ ოსებსაც მისცა აქ ცხოვრების უფლება და ასე გაჩნდა ივრისპირა ოსური სოფლები: პალდო, მუხიანი, ოთარაანთკარი, სასადილო (საგარეჯოს რ-ნი) და ბოჭორმა (თიანეთის რ-ნი).

უკვე საუკუნეზე მეტია ქართველებთან ერთად მთის მკაცრ პირობებში ცხოვრობენ რუსები, ოსები, აზერბაიჯანელები. მიუხედავად ეთნიკური ნიადაგზე შუღლი არასოდეს ჩამოვარდნილა. ეს დღევანდელ ფონზე უფრო მეტად გამოჩნდა, როცა მავანნი მესამე, გამთიშველ ძალას უსმენენ და მათ ანკესზე ქიაყელით მოტყუებული თევზებივით ეგებიან. ივრის ხეობის ოსი მოსახლეობა უფრთხილდება აქაურებთან უკვე ჩამოყალიბებულ მყარ ურთიერთობას. შვილები ადგილობრივ ქართულ სკოლებში დაჰყავთ, შემდეგ განათლებას იღებენ და კარგ თანამდებობებზეც ინიშნებიან. მათ აქ „ობლობა“ არასოდეს უგრძვნიათ.

გაგაცნობთ ქართველების ორ ოს რძალს: ლალა ფარასტაშვილსა და დალი ცანდიშვილს, რომელთა ნააზრევი უმნიშვნელო არ უნდა იყოს თანამემამულეთათვის.

**ლალა ფარასტაშვილი:** დავიბადე თიანეთის რაიონის სოფელ ბოჭორმაში, წარმოშობით ჯავიდან ვართ. გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩამოსახლებულა პაპაჩემი აქ. დედა საბანაშვილების ქალი იყო. დაბა სიონის საშუალო სკოლა დავამთავრე, შემდეგ სპეციალობით პოლიგრაფისტი გავხდი, მაგრამ ველარ ვიმუშავე, რადგან შემიყვარდა კოჭბანელი ფშაველი ბიჭი, ემზარ თეთრაული, და ოჯახი შევქმენით. ქალ-ვაჟი მყავს 14 წლის ნინო და 13 წლის აკაკი.





სიმრავლისა, მათ ყოველთვის კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვთ. იცავენ მამაპაპურ ტრადიციებს და პატივს სცემენ ერთმანეთის ზნე-ჩვეულებებს, ჭირი და ლხინი ერთი აქვთ. სახლებში მისვლა-მოსვლით ულოცავენ ერთმანეთს შობა-ახალ წელსა და ნოვრუზბაირამს, ათენგენობასა და გიორგობას...

აქ მართლმადიდებელი ოსები ცხოვრობენ, რომელთა ტრადიციებში, მთიელობისამებრ, შერწყმულია ქრისტიანული და წარმართული. ესენიც ბოჭორმის წმინდა გიორგის მლოცველები არიან.

ერთსაუკუნოვანი კეთილი ურთიერთდამოკიდებულება ამ ხალხებს შორის ვერავინ დაარღვია (რაღა დასამალია, იყო მცდელობაც). აქ ეროვ-

რა გვაქვს გასაყოფი ოსებსა და ქართველებს? ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, გარეული მოვიდა, შინაური გააგდოო, ისე ხომ არ მოგვდის? კავკასიელები ვართ, საერთოც ბევრი გვაქვს. თუ ზუსტად მახსოვს, ათასწლეულზე მეტია, ჩვენ კეთილი მეზობლები ვართ, მეფეთა ცხოვრებითაც კი ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ქრისტეს წინარე მესამე საუკუნეში ოვსეთის მეფე გახლდათ ქართული მწიგნობრობის შემქმნელის, ფარნავაზის დისწული. გიორგი პირველის მეორე ცოლი ოვსთა მეფის ასული ალდე იყო, რომელთანაც მეფეს დემეტრე შეეძინა. ოვსთა მეფის ურდურეს ასული იყო აგრეთვე, ბაგრატ IV-ის მეორე ცოლი, ბორენა. თამარ მეფის დედაც ხომ ოვსთა მეფის ხუდანის ულამაზესი ასული ბურდუხანი იყო (მისებრი რძალი არ ეხილაო ქართლის თემსაც). ოსეთის მეფის ჯადრონის ვაჟიშვილი იყო დავით სოსლანიც. ძალიან მიყვარს საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით – დავით აღმაშენებელი, მისი უმცროსი ასულიც ხომ ოსეთის მეფის, დავითის ცოლი გახლდათ. დიდგორის ომში ქართველთა ლაშქარში თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ხუთასი ალანი იბრძოდა.

ჩვენი კავშირები ძველისძველია და ურყევი. ცდილობენ, მაგრამ ჩვენს ერებს ვერ გახლეჩენ. მსოფლიო ისტორიაში სეპარატიზმს ნგრევის მეტი არაფერი მოუტანია. კოკოითის „საომარი მოწოდებების“ შემდეგ, სეპარატისტთა სამხედრო ნაწილებმა ჯავაში წვრთნები დაიწყეს. ჩვენ, უბრალო ხალხი, კარგად ვხედავთ რომ კოკოითი რუსეთის გულის მოგებას ცდილობს. ცხინვალში ომის პროვოცირებით იგი მოსკოვს გაახარებს, მაგრამ ის ავიწყდება, რომ ამ კონფლიქტის დროს პირველ რიგში ოსური მხარე დაზარალდება.

მჯერა, მალე ყველაფერი კალაპოტში ჩადგება, რადგან ჩვენს ხალხებს ომი არ უნდა და სახალხო დიპლომატია უფრო ძლიერია. ვერც სხვის მიწას მიიტაცებ ასე ადვილად; რას ვეუბნებით წინაპართა ნათელ სულებს? კულახმეტოვები და მისთანანი წარმავალნი არიან, ჩვენ კი ისევ ერთად უნდა ვიცხოვროთ, ჭირი და ლხინი ერთი გვაქვს, ერთი ჰაერით ვსუნთქავთ...

**დალი ცანდიშვილი:** ჩემი წინაპრები 30-იან წლებში ცხინვალიდან გადმოსახლებულან სოფელ სასადილოში. აქ დავიბადე, ჩემი მამა-პაპა აქ მარხია. დედა მარღიშვილების ქალი იყო. ქართველებისა და ოსების მეზობლობაში გავიზარდე. აქვე კოჭბანში გავთხოვდი. ჩემი მეუღლე ქართველია, მთიული, ვაჟა დიდებაშვილი. სამი შვილი გვყავს: მარიკა, თამუნა და ნიკა. თითქმის ოცი წლის ოჯახი გვაქვს. ტელევიზიისა და პრესის საშუალებით ცხინვალის თვითმარქვია ხელისუფლების პოზიციის შესახებ რომ ვისმენ, ძალიან განვიცდი. საქართველომ ჩვენ საკუთარი შვილებივით მიგვიღო, ენაც შეგვინარჩუნეს და ეროვნებაც. ყველა გვეფერება, ქართველი ხალხისგან დიდ სიყვარულს ვგრძნობთ. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ლიახვის, ქსნისა და თერგის სათავეებში მხოლოდ რამდენიმე ოსური სოფელი ყოფილა. XIX საუკუნის მანძილზე ოსების მიგრაციამ ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ინტენსიური ხასიათი მიიღო, ისინი თანდათან ბარშიც სახლდებოდნენ და სამაჩაბლოს, ძირძველ ქართულ მიწა-წყალს, ოსეთს ეძახი, შე დალოცვილო?! ისეთი სიტყვა უნდა თქვა, – ღვთის წინაშე მართალი იყო!

საბჭოთა კავშირი როცა დაიშალა, ჩვენებური რამდენიმე ოჯახი ვლადიკავკაზში გადასახლდა საცხოვრებლად. მე მინახავს ისინი, მისაუბრია მათთან და ვიცი, დღესაც როგორ ნანობენ და ჩივიან: ქართველებისთანა გულთბილ ხალხს სად ვნახავთ, ძალიან გვენატრება საქართველო და ჩვენი ნაფუძარიო.

საქართველოში სხვა ეროვნების ხალხი არასოდეს დაჩაგრულა. არ უნდა ავყვეთ შუღლის გამჩაღებლებს. ურთმანეთოდ ჩვენთან სუფრები არ იშლება. რას ჰგავდა ოსი სეპარატისტების საქციელი, როცა ცხინვალის რეგიონში შობა-ახალი წლის მისალოცად შესულ „კოკა-კოლას“ ხელმძღვანელობასა და საჩუქრებით დატვირთულ მანქანებს ტყვია დაუშინეს, მეგაფონები და კასეტები წაართვეს. ჩრდილო ოსეთიდან ჩამოყვანილი მოხალისეების სიმრავლეც მაშფოთებს.

ქართველები და ოსები ერთად ვლოცულობთ ბოჭორმის წმინდა გიორგის სალოცავში, ერთად ვანთებთ სანთელს, ვკლავთ საკლავს, ვევედრებით ქვეყნისა და ჩვენი ოჯახების სიძლიერეს. დაე, მისი მადლი და კალთა გვფარავდეს ყველას! მტრობას სიკეთე და ბედნიერება ჯერ არავისთვის მოუტანია... ჩვენ ქართულ მიწაზე დავიბადეთ, აქ გვინდა ცხოვრება. „მახ ვარზემ გვურძსდონ მე გვრძიაგ ადემ!“ ეს ქართულად ასე ითარგმნება: ჩვენ გვიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი!

**ლეილა არჩემაშვილი**

**სურათებზე: ლალა ფარასტაშვილისა და დალი ცანდიშვილის ქართულ-ოსური ოჯახები.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

ინფორმაცია

### არტილერიის დღე აღნიშნეს

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გუშინ არტილერიის დღე აღნიშნეს. მე-13 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია საარტილერიო ბრიგადის ტერიტორიაზე გაიმართა.

არტილერისტებმა, ბრიგადის მეთაურის, პოლკოვნიკ მამუკა ფარესიშვილის ხელმძღვანელობით საზეიმო სამწყობრო სვლა გამართეს. საიუბილეო დღესთან დაკავშირებით, სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად და პროფესიულ დონეზე შესრულებისთვის 10 არტილერისტი საპატიო სიგელით დააჯილდოვეს, 36-ს კი მადლობა გამოეცხადა. სიგელები მათ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელის ბრძანებით გადაეცათ. რამდენიმე საარტილერიო ქვედანაყოფი სპეციალური თასებით დაჯილდოვდა.

თასები მათ არტილერიის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო გამოყენებითი სპორტის სახეობებსა და საბრძოლო სახეობებში ჩატარებულ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის გადაეცათ.

საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მამუკა კუდავა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ბრიგადის გენერალი ჯიმი ზარიძე, ასევე საქართველოში აკრედიტებული სამხედრო ატაშეები.

ოფიციალური ცერემონიის დასრულების შემდეგ სტუმრებმა ბრიგადის ტერიტორიაზე განლაგებული სხვადასხვა ტიპის თვითმავალი ქვემეხები, ნაღმტყორცნები, სადაზვერვო მართვის მოწყობილობები და რეაქტიული დანადგარები დაათვალიერეს.

### კონკურსი „სასოფლოში“

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური თანამდებობების, მათ შორის, პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს. პრეტენდენტებს 6-10 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, ასევე საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის გამოცდილება უნდა ჰქონდეთ.

წარმოდგენილ განცხადებებს საფაკულტეტო საკონკურსო კომისია განიხილავს, მათ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დაამტკიცებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს განცხადებების შეტანა კომისიაში ერთი თვის განმავლობაში შეეძლებათ.

ინტერპრესნიუსი

გვწერენ

# სამედიცინო დაზღვევის ახალი პროგრამა პენსიონერებისთვის

**დღეს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ყველაზე მეტად სამედიცინო მომსახურების პრობლემები აწუხებს. ამიტომაც, ქ. თბილისის მერიამ გადაწყვიტა დაეფინანსებინა პენსიონერთა ამბულატორიული და მედიკამენტური სამედიცინო მომსახურება („ჯი-პი-აი ჰოლდინგის“ პოლისი).**

მე მარტოხელა პენსიონერი ვარ. პოლისი მივიღე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში. მიმაგრებული ვარ მოზრდილთა მე-3 პოლიკლინიკაში, რომელიც გამოირჩევა კარგი სპეციალისტებით. პოლიკლინიკას სათავეში უდგას გულისხმიერი და სათნო ქალბატონი ნანა ასათიანი.

აქ ყველა პირობაა შექმნილი პენსიონერთა მომსახურებისთვის: გამოყოფილია ფართო და ნათელი ოთახი პოლისების რეგისტრაციისთვის, სადაც თბილად შეგვხვდებათ ახალგაზრდა ქალბატონი ლეილა გოგელიანი და მისი ასისტენტი გიორგი კაპანაძე. აქვე იმართება შეხვედრები პენსიონერებთან, ატარებენ საუბრებს პოლისის გარშემო გასაგებ ენაზე, დამატებით ახსნა-განმარტებებს აძლევენ, თუ როგორ უნდა ისარგებლონ პოლისით. ჩემთვის გასაგები გახდა, რომ აქ შესაძლებელი იქნება ანალიზების გაკეთება, რეცეპტის უფასოდ გამოწერა და წამლების 30 პროცენტის ფასდაკლებით მიღება, ზოგიერთისა, – უფასოდაც კი!

ექიმმა ლეილა გოგელიანმა და ბატონმა გიორგი კაპანაძემ ყველას მიმართ სათანადო ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინეს, გამოავლინეს დიდი შინაგანი კულტურა, რისთვისაც მათ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთვის, მარტოხელა პენსიონერებისთვის, წამალზე უკეთესი ზემოქმედება ხშირად ტკბილ სიტყვას და თბილ მოპყრობას აქვს. სწორედ ამ სითბოსთვის და კეთილი მოპყრობისთვის დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ, აგრეთვე აღნიშნული პროექტის მონაწილე ყველა სახელმწიფო უწყებას, პირველ რიგში კი – ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

**ვიოლეტა მგელაძე,**
**პენსიონერი**

შევნიშნეთ, ვასწორებთ...

ჩვენი გაზეთის 15 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „გაუაზრებელმა რეფორმებმა დასავლური სასკოლო განათლება დაღუპა...“ გაიპარა დასანანი უზუსტობა. პირველი სვეტის მეოთხე აბზაცის მეექვსე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე (ყველაფერი ეს მოხდა რამდენიმე თაობის განმავლობაში დაახლოებით 26-ე საუკუნეში ქრისტეშობამდე) შემდეგ როგორც ტექსტშია.

## მილორად პავიჩი



# ხაზარული ლექსიკონი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 51-52.

დაუბმანუსის✡ მიხედვით კი არც ერთი ვერსიაა სწორი და არც მეორე. ხაზარულ სახედ იგულისხმებოდა ყოველთა ხაზართა ის უნარი და თავისებურება, ცხადია, სეფექალ ატეჰისიც, რა უნარისა და თავისებურების წყალობითაც ისინი ყოველდღე სულ სხვა, სრულიად ახალი და უცნობი სახის ადამიანებად იღვიძებდნენ, ასე რომ უახლოესი თვისტომნიც კი ძლივსღა სცნობდნენ ხოლმე ერთმანეთს. თუმცა, მოგზაურნი აღნიშნავდნენ, ხაზარნი სავსებით ერთნაირი სახისანი არიან სუყველანიო, არც ერთს არცროდის არ ეცვლება სახეო, რაც ათასგვარ გართულებასა და გაუგებრობას იწვევსო. ასე იყო თუ ისე, საქმის არსზედ ეს ამბავი გავლენას ვერ ახდენს, და ხაზარული სახე იმ სახეს ნიშნავს, რომლის დახსომებაც ძალზედ ძნელია. ამით შეიძლება არა მარტო ლეგენდის ახსნა, რომლის მიხედვითაც ხაკანის კარზედ გამართული ხაზარული პოლემიკის▽ თითოეულ მონაწილეს სეფექალი ატეჰი სულ სხვადასხვა სახით ეჩვენებოდა, არამედ იმ ცნობისაც, რომ არსებობდა სამი სეფექალი ატეჰი — ერთი მუსლიმან, მეორე ქრისტიან, მესამე კი ებრაელ მისიონერთა და სიზმართა წარმთქმელ-ამხსნელთათვის. თუმცა, ფაქტად რჩება ის ამბავი, რომ ატეჰის ყოფნა ხაზართა სამეფო კარზედ აღნიშნული არ არის იმჟამინდელ ქრისტიანულ წყაროში, რომელიც დანუსხვილია ბერძნულად და თარგმნილია სლავურ ენაზედ *(წმ. კირილეს✝ — კონსტანტინე სოლუნელის ცხოვრება)*, თუმცა ამასთანავე, *ხაზარული სიტყვისკონიდან* ცნობილია, რომ ერთ ხანს ბერძენ და სლავ მონაზვნებში სეფექალ ატეჰის რაღაც კულტის მსგავსი რამ არსებობდა. ეს კულტი იმ რწმენამ გააჩინა, რომ ატეჰმა პოლემიკაში ებრაელ ღვთისმეტყველს სძლია და გაქრისტიანდა ხაკანთან ერთად, რომელზედაც მაინც არ შეიძლება იმის თქმა, მამად ეკუთვნოდა ატეჰს, უღელტოლად თუ ძმად. შემონახულია (ბერძნულად თარგმნილი) სეფექალ ატეჰის ორი ლოცვა, რომელთაგან არც ერთი არ ყოფილა ოდესმე კანონდებული, თუმცაღა დაუბმანუსს ერთიცა და მეორეც მოჰყავს ვითარცა ხაზართა სეფექალის *„მამაო ჩვენო“* და *„გიხაროდენ, მარიამ!“*. პირველი ამ ლოცვათაგან აგრე ჟღერს:

*ჩვენს გემსა ზედა, მამაო ჩემო, ზღვის კაცნი ჭიანჭველებსაებრ ფუსფუსებენ, დღეს დილით მე ჩემის თმით მოვაკრიალე აქაურობა, და ისინი, ჩვენი ზღვის კაცნი, გაკრიალებულ ნაქვს-ანძებზედ დაცოცავენ და თავიანთ ბუდეში ისე ეზიდებიან მწვანე აფრა-იალქანთ, ვითომც ყურძნის ტკბილი ფოთლებიო. მესაჭე კიჩოს ამოძრობას ლამობს, რა არი მხარზედ მოიგდოს ნადავლსაებრ, რომელსაც მთელი კვირიაკე იმყოფინებს საჭმელად; ვინც ყველაზედ უფრო სუსტია, ისინი მარილიან თოკთ ეწევიან და ჩვენი მცურავი სახლის სტომაქში ქრებიან იმ თოკთა თანა. ოდენ შენ არა გაქვს ესეგვარი სიყმილის უფლება, მამაო ჩემო, სიჩქარე ინთქმება, და სიჩქარის ამ ჩანთქმაში შენ გეკუთვნის, ჩემო გულო, ერთადერთო მამაო ჩემო, ყოვლის უფრო ჩქარი ნაწილი. შენ ლუკმა-ლუკმად დაგლეჯილი ქარით საზრდოობ.*

სეფექალ ატეჰის მეორე ლოცვა თითქოს ამ ქალბატონის ხაზარული სახის ამბავსა ხსნის:

*მე ზეპირად ვისწავლე დედაჩემის ცხოვრება და ყოველ დილით ერთი საათი ვითარცა სასახიობო როლს რასმე, ისე ვასრულებ სარკის წინ იმ ცხოვრებას. ეს მრავალი წელიწადი გრძელდება ყოველდღე. სანამ სარკესთან დავდგებოდე, დედაჩემის სამოსელს ვიმოსავ, მარაოსაც იმისას ვიჭერ, თმასაც იმასავით ვივარცხნი, ნაწნავიც ისეთნაირად მაქვს თავზედ შემოხვეული, ვითომცდა მატყლის არახჩინი მახურავს. დედაჩემობას სხვათა წინაშეც ვთამაშობ, ჩემი საყვარლის ლოგინშიც კი. ვნებიანობის ჟამს მე უბრალოდ არ ვარსებობ, მე კი არა, თავად დედაჩემი ვნებიანობს. რაიც შეეხება თამაშს, იმზომ კარგად გამომდის, რომ ჩემი ვნება ქრება და ოდენ დედაჩემისღა რჩება. სხვაგვარად თუ ვიტყვით, მან წინასწარვე განმძარცვა ჩემი სასიყვარულო მგრძნობელობისგან. გარნა, რა ვქნა, არ ვამტყუნებ, რამეთუ ვიცი, რომ ისიც ზუსტად ჩემსაებრ თავისი დედისაგან იყო გაძარცული. უკეთუ მავანი და მავანი აწ მკითხავს, რა საჭიროა ეგოდენი თამაშიო, მივუგებ: რა საჭიროა და, ხელახლად დაბადებასა ვცდილობ, ოღონდ ისე, საქმე უკეთესად გამოვიდეს-მეთქი...*

სეფექალ ატეჰის შესახებ ცნობილია, რომ მან ვერცროდის მოახერხა სიკვდილი. თუმცა არის ერთი მინაწერი, სილამაზის გულისთვის წვრილად დასვრეტილ დანაზედ ამოკვეთილი, სადაც ატეჰის სიკვდილზეა ლაპარაკი. ეს ერთადერთი და არცთუ სრულად სარწმუნო გადმოცემა დაუბმანუსს✡ მოჰყავს, ოღონდ არა როგორც სეფექალ ატეჰის უეჭველი სიკვდილის ამბავი, არამედ როგორც განსჯა იმის თაობაზედ, შეეძლო თუ არა ატეჰს საერთოდ სიკვდილი. ვით ღვინისგან თმა არ ჭაღარავდება, ისე არც ამბავი ესე იქნება მაზნევარი, ანუ მავნე. ამბავსა ჰქვია:

### მალი და ნელი სარკე

ერთხელ ახალ გაზაფხულზედ სეფექალმა ატეჰმა ბრძანა: ჩემს აზრებს ისეთნაირად მივეჩვიე, ვითარცა კაბებს ჩემსასაო. წელში ისინი მიწყივ ერთი და იმავე სიგანისაა, და საითაც გავიხედავ, ყოველგან ვხედავ, გზაჯვარედინებზედაც კიო. რაც ყოვლის უარესია, ის არის, რომ ამ ჩემი კაბებისა გამო უკვე არც ერთი გზაჯვარედინი აღარა ჩანსო.

მხევალთ სეფექალს გასართობად ორი სარკე მიუტანეს. ისინი თითქმის არცრით განსხვავდებოდნენ სხვა ხაზარულ სარკეთაგან. ერთიცა და მეორეც გაპრიალებული არძანისგან, ანუ მარილის ქვისგან იყო ნახელოვნები, ოღონდ ერთი მალი იყო, მეორე კი ნელი. მალს რაც არ უნდა ეჩვენებინა, ქვეყნიერებას ისე ირეკლავდა, ვით მომავლისგან ვალად აღებულს, ნელი პირველის ვალს იხდიდა, რადგან ის ზედმიწევნით იმდენითვე იგვიანებდა, რამდენითაც პირველი მიდიოდა წინ. როს სარკეები სეფექალ ატეჰს წინ დაუდგეს, იგი ჯერეთ კიდევ ლოგინში ნებივრობდა და ქუთუთოთაგან ჩამორეცხილი არა ჰქონდა ზედ მიწერილი ასოები. როგორც კი მან სარკეში თავისი თავი თვალუხვამი, ანუ თვალდახუჭული მოიხილა, უმალ განუტევა სული. სეფექალი ორ წამში გაქრა, როს თვისთა ქუთუთოთა ზედან მიწერილი მომაკვდინებელი ასოები პირველად წაიკითხა, იმიტომ რომ სარკეებმა აირეკლეს, ვითარ დაახამხამა მან თვალები თავის სიკვდილამდეც და მერეც. იგი აღესრულა ერთჟამიერად წარსულისა და მომავლის ასოებით განგმირული...

## წითელი წიგნი

### ქრისტიანული წყაროები ხაზართა საკითხის შესახებ



**ბრანკოვიჩი აბრამი** (1651-1689) — ერთი იმათგანი, ვინც ამ წიგნს წერდა. დიპლომატი, მსახურობდა ადრიანოპოლში და ცარგრადში პორტას კარზედ, მხედართმთავარი ავსტრია-თურქეთის ომებში, ენციკლოპედისტი და ერუდიტი, ბრანკოვიჩის პორტრეტი ხატია კუპინიკში, ბრანკოვიჩთა საგვარეულო მამულში თვითონ აბრამისავე მიერ დაფუძნებული წმინდა პარასკევას ტაძრის კედელზედ. აქ ის გამოსახულია ნათესავ-მისადევართა გარემოცვაში, თავის დიდ ბებიას, პაპის დედას, სერბ დედოფალსა და წმინდანს, ღირს დედა ანგელინას ხმლის წვერზედ შეყენებულ წმინდა პეტკას ტაძარს აწვდის.

**წყაროები. ცნობები აბრამ ბრანკოვიჩზედ გაბნეულია ავსტრიელ მსტოვართა ანგარიშებსა და ბეზღდასმენებში, განსაკუთრებით ბევრია ისინი იმ პატაკებში, რომელთაც ბადენის პრინცისა და გენერალ ვეტერანისათვის ადგენდა ბრანკოვიჩის ორი მდივან-მწიგნობრიდან ერთ-ერთი, ნიკონ სევასტი✝. გარკვეული ადგილი დაუთმო აბრამ ბრანკოვიჩს, თავის ნათესავს, გრაფმა ჯორჯე ბრანკოვიჩმაც (1645-1711) თავის ვლახურ მატიანეში და რამდენიმე ვრცელ სერბულ ქამთააღწერაში, მეტადრე იმ ნაწილებში, რომლებიც, სამწუხაროდ, ამჟამად დაკარგულია. ბრანკოვიჩის უკანასკნელი დღეები აღწერა ავერკიე სკილამ✝, რომელიც მსახურად და ხმალდახმალ ბრძოლის მასწავლებლად ჰყავდა...**

**ბრანკოვიჩის ცხოვრების ქამთარიგის ყველაზედ უფრო სრულად აღდგენა შეიძლება იმ წვლილად დანუსხვილი აღსარების კვალობაზედ, რომელიც კოლონეთიდან პეჩში გაუგზავნა პატრიარქს აბრამ ბრანკოვიჩის მეორე მდივან-მწიგნობარმა თეოქთისტე ნიკოლსკიმA, აგრეთვე ილია წინასწარმეტყველის ცხოვრებისა და სასწაულთა ამსახველი ერთ-ერთი ხატის საფუძველზედ, რამეთუ ბრანკოვიჩი ამ წმინდანის ცხოვრების სუყოველ ეპიზოდს თავისი ცხოვრების ამბავთ უფარდებდა და ამისთაობაზედ ნაფიქრ-ნააზრევს ხატის უკანა მხარეს წერდა.**

„აბრამ ბრანკოვიჩი იმ ოჯახის მოდგმისაა, დუნაისპირეთის მხარეში სამხრეთიდან რომ მოვიდა, სერბთა სამეფოს დამხობის შემდეგ, როცა იგი თურქეთის ქვეშევრდომი გახდა“, — ნათქვამია ვენის სამეფო კარისთვის გაგზავნილ ნიკონ სევასტის საიდუმლო პატაკში. „ამ ოჯახის წევრნი, თურქთა მიერ დაჭერილი ადგილებიდან აყრისა და გამოსვლის მაშინ აზვირთებულ ტალღაში მოქცეულნი, XVI საუკუნეში ლიპოვოსა და ენეპოლის ოლქში გადასახლდნენ. მას უკან ტრანსილვანიელ ბრანკოვიჩებზედ ამბობენ, ეგენი რუმინულად ცრუობენ, ბერძნულად მდუმარებენ, ებრაულად ითვლიან, ეკლესიაში რუსულად გალობენ, ყოვლის უფრო ბრძნულ აზრთ თურქულად წარმოთქვამენ — და მხოლოდ მაშინ, ოდეს ვისიმე მოკვლა უნდათ, იყენებენ თავიანთ მშობლიურ სერბულ ენასაო. წარმომავლობით ესენი დასავლეთ ჰერცეგოვინიდან არიან, ტრებინიის სანახებიდან, გორნი პოლიცის ლასტვას ახლოისად მდებარე სოფელ კორენიჩიდან, საიდანაც წარმოდგება ამათი მეორე გვარი — კორენიჩი. გადასახლების შემდგომ ბრანკოვიჩთ თვალადსაჩენი ადგილი უჭირავთ ტრანსილვანიაში, ამათი ღვინო ვლახეთში უკვე ორასი წელიწადი ყოვლის საუკეთესოდ არის მიჩნეული, ანდაზაც კია: ბრანკოვიჩთა ღვინითაო აივსები ლხინითაო. ბრანკოვიჩთა სახლეულმა თავი გამოიჩინა არა ოდენ სამხედრო ხელოვნებაში ორი საუკუნისა და ორი სახელმწიფოს — უნგრეთისა და თურქეთის საზღვარზედ მომხდარ შეტაკებათა ჟამს. ახალ ადგილას, მდინარე მორიშის მიდამოებში, ენოპოლში, ლიპოვასა და პანკოტში, ამ გვარის არა ერთი და ორი ფრიად სახელგანსმენილი მღვდელმსახური იღვწოდა. მოსე ბრანკოვიჩი, იგივე ეპისკოპოსი მათე, ენოპოლის მიტროპოლიტი იყო, და კაკალი, რომელსაც ის დუნაიში ჩააგდებდა ხოლმე, მუდამ სხვის ჩაგდებულზედ უფრო სწრაფად ხვდებოდა შავ ზღვაში. ძე ამ მოსე-მათესი, გრაფ გიორგი ბრანკოვიჩის ბიძა — სოლომონი (ენოპოლის ეპისკოპოსობისას საბა I იყო წოდებული) ენოპოლისა და ლიპოვის ეპარქიებს ცხენიდან ჩამოუხდომლად მართავდა და წყალსაც მხოლოდ უნაგირზედ მჯდომარე სვამდა მანამ, სანამ თურქთ 1607 წელს ლიპოვა არ აიღეს. ბრანკოვიჩნი ამტკიცებენ, სერბი დესპოტები რომ იყვნენ ბრანკოვიჩებიო, ჩვენი გვარი იმათგან მოდისო, ხოლო სიმდიდრე საიდან ჩაიგდეს ხელში, ძნელი სათქმელია. ამბობენ, ბრანკოვიჩების ჯიბეში ცხადლივ იმდენი ჩახჩრიალებს, რამდენიც კავალადან ზემუნამდე სუყველა ქვაწვია მეღუქნეს ერთად არ დაესიზმრებაო. ამათი თელიანი ბეჭდები ასპიტის სხეულსავით ცივია, ამათ მიწა-წყალს ჩიტი ერთი გაფრენით ვერ შემოუფრენს, ხალხურ სიმღერებში კი ამათაც ისევე უმღერიან, ვითარცა ქვეყნის თავკაცთა და მოურავთ. ბრანკოვიჩები ვლახეთში და ათონზედ საბერძნეთში მონასტერთ მფარველობენ, სადაც ადგილი მოუვათ თვალში, ისეთსავე ციხესიმაგრეებსა და ეკლესიებს აგებენ, როგორიც რომ აგებულია სატახტო ქალაქ ბელგრადში, კუპნიკში ანდა ტეუსად სახელდებულ დაბაში. თავადმა ჟიგმუნდ რაკოციმ დედის მხრივ ბრანკოვიჩის ნათესავ-მისადევართ სოფლები და ტრამალები შესძლვნა, აზნაურობა უბოძა, დედისავე მხრივ ესენი ერდელელ სეკელებს ენათესავებიან, რომელი ერდელიდანაც მზითვის სახით ცოტა რამ როდი შეემატა ამათ ავლადიდებას. აქავე უნდა შევნიშნოთ, რომ ბრანკოვიჩთა გვარში მემკვიდრეობა შვილიდან შვილზედ წვერების ფერისდა კვალობაზედ გადადის. ქალწვერიანი მემკვიდრენი (ქალი წვერი კი დედის მხრიდან მოსდგამთ, რამეთუ ბრანკოვიჩნი ცოლად მხოლოდ ქალთმიანთ ირთავენ) მემკვიდრეობის მიღების უფლებას შავწვერებიანთ უთმობენ, რომელთა წვერებიც იმის დასტურია, რომ ისინი მამის მოდგმისანი არიან. ბრანკოვიჩთა ადგილ-მამული ამჟამად დაახლოებით ოცდაშვიდ ათას ფორინტად არის შეფასებული, ამ ადგილ-მამულის წლიური შემოსავალი კი ერთ-ნახევარ ათასზედ მეტია. და უკეთუ ამათ გვარტომობას შეუძლია თუნდაც მცირე რამ ეჭვის აღძვრა, არავითარ ეჭვს არ იწვევს ამათი შეძლებულობა, რომელიც ისევე საიმედო და მკვიდრია, ვითარცა ის მიწა-წყალი, რომელზედაც ესენი ამხედრებულნი ვლიან, და ამათ ზანდუკებში ხვავრიელად გადანახულ ოქროს ფულს დღის შუქი არ უნახავს ორას წელიწადზედ მეტია...

ცარგრადს აბრამ ბრანკოვიჩი კოჭლი მოევლინა, გაორმაგებულ ფეხსაცმლის ქუსლზედ შემდგარი, და იქ ამბად ჰყვებიან, სად და ვითარ დასახიჩრდა. აბრამი შვიდი წლისა ყოფილა, მამამისის სამფლობელოს თურქნი რომ შესევიან და თავს დასცემიან იმ მსახურთა მცირე ჯგუფს, რომელთაც ბავშვი სასეირნოდ ჰყოლიათ გაყვანილი. თურქთა დანახვაზედ მსახურნი უმალ გაქცეულ-გამოქცეულან, აბრამთან მარტო ერთი ბერიკაციღა დარჩენილა, და ის თურმე კარგა ხანს მარჯვედ იგერიებდა გავეშებულ მხედართ, სანამ მომხდურთა მეთაურს იმისთვის პირიდან ისარი არ უსვრია, რომელიც კბილებშუა მოქცეულ ლელქაშის ღეროში ჰქონოდა დამალული. ბერიკაცი მოცელილივით წაქცეულა, აბრამს კი, ხელთ შოლტი რომ სჭერია, მთელი ძალ-ღონით მოუქნევია და თურქისთვის შიგ ჩექმებიან ფეხებში უწყვეტია. ბიჭს იმ შოლტის მოქნევაში მთელი თავისი სასოწარკვეთილება და მძულვარება ჩაუტანებია, გარნა თურქს ერთი გაუცინია, სოფლის გადაწვა უბრძანებია და ცხენი დაუოთხებია. წლები კუებსავით მიჩოჩავდნენ, აბრამ ბრანკოვიჩი წამოიზარდა, ეს შემთხვევა დავიწყებას მიეცა, რამეთუ სხვა ბევრი ახალი შეხლა-შემოხლა მოხდა, და ბრანკოვიჩი აწ თავად უძღვებოდა თავის მეომართ, ხელთ დროშა ეპყრა და პირში მოწამლულისრიანი ლელქაშის ღერო ეჩარა. ერთხელაც ამ თავის ლაშქართან ერთად იგი გზად მტრის მსტოვარს გადაეყრა, რომელიც თავის შვილთან, ჯერეთ კიდევ პატარა ბიჭთან ერთად იყო. თვალად ერთიცა და მეორეც სრულიად უწყინრად გამოიყურებოდა, ხელთ ერთსაც ჯოხი ეჭირა და მეორესაც. ბრანკოვიჩის ერთ-ერთ კაცს ეცნო უკვე კარგა შეხნიანებული მსტოვარი, ცხენდაცხენ ზედ წაადგა, შეპყრობა დაუპირა. მოხუცი ჯოხს უქნევდა, არ ნებდებოდა. მაგას მაგ ჯოხში დასტურ საიდუმლო რამ უსტარი აქვს გრაგნილად გადამალულიო, ეჭვი შეეპარა სულყველას. ბრანკოვიჩმა მოწამლული ისარი სტყორცნა და მოკლა მოხუცი. პატარა ბიჭმა, მოხუცს რომ ახლდა, მყისვე ჯოხი დაჰკრა ბრანკოვიჩს. ბიჭი, ალბათ, შვიდი წლისაც არ იქნებოდა, და მთელ იმის ძალას, სიძულვილსა და სიყვარულს თითქოს ვერცრა უნდა ევნო ბრანკოვიჩისთვის, მაგრამ ბრანკოვიჩმა ერთი კი გადაიხარხარა და მოცელილივით დაეცა.

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

**(გაგრძელება იქნება)**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ახალი დემოკრატიებს მხარდაჭერა სჭირდება...

**ის ეპოქა წარსულს ჩაბარდა, როცა ევროპას შეიძლება ჰქონოდა ამერიკის იმედი მომიჯნავე ტერიტორიებზე ომის წარმოების ან მშვიდობისა და დემოკრატიის დამყარების საქმეში. ევროპის კავშირის გაფართოების კვალობაზე და, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის გაზთან დაკავშირებულმა კრიზისმაც გვიჩვენა, ასეთ ქვეყნებს განეკუთვნება არა მარტო უკრაინა, არამედ საქართველოც. და მართლაც, როგორც უკრაინა, ისე საქართველო დღეს აბარებენ ტესტს დემოკრატიაზე, რისი იგნორირების უფლებასაც ევროპა ვერ მისცემს თავის თავს.**

საქართველო იყო პირველი პოსტსაბჭოური ქვეყანა, რომელმაც მოახდინა „ფერადი რევოლუცია“, და, ასეთი გზით უჩვენა ყველას, რომ ამ ქვეყნის ხალხმა არჩევანი გააკეთა დემოკრატიისა და ევროპული ღირებულებების სასარგებლოდ. ევროპის კავშირის დროშები, რომლებიც მას შემდეგ საქართველოს ყველა სახელმწიფო შენობაზე ფრიალებს, უსვამენ ხაზს ბუნებრივ კავშირს, ისეთივე ძველს, როგორც ქვეყნის ისტორიაა, რომელსაც ძველი ბერძნები მათთვის ცნობილი სამყაროს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ. პრომეთეოსი, მედეა, ამორძალები და ნოეს კიდობანი ჩვენს მეზობელ სომხეთში — ჩვენი მითების ევროპა აქ იწყება.

თავისი ისტორიით, კულტურითა და ტრადიციებით, მათ შორის, კრიტიკულის ჩათვლითაც, საქართველო თავისი დამოუკიდებელი და, თუ გსურთ, მეამბოხე სულით ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ერთი შეხედვით იდეალური კანდიდატია წარმატებული დემოკრატიზაციისთვის. ამიტომ, კიდევ უფრო დიდ შეშფოთებას იწვევს ის, რომ დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში წარუმატებლობას განიცდის.

თითქოსდა ყველაფერი კარგად იწყებოდა. პოლიტიკური რეფორმები, პრივატიზაცია, ანტიკორუფციული ღონისძიებები, რეპუტაციის მქონე ისეთი ახალი ლიდერების ძებნა, რომლებსაც არ ჰქონდათ სახელი გატეხილი წინა რეჟიმებთან რაიმე კომპრომისებით, და პროევროპული საგარეო პოლიტიკის განხორციელება — ყოველივე ეს წინააღმდეგობას არ შეხვედრია. თუმცა, ამის შემდეგ ტოტალიტარული აზროვნება კვლავ გამოვლინდა იმ ლიდერებს შორის, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გამოხატავენ უმრავლესობის ნებას, მაგრამ თანდათანობით ცდილობენ მთელი ძალაუფლების ხელში აღებას.

ძველბერძნული ჰიდრას მსგავსად, საქართველოს პოლიტიკური ელიტა არასდროს არ წყვეტს კვდომას და აღორძინებას. იგივე ადამიანები და მართვის იგივე მეთოდები, რომელთა წინააღმდეგაც ილაშქრებდნენ 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუციის“ მონაწილეები, კვლავ აღმოჩნდნენ ხელისუფლებაში, იყენებენ თავიანთ პირად კავშირებს, რომლებიც დამყარებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ, აგრეთვე, თავიანთ უზარმაზარ სიმდიდრეს და პოლიტიკური მანიპულირებისა და ინტრიგების საოცრად დახვეწილ საშუალებებს.



ამას თითქმის არაფერი აქვს საერთო დემოკრატიის არსთან, რომელიც გამოიხატება არა მარტო საარჩევნო ურნებით, არამედ ხელისუფლების დანაწილებითაც. მთავრობა ერევა პარლამენტის საქმეებში, რომელიც თავის მხრივ ცდილობს მართოს მთავრობის საქმიანობა თვით ელჩების დანიშვნითა და მათი ყოველდღიური უფლება-მოვალეობის განსაზღვრის ჩათვლითაც კი (როგორც ეს მოხდა ჩემთან დაკავშირებულ შემთხვევაშიძ. და ბოლოს, რაც გაცილებით უფრო სერიოზულია, სასამართლო სისტემა ჯერჯერობით არ არის დამოუკიდებელი, რაც აკნინებს კანონის ძალას, და აფრთხობს კერძო ინვესტიციებს, რომელთა შემოდინებაც აუცილებელია ქვეყნისთვის.

საქართველოს დემოკრატია არსებობს ადამიანთა გონებაში, მაგრამ არა რეალურ ცხოვრებაში: უბრალო მოქალაქეებს პოლიტიკა კვლავ ბინძურ საქმედ მიაჩნიათ, იქ ასპარეზს უთმობენ იმათ, ვინც უკვე კარგა ხანია საქმეებს უნდა იყოს ჩამოშორებული. მაგრამ დემოკრატიის დამყარების იმედი კვლავ მძლავრია ქართველ ხალხში, სამოქალაქო საზოგადოების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს შორის.

დღეს ევროპამ უნდა ილონოს ყველაფერი იმისთვის, რომ ეს იმედი არ ჩაქრეს. შეერთებულმა შტატებმა უკვე გააკეთა ყველაფერი საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ სტაბილურობა ყოველთვის როდი იყო გაიგივებული დემოკრატიასთან ედუარდ შევარდნაძის — ყოფილი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მმართველობის პერიოდში, რომელიც პრეზიდენტის პოსტიდან გადააყენეს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად. ამერიკელები გულუხვად აფინანსებდნენ დემოკრატიული იდეებისა და ლიდერების მხარდაჭერას. მართალია, ფონდს, რომლის უკანაც ფინანსისტი ჯორჯ სოროსი დგას, არ მოუხდენია „ვარდების რევოლუცია“, როგორც ამას რუსი ნაციონალისტები ამტკიცებენ, მაგრამ იგი ქმნიდა დემოკრატიის დამყარებისთვის საჭირო პირობებს, ახალისებდა და ხელს უწყობდა მათ.

მაგრამ იმისთვის, რომ განამტკიცოს დემოკრატია, საქართველოს დღეს სჭირდება სხვაგვარი მხარდაჭერა, რომლის გაწევაც შეუძლია ევროპას. პოლიტიკური თანაფარდობა, ადგილებზე მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირება და დემოკრატია უნდა დამყარდეს ევროპული მაგალითების მიხედვით, რომლებიც გაცილებით უფრო ახლო დგას ქართულ რეალობასთან, ვიდრე ამერიკული ტიპის ანგლოსაქსური მოდელი.

ევროპა თუ არ მოისურვებს ასეთი დახმარების გაწევას, მაშინ ამით იგი არ შეასრულებს ქვეყნის წინაშე ნაკისრ ძირითად ვალდებულებებს, რომელშიც დემოკრატიას წარმატების გაცილებით უფრო მეტი შანსი აქვს, ვიდრე უკრაინაში, უზარმაზარ ტერიტორიაზე, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია საბჭოური მენტალიტეტი, უკვე არაფერს ვამბობ შუა აზიაზე. და მართლაც, თუ უარს იტყვიან საქართველოში მოულოდნელი დემოკრატიის მხარდაჭერაზე, ევროპელები ამით შეაფერხებენ დემოკრატიის პროცესს უკრაინაში, ბელორუსიასა და თვით რუსეთშიც კი.

ეს აშკარად ზრდის ფსონს: რუსეთი, მართალია, ხელს არ იღებს თავის იმპერიულ ზრახვებზე და დომინირების მეთოდებზე, მაგრამ მაინც უკვე შეეგუა იმ აზრს, რომ დემოკრატია გარდუვალია, თუნდაც მის გარემომცველ ქვეყნებში. მაგრამ ამას მუდამ უქმნის საფრთხეს თავისი ირაციონალურობით ცნობილი რუსეთის აგრესიული ქცევა, რომელიც ცდილობს სახელმწიფოს ძლიერება დაამტკიცოს იმით, რომ სარგებლობს სხვების სისუსტით.

სწორედ ამით შეიძლება აიხსნას კიდეც რუსულ გაზთან ამ ცოტა ხნის წინათ დაკავშირებული კრიზისი. ცხადია, ასევე ისიც, რომ საქართველოში და სხვა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებში დემოკრატიისგან გადახვევის ნებისმიერი ნიშანი მხოლოდ გააძლიერებს რუსეთის ნეოიმპერიულ ამბიციებს. ევროპის მოვალეობაა, დაარწმუნოს რუსეთი იმაში, რომ წარსულს ველარ დაიბრუნებს. ევროპამ უნდა იკისროს ეს როლი არა მარტო იმისთვის, რომ უზრუნველყოს სამომავლოდ ენერგომატარებლების მიწოდების დამოუკიდებლობა, არამედ იმისთვისაც, რომ ხაზი გაუსვას ევროპული თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობის ღირებულებათა რეალურ ძალას.

წარმატების მიღწევისთვის ევროპას უნდა ჰქონდეს აუცილებელი საშუალებები: მსხვილი ნახევრადსახელმწიფო ფონდი ევროპულ ღირებულებათა გავრცელების დახმარების და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერისთვის. უნივერსიტეტი ახლადწარმოქმნილ დემოკრატიათა მომავალი ხელმძღვანელების მოსამზადებლად, აგრეთვე, პოლიციის ძალები და მოსამართლეებისა და მაგისტრატების მთელი არმია იმისთვის, რომ შთაბეროს სიცოცხლე იმ ევროპულ მოდელებს, რომლებსაც სხვა ქვეყნები იღებენ მემკვიდრეობით.

მაგრამ ყველაზე მთავარი ევროპისთვის არის მტკიცე რწმენა. თუ ევროპა სადღეისოდ ვერ დაარწმუნებს თავის თავს იმაში, რომ მას შესტკივა გული მეზობლებზე, მაშინ მომავალში, ალბათ, ყველა დაკარგავს ევროპისადმი რწმენას.

**სალომე ზურაბიშვილი**
**„დენ“ (უკრაინა).**

# მოვლენები ჯავახეთში შეიძლება განვითარდეს ან ყარაბაღის, ან ნახიჭევანის გზით

**სომხეთის ხელისუფლებამ უნდა შეიგნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის თვითგამორკვევის საკითხი წმინდა პოლიტიკური საკითხია. თუ იგი არ გადაწყდება, ვერც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გადაიჭრება. ჯავახეთში მოვლენები შეიძლება განვითარდეს ან მთიანი ყარაბაღის, ან ნახიჭევანის გზით. ეს განაცხადა ერევანში 14 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე „ჯავახეთის“ საზოგადოებრივი ორგანიზაციის საბჭოს წევრმა რაზდან მადოიანმა. „ორი გზა დაგვრჩენია — ან ჯავახეთი გავხადოთ დამოუკიდებელი, ან საბოლოოდ დავკარგოთ იგი, როგორც დავკარგეთ ნახიჭევანი. და მაინც, არა მგონია, საქმე შეიძლება მივიდეს შეიარაღებულ კონფლიქტამდე. ალბათ, ჯავახეთში გაიმართება რეფერენდუმი, რომელზეც მოსახლეობა თვითონ გადაწყვეტს თავის ბედს“, — აღნიშნა რაზდან მადოიანმა.**

„ახალქალაქიდან რუსეთის სამხედრო ბაზის საბოლოო გატანის შემდეგ იქ თურქი სამხედროები მოვლენ. არანაირი მნიშვნელობა არ ექნება იმას, თუ რომელი დროშის ქვეშ იქნებიან ისინი იქ დისლოცირებული, — თქვა შემდეგ რაზდან მადოიანმა. როგორც მან გაიხსენა, „თურქეთის არმიასთან თანაარსებობის“ მწარე გამოცდილება რეგიონის მცხოვრებლებს უკვე ჰქონდათ 1918-20 წლებში, როცა თურქეთის ჯარები შევიდნენ ახალციხეში. ამის შედეგად, ქალაქში თითქმის აღარ დარჩნენ სომხები, თუმცა, ახალქალაქში იყო ქართველი გენერალი, რომელიც აკონტროლებდა სიტუაციას. იგივე შეიძლება განმეორდეს დღესაც, დარწმუნებულია მადოიანი“. ამასთან, მან საჭიროდ მიიჩნია, ხაზი გაესვა იმისთვის, რომ ჯავახეთი არასდროს არ ყოფილა დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში. „საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ქალაქი ახალციხე, ანუ სამცხის



პროვინცია, — აღნიშნა მან. — საქართველოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფის შედეგად, ეს ორი პროვინცია გააერთიანეს და უწოდეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონი“.

**„პანარმენიანის“ საინფორმაციო სააგენტო (სომხეთი).**


**შპს თასსკი „ელვა“ აცხადებს აუქციონს საწარმოს ბალანსზე რიცხული 7799 მ² გამოუყენებელი ფართის იჯარით გაცემაზე**

**ფართი გაიცემა 6 წლის ვადით.**

საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რომლებიც დაიქირავებენ 500 მ² და 500 მ²-ზე მეტ ფართს საიჯარო ქირა შეადგენს 1მ² 2 ლარს დღგ-ს და კომუნალური გადასახადების გარეშე.

აუქციონი ჩატარდება ლოტების სახით სართულების მიხედვით.

500 მ²-ზე ნაკლებ ფართზე საიჯარო ქირა შეადგენს 5 ლარს 1 მ²-ზე.

აუქციონი შედგება **2006 წლის 30 მარტს 12 საათზე.**

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2006 **წლის 29 მარტის 15 საათი.**

მისამართი — ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №10, მე-4 სართული.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ მისამართზე:

**ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №10. საკონტაქტო ტელეფონი 8.99.79-00-79.**

**დირექცია**


**მოკლედ**

**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დაგეგმილი აქვს პირველი წაკითხვით განიხილოს იარაღის შესახებ კანონის შესწორება, რომელიც ითვალისწინებს თავდაცვის მიზნით მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ლეგალიზებას. კანონპროექტის ინიციატორია რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ფრაქცია ვიცე-სპიკერ ვლადიმერ ჟირინოვსკის და დეპუტატ ნიკოლოზ კურიანოვიჩის სახით.**

* * *

**PAREXEL კომპანიის წამლების გამოცდის შემდეგ ექვსი კაცი აღმოჩნდა ლონდონის საავადმყოფოს სარეანიმაციო განყოფილებაში. ისინი მონაწილეობდნენ ახალი ანთებასაწინააღმდეგო პრეპარატის გამოცდაში. სამედიცინო გამოკვლევის დროს ამ ადამიანებმა თავი შეუძლოდ იგრძნეს. თვით კომპანიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სამკურნალწამლო საშუალებათა გამოცდა მათ განახორციელეს წესების სრული დაცვით.**

* * *

**ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ავტომანქანების რეიტინგი 2006 წლისთვის. პირველი ადგილი დაიკავა ფრანგულმა Bugatti Veyron, რომლის ძრავის სიმძლავრე ათას ცხენის ძალას უდრის. გარდა ამისა, ათ ყველაზე პრესტიჟულ მანქანათა ნუსხაში შედიან ამერიკული, იტალიური, გერმანული, შვედური და შვეიცარიული წარმოების ავტომობილები, თანაც, აღსანიშნავია, რომ ათეულში გერმანული მანქანები დომინირებენ.**

* * *

**„ალ-ყაიდას“ დაგეგმილი ჰქონდა ერაყში შეერთებული შტატების და ბრიტანეთის საელჩოების აღება. გეგმით გათვალისწინებული იყო ამ დაჯგუფების 421 მოთარეშის შეგზავნა ბაღდადის ეგრეთ წოდებული „მწვანე ზოლის“ ირგვლივ განლაგებულ საგუშაგოებში. სწორედ ქალაქის ამ ნაწილში მდებარეობს საელჩოები. საგუშაგოებში მოთარეშეებს დაცვის თანამშრომლებად გაასაღებდნენ. საქმე თითქმის ბოლომდე იყო მიყვანილი, როცა შეთქმულება ამხილეს. გამოძიების შედეგად დაპატიმრებულია ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე მაღალი თანამდებობის თანამშრომელი.**

* * *

**ამერიკული შატლის „დისქავერის“ გაშვება კვლავ გადაიდო. ამჯერად ნასამ მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის მორიგი გაშვება გადადო სულ ცოტა, ივლისამდე. ამის მიზეზად ასახელებენ სათბობის ავზის გადამწოდის გაუმართაობას. აღსანიშნავია, რომ შეერთებულ შტატებში შატლები აღარ გაუშვიათ გასული წლის ივლისის შემდეგ.**

* * *

**შეერთებული შტატები თანახმაა იაპონიის ოკინავის კუნძულიდან გაიტანოს გუანამის ბაზა. მაგრამ პენტაგონს სურს, რომ ტოკიომ ბაზის ახალ ადგილზე გადატანისთვის გადაიხადოს 7,5 მილიარდი დოლარი. პენტაგონის მონაცემებით, ამას სჭირდება სულ ცოტა 10 მილიარდი დოლარი, მაგრამ ამერიკელები იაპონელებს 25-პროცენტიან „ფასდაკლებას“ სთავაზობენ.**

* * *

**პალესტინელმა მოთარეშეებმა გაათავისუფლეს 6 უცხოელი მძევალი. მაგრამ მოთარეშეებთან კვლავ რჩება სამი მძევალი, რომლებიც დაატყვევეს იერიქონის საპყრობილის შტურმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ქალაქის საპყრობილეში ბლოკირებული ყველა პალესტინელი ისრაელის ჯარებს დანებდა საპყრობილის 10-საათიანი ალყის შემდეგ.**

* * *

**სასამართლოს ექიმებმა იცოდნენ, რომ მილოშევიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო, მაგრამ მას არ აღმოუჩინეს დახმარება, რომლის წყალობითაც მილოშევიჩი შეიძლებოდა მთლიანად გამოჯანმრთელებულიყო, — განაცხადა რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ლეო ბოკერიამ. როგორც ცნობილია, მილოშევიჩის ცხედარი ბელგრადში გადაასვენეს.**

ხიდები

# რა შემოგვინახეს პიერლუიჯის ფოტოებმა

## იტალიური კულტურის დღეები საქართველოში

**თბილისური მარტი იტალიური კულტურის დღეებს მასპინძლობს, რომელიც საქართველოში იტალიის საელჩოს თაოსნობითა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით იმართება. თბილისელთა წინაშე წარსდგებიან იტალიური ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. ასე მაგალითად საოპერო თეატრში 20 მარტს სოლო კონცერტს გამართავს პიანისტი ალფრედო სპერანცა, იტალიელი გრაფიკოსის ჯუზეპე დელ გრეკოს ნამუშევრები გამოიფინება ქარვასლაში. დირიჟორი მაესტრო მანლიო ბენცი ჩვენს საოპერო თეატრში უდირიჟორებს ვერდის „ბალ-მასკარადს“...**

ამ პროგრამით ახლახან თბილისის ისტორიის მუზეუმში — ქარვასლაში გაიხსნა იტალიელი ფოტოხელოვანის პიერლუიჯი პრატურლონის ნამუშევრების გამოფენა. იგი მიჩნეულია იტალიური ფოტოგრაფიის კლასიკოსად, რომლის შემოქმედებაც იტალიურ კინოსა და მათ შემქმნელებს უკავშირდება. პრატურლონი მუშაობდა ისეთ ცნობილ რეჟისორებთან და მსახიობებთან, როგორებიც არიან: გრეტა გარბო, სოფი ლორენი, კარლო პონტი, ფედერიკო ფელინი, ვიტორიო დე სიკა, ჰენრი ჰეთევეი, ბილი უაილდერი, კინგ ვიდორი და ა. შ.

როგორ მუშაობდნენ იტალიური კინოს გამოჩენილი რეჟისორები და მსახიობები ფილმების გადაღებისას, რა ხდებოდა კადრს მიღმა? სწორედ მუშაობის ეს მომენტებია მრავლად ასახული ფოტოხელოვანის ნამუშევრებში.

პიერლუიჯი პრატურლონს 1946 წლიდან დაუწყია ჟურნალისტ-ფოტოგრაფად მუშაობა. თავდაპირველად მას პოპულარობა მოუხვეჭია ყაჩაღი ჯულიანოს ფოტოთი, რომელსაც პოლიცია დიდი ხნის მანძილზე ეძებდა და რომელიც 1947 წელს გადაუღია გრეტა გარბოს სკანდალურად ცნობილი, საიდუმლო ვიზიტისას რომში. ამის შემდეგ მას დაუწყია მუშაობა „პოლეტოს“ სააგენტოში, იღებდა ფილმების ფოტოსურათებს, ზედმეტსახელად კი მას „ლუქსი“, ანუ ვარსკლავების ფოტოგრაფი შეარქვეს. პიერლუიჯი მუშაობდა ისეთ ფილმებზე, როგორიცაა „ბენ ჰური“, „ომი და მშვიდობა“, „ტკბილი ცხოვრება“, „ნეაპოლის ყურე“, „მატადორი“, „ამარკორდი“, „ჯინჯერი და ფრედი“, „ჩოჩარა“. ამ უკანასკნელში მის მიერ გადაღებული სოფი ლორენის ფოტო ოსკარების დაჯილდოების ცერემონიალზე იტალიური კინოს სიმბოლოდ ულიარებიათ.




გარდაცვალების წინ (1999წ) პიერლუიჯი პრატურლონმა მთელი არქივი უანდერძა რომის რეპორტიორთა ასოციაციას.

თუ აქამდე პიერლუიჯის ნამუშევრები დროდადრო იბეჭდებოდა ყოფილ სსრ კავშირის სივრცეში გამომავალ ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოში“ და პროფესიონალები იმ ჟურნალით იცნობდნენ მის ხელოვნებას, ახლა საზოგადოებრიობას პირველად მიეცა საშუალება ფართოდ გაეცნოს ამ ხელოვანის შემოქმედებას.

თბილისური ექსპოზიციით დამთვალიერებლები უნიკალური კადრების მოწმენი ხდებიან. აი მაგალითად, აქ იხილავთ ვიტორიო დე სიკასა და სოფი ლორენს ფილმ „ბოკაჩო-70“-ის გადასაღებ მოედანზე, მარკო ფერერისა და მარინა ვლადის მუშაობის მომენტებს, კლაუდია კარდინალესა და ჟან პოლ ბელმონდოს ფილმში „ძნელი გზა“ გადაღებისას, ადრიანო ჩელენტანოს, დონ ბეიკისა და ტოტოს ფილმზე „მონცას მღვდელის“ მუშაობის პროცესს და მრავალ სხვა საინტერესო კადრებს.

ასე რომ, იმათ, ვისაც იტალიური კინოს ცნობილ ოსტატთა კადრს მიღმა მუშაობის მომენტები აინტერესებთ, შეუძლიათ ეწვიონ ქარვასლას, გამოფენა 25 მარტამდე გაგრძელდება.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**სურათებზე: პიერლუიჯი პრატურლონის ნამუშევრები.**







გამოფენა-გაყიდვა

# ჯვარი ეწეროს თქვენს საქმეს!..

**ნაციონალური შოუინდუსტრიის ასოციაციის „გალერეა GS“-მა ავლაბრის „მომავლის ბავშვთა სახლის“ აღსაზრდელების ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვას უმასპინძლა. გალერეის ხელმძღვანელებმა — გენერალურმა დირექტორმა ქეთი დარსაველიძემ და არტ-დირექტორმა ელენე ფიცხელაურმა ამგვარი საქველმოქმედო აქციებით საკუთარი თანადგომა და მზრუნველობა არაერთხელ გამოხატეს შეზღუდული უნარის მქონე და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისადმი, ხოლო ხელოვნების სიყვარულით შთაგონებული ღონისძიებები „გალერეა GS“-ის სავიზიტო ბარათი გახდა.**

„მომავლის ბავშვთა სახლის“ 15-მა აღსაზრდელმა დამთვალიერებელთა „სამსჯავროზე“ ხელნაკეთი ნივთები და საკუთარი მოდელების კოლექცია წარმოადგინეს. ყოველდღიური, თექის, ბატიკისა და კლასიკური ტანისამოსი პატარა ხელოვანებმა თავად მოირგეს და საოცარი მონდომებით წარმოაჩინეს დიზაინერულ-სამოდელო უნარ-ჩვევები.

გამოფენა-გაყიდვაში მონაწილე ყველაზე პატარა „შემოქმედის“ ასაკი 5 წელი იყო. მათი პედაგოგი ნინო ფრანგიშვილი, ხოლო დირექტორი გვანცა ლიპარტელიანია. ამ ქალბატონებმა ოჯახურ კერას მოწყვეტილი ბავშვებისთვის მშობლიური სითბოს ჩუქება შეძლეს და მათი შესაძლებლობების რაციონალური გამოყენება ასწავლეს. სწორედ ამიტომ ბავშვთა სახლის 58-ვე აღსაზრდელი ხატვისა და ხელსაქმის ყოველდღიურ მუშაობაშია ჩართული, აწყობენ გამოფენებსა და ჩვენებებს.



ბავშვებისთვის საკუთარი შემოქმედების წარმოჩენისა და უფრორე გამოფენა-გაყიდვის ორგანიზების შესაძლებლობა დიდი სიხარული და მომავალი წინსვლის პერსპექტივაა. ეს საშუალება ახალგაზრდებს გალერეის მესვეურებმა მისცეს, რომელთათვისაც ნიჭიერების დანახვა და ჯეროვანი შეფასება სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენს.

— საზოგადოება მეტად უნდა ფიქრობდეს ამ ბავშვებზე, რათა მათ თავი გარიყულად არ იგრძნონ. ისინიც, ჩვენი შვილების მსგავსად, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ქეთი დარსაველიძემ, — ვფიქრობ, რაც უფრო მეტად მივაქცევთ ბავშვებს ყურადღებას, მათ ქუჩისადმი სწრაფვას გავუნელებთ და შესაძლოა მომავალში დიდ ხელოვნებად მოგვევლინონ.

აქცია ორ კვირას გასტანს და ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება არა მხოლოდ დაათვალიეროს და შეაფასოს, არამედ შეიძინოს ნებისმიერი მოწონებული ექსპონატი.



დიზაინერები ელენე ფიცხელაური და ქეთი დარსაველიძე მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებენ და ბავშვების დაკვალიანებას კვლავაც გეგმავენ. შემოქმედებით სახელოსნოში გაიხსნება სპეციალური მოსამზადებელი კურსები, სადაც „მომავლის ბავშვთა სახლის“ ხელოვნებით დაინტერესებული აღსაზრდელები პროფესიონალი პედაგოგების მეთვალყურეობის ქვეშ, დიზაინერთა მასალებით და სრულიად უსასყიდლოდ დაეუფლებიან საყვარელ ხელობას. წამოწყების ინიციატორები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი: „თუ ერთ-ერთი ბავშვი მაინც პროფესიონალი მხატვარი ან ხელოვანი გამოვა, ეს ჩვენთვის დიდი გამარჯვება იქნება“.

**ნინო ბერძნიშვილი**

მაშვრალი წიგნი

# «მერწმუნე, შორს წავალ...»

**ერთხელ, ბავშვობაში, რუსულ მოთხრობას ვკითხულობდი. რუსული ენის მწირი ცოდნა მაიძულებდა ხშირად ჩამეხედა ლექსიკონში. მახსოვს, სიტყვა „Всадник“ შემხვდა. კითხვა მშვიდად განვაგრძე დარწმუნებულმა, რომ საქმე „მებაღესთან“ მქონდა. მაგრამ ამ სიტყვამ მოთხრობის სიუჟეტი ისე არია, რომ იძულებული გავხდი, კითხვა თავიდან დამეწყო და ლექსიკონში ყველა სიტყვა გულდასმით შემემოწმებინა. თურმე, მებაღეს კი არა, ვინმე ცხენოსანს ტყეში გზა არეოდა...**

მეც რომ ცხოვრებაში სწორად მევლო და გზა არ ამრეოდა, სხვა საჭირო წიგნებთან ერთად რუსულ-ქართულ ლექსიკონსაც მაგრად ჩავჭიდე ხელი და მას შემდგომ ჩვენი მეგობრობა ოდნავადაც არ გახუნებულა. წლების მანძილზე ოჯახის წევრებს წიგნი ერთგულად გვემსახურებოდა, შემდეგ შვილები წამოიზარდნენ და სამტომეულს ახლა ისინი მიუსხდნენ.

წელი წელს მისდევდა. დროის სრბოლას წიგნისა და ადამიანის მეგობრობა არ გაუხუნებია — წიგნი გახუნდა, თავად დაძაბუნდა, ყდა გაუცვდა, მუშამბა ალაგ-ალაგ დაიხა და შიგ გამოკრულმა მუყაომაც პირი დაალო. ან კი რა გასაკვირია: წლეულს რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეულის პირველი ტომის გამოსვლიდან 50 წელი — ნახევარი საუკუნე! — სრულდება.

ეს მაშვრალი წიგნი ათასობით ადამიანს სჭერია ხელში, გადაუფურცლავს, შიგ ჩაუხედავს, მოუძებნია საჭირო სიტყვა, ამოუწერია, დაუმახსოვრებია. ათასობით-მეთქი, ვამბობ, თორემ რატომ ათიათასობით და ასიათასობით ადამიანს არ ჰქონია მასთან შეხება. ახლა რა ხალხს უმუშავია ლექსიკონის შედგენაზე! გ. ახვლედიანმა, ვ. თოფურიამ, ქ. ლომთათიძემ, ა. შანიძემ, არნ. ჩიქობავამ, გ. წერეთელმა და სხვებმა რუსული ლიტერატურა ახლობელი გახადეს ჩვენთვის და ჩვენც მათს შრომა-გარჯას მადლიერებით მოვიხსენიებთ.

ამასობაში ჩემი ლექსიკონიც დაბერდა და გაიცრიცა. წიგნი „სამკურნალოდ“ გორის სტამბაში მივიტანე. იქ ჩემი ბევრი ნაცნობ-მეგობარი მუშაობს. ბარე სამი ათეული წლის მანძილზე კოლექტივს „მაგარი ხელი“ — პოლიგრაფიის საქმის გამოცდილი ორგანიზატორი ანო ბოლოთაშვილი ხელმძღვანელობდა (ცოდვა არ არის გორის სტამბა ანო ბოლოთაშვილის სახელს არ ატარებდეს?!), იგი ამ ქვეყნიდან ამ რამდენიმე წლის წინათ წავიდა, მაგრამ დარჩა პოლიგრაფისტთა ქართულოსური მეგობრული კოლექტივი. იგი დღესაც ნაყოფიერად და შემართებით შრომობს — ბეჭდავს გაზეთებს, ბროშურა-ცნობარებს, იღებს მრავალრიცხოვან შეკვეთებს — პოლიგრაფისტთა კოლექტივი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს. აქ მუშაობს გამოცდილი მკინძავი დარიკო თარაშვილი. სწორედ მან უმკურნალა ჩემს წიგნს და ჯანზე მოსული და მომაგრებული დამიბრუნა. ისეთია, ერთ თაობას კიდევ მოემსახურება.

წლეულს ბაბუაჩემის მოსახელე ჩემი შვილიშვილი სკოლაში უნდა წავიდეს. რა საჩუქარი გავუკეთო ცეროდენა ბიჭს?

ვიღებ გაახალგაზრდავებულ და გალამაზებულ რუსულ-ქართულ ლექსიკონს და სატიტულო ფურცელზე ვაწერ: „ლუკა, თუ ამ წიგნთან იმეგობრებ, მერწმუნე, შორს წახვალ“.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

**⊙ შიშს დიდი თვალები აქვს**

# პანიკა უარესი ვირუსია!

## ბავშვების სიკვდილის მიზეზი ელვისებური პნევმონია იყო, — აცხადებენ სპეციალისტები

**ნილზიანი ადამიანები. დერეფანში დაძაბული სიჩუმეა და ავადმყოფთა ახლობლები დააბიჯებენ, ექიმები, ექთნები მოუსვენარი სახეებით მიმოდიან პალატებში — საქმე უამრავი აქვთ...**

**— ამგვარი სურათის მოწმენი გახდებით, თბილისის ინფექციურ საავადმყოფოს რომ ეწვიოთ.**

**როგორც ვიცით, ამ დღეებში თბილისის 50-ე საშუალო სკოლის ორი მოსწავლე თითქმის ერთდროულად დაიღუპა. მოსახლეობაში პანიკა გაჩნდა: ხომ არ არის ეს ქათმის გრიპი? — ლოგიკურ კითხვას სვამდა ყველა, ვინც ეს შემაშფოთებელი ინფორმაცია შეიტყო. ინფექციურ საავადმყოფოს უამრავი ხალხი მიაწყდა.**

**მაია ზალდასტანიშვილი ამ საავადმყოფოს მიმღები განყოფილების გამგეა.**

**„ორ დღეში სამასამდე ავადმყოფი გავისტუმრეთ, — თქვა მან ჩემთან საუბრის დროს, — ხალხი პანიკაშია, არადა, მსგავსი შემთხვევები არ არის გამორიცხული: ახლა ხომ ვირუსული ინფექციების სეზონია, ყველაფერი კი ერთ სკოლაში 2 ბავშვის ერთდროულმა გარდაცვალებამ გამოიწვია.**

**ჩვენი რჩევაა: ყველამ მიმართოს უბნის პოლიკლინიკებს, არ შეიძლება ყველამ, ვისაც ახველებს და გრიპის ნიშნებს უჩივის, ინფექციურ საავადმყოფოს მოაშუროს. ჩვენც ხომ ადამიანები ვართ და ერთდროულად ამდენი პაციენტის მიღება, გასინჯვა არაადამიანურ ძალისხმევას მოითხოვს ჩვენგან. ვიმეორებ — ახლა გრიპების სეზონია და ამ დაავადებისგან არავინაა დაზღვეული“.**

**ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებული განყოფილების გამგეს, ბატონ ალეკო ლაშხს ამგვარი კითხვებით მივმართე:**



***— როგორი ავადმყოფები წვანან თქვენს განყოფილებაში?***

— ბოქსირებულ განყოფილებაში წვანან ავადამყოფები, რომელთაც გაურთულდათ ვირუსული ინფექციური დაავადება. ისინი არიან იზოლირებულნი და იმყოფებიან სპეციალისტთა მეთვალყურეობის ქვეშ.

***— მე მითხრეს, რომ თქვენთან მკურნალობს ბავშვი, რომელიც ერთ-ერთი გარდაცვლილის გვერდით იჯდა სკოლის მერხთან...***

— დიახ, ეს არის თენგიზ პერანიძე, როცა ის ჩვენთან შემოიყვანეს, ბავშვის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისა იყო, ჰქონდა ცხელება და ყველა ის ნიშანი, რაც გრიპს ახასიათებს საერთოდ. ბავშვი ახლა უკეთესადაა.

***— შეიძლებოდა თუ არა იმ ორი ბავშვის გადარჩენა, რატომ დაიღუპნენ ისინი ასე მოულოდნელად?***

— უნდა გითხრათ, რომ არსებობს 3 სახის გრიპის ვირუსი — A,B და C ტიპისა. A ტიპის ვირუსი ამათგან ყველაზე მძიმეა. სხვათა შორის, ქათმის გრიპსაც A ტიპის ვირუსი იწვევს, მაგრამ მას სულ სხვა თვისებები აქვს. გარდაცვილი ბავშვების შემთხვევაში განვითარდა ვირუსული პნევმონია. ეს იყო ელვისებური ფორმა, რომლის განკურნებაც ძალზე ძნელია. თუმცა გარდაცვლილ ბავშვებს ჩვენს საავამდყოფოსთან შეხება არ ჰქონიათ, მაგრამ სპეციალისტთა საერთო აზრი ასეთია.

***— რას იტყოდით პრეპარატ „ტამიფლუ“-ზე?***

— „ტამიფლუ“-თი მკურნალობა შეიძლება არა მარტო A ტიპის ვირუსზე, არამედ B და C ვირუსებზეც. როგორც ზემოთ გითხარით, A ტიპის ვირუსი გაცილებით აგრესიულია, ვიდრე B და C ვირუსები. ამ უკანასკნელთ ავთვისებიანი მიმდინარეობა არ ახასიათებთ. A ტიპის ვირუსს შეუძლია მოიცვას მოსახლეობის ფართო ფენები და გამოიწვიოს როგორც ეპიდემია, ასევე პანდემიაც.

***— მაინც, როგორ უნდა დაიზღვიოს თავი მოსახლეობამ, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს პროფილაქტიკის მიზნით?***

— რა თქმა უნდა, ადამიანმა გრიპისგან თავი უნდა დაიცვას. A ვირუსის აფეთქებას თან სდევს სიკვდილიანობის შემთხვევებიც. სასურველია აცრების, ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების ჩატარება. გარდა ამისა, გრიპი ხომ ჰაერ-წვეთოვანი გზით გადადის, საჭიროა ცხვირ-ხახის დაფარვა, როდესაც ვირუსული ინფექციით დაავადებულთან გვიხდება ურთიერთობა...

***— ვთქვათ მშობელი ხედავს, რომ ბავშვს სიცხე უწევს და გრიპი ეწყება. როგორ უნდა მოიქცეს?***

— მან სასწრაფოდ უნდა მიმართოს უბნის პოლიკლინიკას, იქ მიიღებენ შესაბამის ზომებს და განსაზღვრავენ — სახლში უმკურნალონ ბავშვს, თუ სტაციონარში გადაიყვანონ.

***— რამდენი მოსწავლე მოიყვანეს თქვენთან 50-ე სკოლიდან?***

— ჩვენთან მკურნალობდა 4 მოსწავლე, 3 მათგანი გავწერეთ, დარჩა მხოლოდ ერთი — ზემოთ ხსენებული თენგიზ პერანიძე, რომელიც აწ გარდაცვლილი დიანა ზერიძის გვერდით იჯდა სკოლაში. სკოლა ჯერჯერობით დახურულია — ეს ყველამ ვიცით მასმედიის საშუალებებიდან.

***— ვის ხარჯზე ხდება მკურნალობა თქვენს საავადმყოფოში?***

— ჩვენთან წამლის ღირებულებას სახელმწიფო იხდის. იგივე „ტამიფლუ“ აფთიაქში 46 ლარი ღირს, ჩვენ კი უფასოდ ვმკურნალობთ ამ პრეპარატით.

***— პროფილაქტიკის მიზნით თუ არის ამ პრეპარატის გამოყენება შედეგის მომცემი?***

— არა, პროფილაქტიკის მიზნით ამ წამლის მიღებას არანაირი შედეგი არ მოჰყვება, ასე, მაგალითად, — თქვენ შეიძლება „ტამიფლუ“ სვათ ერთი კვირა, ვირუსი კი შეგეყაროთ 10 დღის შემდეგ.

***— დაბოლოს, საშიშია თუ არა თქვენთვის გრიპითა და პნევმონიით დაავადებულ პაციენტთან კონტაქტი?***

— რა თქმა უნდა, საშიშია. ჩვენც ადამიანები ვართ და ნებისმიერ დროს შეიძლება მივიღოთ გრიპის ვირუსი, ეს ხომ ინფექციაა?

მკურნალმა ექიმებმა — **მარინა ენდელაძემ** და **მანანა ღლონტმა** აღნიშნეს, რომ მთავარია, მოსახლეობა არ ჩავარდეს პანიკაში. ამგვარი რამ ყოველ წელიწადს ხდება. წელს, უბრალოდ, ერთ სკოლაში დაიღუპნენ ბავშვები, თორემ ციმბირის წყლული, ბოტულიზმი, სხვა ვირუსული ინფექციები ყოველთვის არსებობდა და იარსებებს, გრიპოზულ პნევმონიაზეც იგივე შეიძლება ითქვას. რაც შეეხება გარდაცვალებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფობის მიმდინარეობის დროს ორგანიზმის გამძლეობას, კვებას, იმუნიტეტს, თანმხლებ დაავადებებს და ა. შ. ცნობილია, მაგალითად, რომ ერთ-ერთი გარდაცვლილი ბაშვი ბრონქული ასთმით იყო დაავადებული.

— გთხოვთ პრესის წარმომადგენლებს — პანიკას ნუ თესავთ და ისედაც პრობლემებით დამძიმებულ მოსახლეობას შიშში ნუ ამყოფებთ, — მისაყვედურეს ამქვეყნად ყველაზე ჰუმანური პროფესიის წარმომადგენლებმა.

ამდროს ინფექციურ საავადმყოფოში იმყოფებოდა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი — ქ-ნი **ეკა ცერცვაძე**, რომელმაც თქვა, რომ სიტუაცია კონტროლირებადია და ყველა ავადმყოფის მდგომარეობას ყურადღებით აკვირდებიან.

მოკლედ დასკვნა ერთია: **ვირუსი, რომელმაც ორი უმანკო სიცოცხლე იმსხვერპლა — ქათმის გრიპი არ არის, არც ატიპური პნევმონიაა. თუმცა ამ ბავშვების დედ-მამისათვის სულ ერთია, რით დაიღუპნენ ისინი, მთავარია, რომ — დაიღუპნენ.**

* * *

იმ დღეს მხოლოდ თავიანთ პაციენტებზე საუბრობდნენ ინფექციური საავადმყოფოს ექიმები და ექთნები. მხოლოდ ერთმა — **ირმა ტახჩიდიმ** — დაიჩივლა, რომ საავადმყოფოს 2 კვირაა, რაც წყალი შეზღუდვებით მიეწოდება (დღეში — 1-2 საათით, რომ პაციენტები გაწვალდნენ და საფიქრალი აქვთ...

**მართლაცდა, ვინ ფიქრობს ამ ადამიანებზე, რომელთაც ყველაზე მეტი შანსი აქვთ გრიპის 39 სახეობიდან ერთ-ერთი შინ, საკუთარ შვილებს მიუტანონ, რომელთაც ყოველდღიურად სტრესის ქვეშ უწევთ ცხოვრება და ამ დროს მათი ხელფასები საარსებო მინიმუმს ვერც კი უახლოვდება.**

**ყველაფერი შეიძლება წარმოვიდგინოთ, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ ინფექციური საავადმყოფო სასმელი წყლის გარეშე, წარმოგიდგენიათ? — უნდა წარმოიდგინოთ!**

**ხათუნა ჩიგოგიძე**

**⊙ გვირეკავენ, გვეკითხებიან**

**— ვართ პენსიონერი ცოლ-ქმარი. გვყავს ოზოლი (უდედმამოძ შვილიშვილი, 22 წლის. ვსარგებლობდით შეღავათით ბუნებრივი აირის გადასახადის გადახდის დროს. ახლა გვირეკავენ, შეცდომაა და აღარ გეკუთვნითო.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, სწორია თუ არა ასეთი გადაწყვეტილება?**

**აბესალომ მასხულია.**

— თუ თქვენ და თქვენი შვილიშვილი ცხოვრობთ თბილისში, თქვენი შვილიშვილი სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში, არ მუშაობს და იღებს პენსიას მშობლების გარდაცვალების გამო (სტუდენტებს, რომელთაც პენსია დანიშნული აქვთ 2006 წლის 1 იანვრამდე, მარჩენალის დაკარგვის გამო პენსია ეკუთვნით სწავლის დამთავრებამდე, მაგრამ არა უმეტეს 23 წლის ასაკისაძ, წყლის, საოჯახო ნარჩენების გატანისა და ბუნებრივი აირის გადასახადის გადახდის დროს, როგორც მარჩენალდაკარგულს, სწავლის დამთავრებამდე შეღავათი ეკუთვნის.

წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი თხოვნის დაკმაყოფილებისათვის არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

**— დაბადებიდან I, II და III ჯგუფის ინვალიდებს ეკუთვნით თუ არა დახმარება თვეში 22 ლარის ოდენობით (ზოგი მცირეწლოვანია, ზოგი არაძ.**

**მირიან მესროფაშვილი**

— სოციალური დახმარება — თვეში 22 ლარის ოდენობით ენიშნებათ I და II ჯგუფის იმ ინვალიდებს, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, არ მუშაობენ და არ გააჩნიათ კანონით ვალდებული მარჩენალი, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ კანონის თანახმად I ჯგუფის ინვალიდებს, რომელთაც სამედიცინოსოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ ინვალიდობის I ჯგუფი განსაზღვრული აქვთ მხოლოდ მხედველობით, ზემოაღნიშნული დახმარება ენიშნებათ ყველა შემთხვევაში, ე. ი. მნიშვნელობა არ აქვს ჰყავს თუ არა შრომისუნარიანი მარჩენალი. III ჯგუფის ინვალიდები კი სოციალური დახმარების მიღების უფლებას ვერ იპოვებენ, ვინაიდან III ჯგუფი არ ნიშნავს შრომისუნარის დაკარგვას, ნიშნავს შრომისუნარის დაქვეითებას, რაც იმას გულისხმობს, რომ მათ შეუძლიათ იმუშაონ. რაც შეეხებათ ინვალიდ ბავშვებს, მათ 16 წლამდე ინვალიდობის ჯგუფი არ ესაზღვრებათ. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — პოლიკლინიკაში სამედიცინო საკონსულტაციო კომისია დაადგენს მათი დაავადების მიხედვით აქვთ თუ არა სოციალური დახმარების მიღების უფლება, რის შემდეგაც მათი მშობელი ან მეურვე დახმარების დანიშვნის თაობაზე მიმართავენ სოციალური დახმარების განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**— გთხოვთ მიპასუხოთ, 2002 წელში რეპრესირებულთა შვილებისთვის ძალაში იყო თუ არა შეღავათი ბუნებრივ აირზე?**

**გია ჟანუყვაძე**

— თუ რეპრესირებულის შვილი 2002 წელს იყო ასაკით ან ჯანმრთელობის მდგომარეობით შრომისუუნარო და წარდგენილი ჰქონდა შესაბამის ორგანოში საბუთი იმის შესახებ, რომ იგი ნამდვილად იყო რეპრესირებულის შვილი, უფლება ჰქონდა ყოველთვიურად უფასოდ მოეხმარა 20 კუბ. მეტრი ბუნებრივი აირი.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

**⊙ წლები ჩემი სიმდიდრეა**

# მოგონებები, რომლებიც არ ხუნდება

**1945 წლის აპრილში ლავრენტი ბერიამ სტალინის დავალებით ბერლინის ახლოს გაგზავნა სამი თვითმფრინავი და გერმანიის ატომის ინსტიტუტი მთელი შემადგენლობით (მოწყობილობები, მუშაკები ოჯახებითძ ამ თვითმფრინავებში მოათავსებინა და გადმოაყვანინა საქართველოში, კერძოდ, სოხუმის სანატორიუმ „სინოპის“ ტერიტორიაზე.**

ამ მოვლენასთან დაკავშირებით მინდა საზოგადოებრიობას ვამცნო ერთი ამბავი.

მანამდე ცოტა ხნით ადრე, იმავე წლის აპრილის დასაწყისში, ბერიამ მოსკოვიდან სოხუმში დამირეკა. მაშინ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. მკითხა, რა მდგომარეობაშია სოხუმის სანატორიუმი „სინოპიო“. მოვახსენე, რომ აფხაზეთის ყველა სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, მათ შორის „სინოპიც“ ევაკოჰოსპიტლებად არის გადაკეთებული და ომის მონაწილე დაჭრილებს ემსახურება-მეთქი.

ბერიამ მთხოვა, მოსკოვიდან მთავრობის წარმომადგენელს გამოგიგზავნით, მასთან ერთად განიხილეთ „სინოპის“ დაცლის საკითხი, ყოველგვარ დახმარებას აღმოგიჩენთო.

მეორე დღეს მართლაც ჩამოვიდა საკავშირო მთავრობის წარმომადგენელი. ერთად დეტალურად განვიხილეთ ყველა წვრილმანი და შევთანხმდით, რომ „სინოპიდან“ გაგრაში გადაგვეყვანა დაჭრილნი.

გაგრაში რეზერვში გვქონდა სანატორიუმი „ჩაიგრუზია“. სწორედ იქ გადავიყვანეთ ავადმყოფები, „სინოპი“ კი სასწრაფოდ მოვამზადეთ ბერლინის ატომის ინსტიტუტის მთელი შემადგენლობის მისაღებად.

„სინოპი“ და მისი ტერიტორია, რომელიც ზღვის პირას იყო განლაგებული, ძალიან მოეწონათ გერმანელ მეცნიერებს და მათ ოჯახებს და ინტენსიური საქმიანობა გააჩაღეს.

საერთო ხელმძღვანელობისა და დახმარებისთვის ჩვენ მათ მივამაგრეთ გამორჩეული მეცნიერი ილია ვეკუა, რის შედეგადაც ინსტიტუტმა წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

1950 წელს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ვმუშაობდი ინსპექტორად.

შემოდგომაზე მივლინებით მომიხდა წასვლა ირკუტსკში, პარტიის საოლქო კომიტეტის საქმიანობა უნდა შემემოწმებინა. ვიცოდი, რომ მეფის ხელისუფლების დროს სტალინის ციმბირში გადასახლების ერთი ადგილი ირკუტსკის ოლქი იყო — ახალი უდა. გადავწყვიტე, მომენახულებინა იქაურობა.

დავათვალიერე სტალინის მუზეუმი. არ მომეწონა, სრულებით არ ჰგავდა მუზეუმს.

მივლინებიდან დაბრუნებისას, შემოწმების შედეგებზე მოხსენებითი ბარათის პარალელურად, დავწერე მოკლე ცნობა მალენკოვის სახელზე, რომ საჭირო იყო მუზეუმის კეთილმოწყობა და გადავეცი ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს აპარატს.



რამდენიმე დღის შემდეგ გამომიძახეს კრემლში. პირადად სტალინმა მიმიღო. ჯერ გამესაუბრა, შემდეგ უჯრიდან ამოიღო ჩემი ბარათი მუზეუმის თაობაზე და მკითხა: ეს თქვენ დაწერეთ? დავუდასტურე.

მან დარიგებით მითხრა: ეს მუზეუმი სრულებითაც არ არის საჭირო, გასაუქმებელია. მე იქ გადასახლებაში ვიმყოფებოდი და რა არის იქ სამუზეუმო. არ ღირს ამაზე სახალხო ფულების ხარჯვაო.

მირჩია, როდესაც მივლინებებში წახვალთ, ყოველთვის დაინტერესდით, თუ რა კეთდება ადამიანის საკეთილდღეოდ, როგორ ზრუნავენ ხელისუფლების და პარტიული ორგანოების ხელმძღვანელები ადგილზე სახალხო დოვლათის დაგროვების, მისი დაცვის და გონივრულად გამოყენებისათვისო.

ამ ძალდაუტანებელი საუბრითა და გულთბილი მიღებით გათამამებულმა შევბედე და შევახსენე სტალინს, რომ მე მას შევხვდი კრემლში 1940 წელს ფიზკულტურელთა საკავშირო პარადის მონაწილეთა მიღებაზე, აგრეთვე გაგრაში დასასვენებლად ყოფნისას.

სტალინი ერთხანს დაფიქრდა, თითქოს რაღაცას იხსენებდა, გაიარ-გამოიარა კაბინეტში, მერე მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და გაღიმებულმა მითხრა, შენ ის არა ხარ, ჩემი სიყრმის მეგობრის პავლე საყვარელიძის ქალიშვილი რომ გამაცანიო? მერე დაუმატა, აფხაზეთში კარგად მოგიწყვიათ კურორტებიო. თქვენი წყალობით-მეთქი. სტალინმა შემომხედა, ჩაიცინა, წარმატებები მისურვა და დამემშვიდობა.

სტალინის ეს უბრალოება, თავაზიანობა და ყურადღება დაუვიწყარია ჩემთვის.

**ალიოშა მირცხულავა,**
**ომისა და შრომის ვეტერანი.**

## ევროპული ჩემპიონატი

# „აბრეშუმელი“

**მორაგბეთაგან იავარქმნილი ევროპული სტადიონის მინდვრის საფარის გამო თბილისის „დინამოს“ ზედიზედ მეორე საშინაო შეხვედრის გამართვა „ლოკომოტივის“ სტადიონის არანაკლებ შელანძღულ სარბიელზე მოუწია. სასურველ შედეგს ანდრეი ჩერნიშოვის გუნდმა ვერც ამჯერად მიაღწია — XVI ეროვნული ჩემპიონატის XIX ტურის ცენტრალური მატჩი „ამერმა“ მოიგო — 2:1.**

თბილისური დერბის ბედი გამარჯვებულთა ტანმორჩილი ბომბარდირის სულიკო დავითაშვილის სნაიპერულმა თვისებებმა გადაწყვიტა — „აბრეშუმ“ ჯერ „მეორე სართულიდან“ გაანზილა სოსო გრიშიკაშვილი, ხოლო უკანასკნელ წუთზე მახვილი კუთხიდან გაიტანა გადამწყვეტი გოლი. დამარცხებულთაგან პენალტით სანდრო იაშვილმა იხეირა. თუმცა, ვაი ასეთ ხეირს.

**დანარჩენი შედეგები:** „სოხუმი“ — „სპარტაკი“ 0:0, „კახეთი“ — „ბორჯომი“ 1:0, „კოლხეთი“ — „სიონი“ 0:1, „ბათუმი“ — „ტორპედო“ 2:0, „ზესტაფონი“ — „ცხინვალი“ 3:1, „დილა“ — „ლოკომოტივი“ 0:0, „თბილისი“ — „ვიტ ჯორჯია“ 0:1.

სატურნირო მდგომარეობა: „ვიტ ჯორჯია“ — 48, „სიონი“ — 45, „დინამო“ — 39, „ამერი“ — 38, „ზესტაფონი“ — 37, „ბორჯომი“, „ლოკომოტივი“ — 34-34, „ბათუმი“ — 32, „კოლხეთი“ — 24, „კახეთი“ — 22, „დილა“, „ცხინვალი“ — 18-18, „ტორპედო“ — 17, „სოხუმი“ — 11, „სპარტაკი“ — 10, „თბილისი“ — 5 ქულა.

**25 მარტს ითამაშებენ:** „ტორპედო“ — „კოლხეთი“, „ბორჯომი“ — „თბილისი“, „ცხინვალი“ — „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“ — „ზესტაფონი“, „სიონი“ — „სოხუმი“, „ლოკომოტივი“ — „ბათუმი“, „ამერი“ — „დილა“, „სპარტაკი“ — „კახეთი“.

## ჩემპიონთა ლიგა



# ესეც მერვე!

**პროგნოზები გამართლდა — მილანის „ინტერი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა და იქ ესპანურ „ვილიარეალთან“ მოუწევს ორმატჩიანი დუელი.**

საპასუხო მერვედფინალური შეხვედრის წინ რობერტო მანჩინის გუნდს აქტივში სტუმრად მიღწეული შედეგიანი ფრე — 2:2 ჰქონდა, თანაც მეტოქეს ტრავმების გამო დაცვის ბურჯები — სნეიდერი და ჰეიტინგა აკლდა. დაუმატეთ ამას „შავლურჯთა“ გამოჯანმრთელებული ბომბარდირის — ადრიანოს დაბრუნება და მიხვდებით, როგორი რთული გამოცდის ჩაბარება უწევდათ ჰოლანდიელებს. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ ჩააბარეს — 57-ე წუთზე გატანილმა სტანკოვიჩის ზღაპრულმა გოლმა მასპინძლებს ყველა პრობლემა მოუხსნა. დავძენთ, რომ შესვენებამდე ადრიანოს დარტყმული პენალტის შემდეგ ბურთი სტეკელენბურგის კარს ასცდა.

## კალათბურთი

# დღეიდან — რიონის ნაპირებზეც

**ერთი თვეც და დასრულდება რეგულარული საკალათბურთო სეზონი — გაირკვევა ვაჟთა XV ეროვნული ჩემპიონატის „პლეი-ოფების“ წყვილთა ვინაობა.**

აღსანიშნავია, რომ IV წრიდან სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა ქართველ ტალანტთა სამჭედლოს — ქუთაისს უბრუნდება. ვიმედოვნებთ, ეს მაგალითი სხვა რეგიონებისთვისაც, უპირველესად — აჭარისთვის — გადამდები აღმოჩნდება.

**გთავაზობთ XV ეროვნული ჩემპიონატის IV წრის შეხვედრათა კალენდარს.**



16.03.06. — ხუთშაბათი
ქუთაისი — აზოტი - 14.30

17.03.06 — პარასკევი
მაკაბი — სსუ - 12.00
თსუ-ნიკორა - სტუ - 14.00
დინამო - ავიამშენი - 16.00

20.03.06. — ორშაბათი
ქუთაისი — სსუ - 14.30

21.03.06 — სამშაბათი
მაკაბი - ავიამშენი - 12.00
დინამო — სტუ - 14.00
აზოტი — თსუ-ნიკორა - 17.00

27.03.06. — ორშაბათი
სტუ - სსუ - 12.00
თსუ-ნიკორა - დინამო - 14.00
ავიამშენი - აზოტი - 16.00

28.03.06. — სამშაბათი
ქუთაისი - მაკაბი - 14.30

30.03.06 - ხუთშაბათი
ქუთაისი - სტუ - 14.30

31.03.06 — პარასკევი
ავიამშენი — სსუ - 12.00
თსუ-ნიკორა — მაკაბი - 14.00
დინამო — აზოტი - 16.00

3.04.06 - ორშაბათი
ქუთაისი — დინამო - 14.30

4.04.06 - სამშაბათი
სსუ — აზოტი - 12.00
სტუ — მაკაბი - 14.00
ავიამშენ — თსუ-ნიკორა - 16.00

7.04.06 - პარასკევი
ქუთაისი — თსუ-ნიკორა - 14.30

10.04.06 - ორშაბათი
დინამო — სსუ - 12.00
ავიამშენი - სტუ - 14.00
აზოტი - მაკაბი - 17.00

13.04.06 - ხუთშაბათი
ქუთაისი - ავიამშენი - 14.30

14.04.06 - პარასკევი
სსუ — თსუ-ნიკორა - 12.00
მაკაბი — დინამო - 14.00
სტუ — აზოტი - 16.00

## ჭადრაკი

# ფავორიტები ჩემპიონატს ტოვებენ

**უკვე გაუწყეთ, რომ ეკატერინბურგში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე მაია ჩიბურდანიძემ და ნინო ხურციძემ, შესაბამისად, კუბელი მარიცა არიბასი და ქეთევან არახამია დაამარცხეს ერთნაირი ანგარიშით — 1,5:0,5, რითაც მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.**



სამწუხაროდ, მათ მხარი ვერ აუბეს ნანა ძაგნიძემ და ლელა ჯავახიშვილმა, არადა, ლელამ პირველ პარტიაში სძლია ინდოელ სუბარამან ვიჯაია ლაქშმის, მაგრამ მეორეში თავად დამარცხდა, მერე დამატებითი ოცდახუთწუთიანი პარტიებიც დათმო და შეჯიბრებას გამოეთიშა. მისი ბედი გაიზიარა ძაგნიძემ, რომელმაც ძიუ ვენძუნისთან 1,5:2,5 წააგო.

ასპარეზობა ნაადრევად დატოვა ბულგარელმა მსოფლიო ჩემპიონმა ანტუანეტა სტეფანოვამ, რომელიც პოლონელ ივეტა რაძიევიჩთან დამარცხდა 1:3. მედლების მაძიებელთა რიგებს ჩამოშორდნენ ისეთი ფავორიტებიც, როგორებიც არიან ევროპის პირველი ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა (წააგო ჩინელ ჰოუ იუფანთან 0:2ძ, ინდოელი ჰუმპი კონერუ (ფრანგმა მარი სებაგმა დააყრევინა ფარხმალი 3:1ძ, შვედი ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგი (ჰოლანდიაში მცხოვრებმა ჯაოფინ პენგმა სძლია 1,5:0,5ძ.

გაუწყებთ დანარჩენი შეხვედრების შედეგებს: კაროლინა ლუხანი (არგენტინაძ — ალისა გალიამოვა (რუსეთიძ 1:3, ელინა დანიელიანი (სომხეთიძ — ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთიძ 0:2, ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვაძ — რუან ლუფეი (ჩინეთიძ 4:2, ცინ ძანინკი (ჩინეთიძ — იოვანკა ჰოუსკა (ინგლისიძ 2,5:1,5, კარენ საპატა (პერუძ — სვეტლანა მატვეევა (რუსეთიძ — 0,5:1,5, ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთიძ — მარია კურსოვა (რუსეთიძ 1,5:0,5, ანა უშენინა (უკრაინაძ — სიუ იუჰუა (ჩინეთიძ 0,5:1,5, ტატიანა კოსინცევა (რუსეთიძ — ირინა კრუში (აშშძ 1,5:0,5.

გუშინ მერვედფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: გალიამოვა — რაძიევიჩი 0,5:0,5, სებაგი — ძანინგ ძინი 0,5:0,5, კოვალევსკაია — პენგი 1:0, კოსტენიუკი — ჩმილიტე 0,5:0,5, ვენძუნი ძიუ — ჩიბურდანიძე 0,5:0,5, იუჰუა სიუ — ტ. კოსინცევა 0,5:0,5, ვიჯაიალაქშმი — მატეევა 0,5:0,5, ხურციძე — იუფან ჰოუ 1:0.

**გიორგი გაგუა**

## ჭიდაობა

# ბათუმმა უმასპინძლა



**აჭარის დედაქალაქი ოთხი დღის განმავლობაში მასპინძლობდა ახალგაზრდა ფალავანთა საქართველოს პირველობას ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში. ხალიჩაზე საასპარეზოდ 300-ზე მეტი ჭაბუკი გამოვიდა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:**

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** შონი კაცია (50, ოზურგეთიძ, ლაშა გოგიტიძე (55, ქუთაისიძ, მინდია ოჯახიშვილი (60, აჭარაძ, ილია გულბათაშვილი (66, თბილისიძ, ზაზა შავაძე (74, აჭარაძ, სერგო ნინუა (84, ქუთაისიძ, მზეჭაბუკ ჯიქია (96, ხობიძ, დიტო ჯავახაშვილი (მძიმე წონა, აჭარაძ.

**თავისუფალი ჭიდაობა:** გივი დავიდოვი (50, საჩხერეძ, მურთაზ კვესაძე (55, ქუთაისიძ, გიორგი მაყიშვილი (60, გორიძ, ცოტნე ბარამიძე (66, გორიძ, თორნიკე სვანიძე (74, თბილისიძ, ბექა ჭელიძე (84, თბილისიძ, დავით მოძმანაშვილი (96, აფხაზეთიძ, გიორგი ნიკურაძე (მძიმე წონა, თბილისიძ.

## მუნდიალ — 2006

### განვაგრძობთ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა წარდგენას

# 23. ავსტრალია

**ავსტრალიელები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ერთხელ მონაწილეობდნენ — 1974 წელს. ბუკმეკერების ფსონი დღეისათვის — 126.00.**

„მწვანე კონტინენტის“ შვილები ემზადებიან მომავალი ფორუმისთვის. უპირველეს ყოვლისა, მათ ნაკრების მწვრთნელად მიიწვიეს განთქმული ჰოლანდიელი სპეციალისტი გუუს ჰიდინკი, რომელსაც ფეხბურთის სამყაროში „რკინის მკვნეტელის“ სახელი აქვს მოხვეჭილი. ყველას კარგად ახსოვს მისი ფანტასტიკური წარმატება 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, როცა არც ისე ძლიერად მიჩნეული კორეის გუნდი ნახევარფინალში გაიყვანა, ამას მაშინ, შეიძლება ითქვას, არავინ ელოდა.

წინასწარი თამაშების საკმაოდ იოლად მოგების შემდეგ ავსტრალიელებს ფინალში გასასვლელად ორი გადამწყვეტი მატჩი ელოდათ ურუგვაის ნაკრებთან, რომელიც სამხრეთამერიკულ ზონაში მეხუთე ადგილზე გავიდა. საინტერესოა, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ამავე მეტოქეებმა იგივე ადგილები დაიკავეს. მაშინ დამატებით მატჩებში ურუგვაელებმა გაიმარჯვეს, ამჯერად კი ავსტრალიელებმა რევანში აიღეს.



ნაკრების ლიდერი ჰარი კიუელი ინგლისის „ლივერპულში“ თამაშობს. ბოლო დროს იგი დაშავებული იყო, მაგრამ გამოჯანმრთელდა და „მუნდიალზე“ თანამემამულე გულშემატკივართა გახარებას შეეცდება.

## ორბიტაზეა

### ხულიგნებმა ფეხბურთი აკრძალინეს

**სადღეისოდ ფეხბურთზე სიარული სრულიად უსაფრთხო როდია. სამწუხაროდ, იშვიათი არ არის ამ დიდი საერთო-სახალხო თამაშის მონაწილეთა თუ გულშემატკივართა დაღუპვის შემთხვევები. მაგალითად, ურუგვაის კლუბის „ჩეროს“ თაყვანისმცემელის სიკვდილით დასრულდა „პენიაროლის“ გულშემატკივართა თავდასხმა. მსხვერპლი კი უთანაბრო ბრძოლის შედეგია.**



35 წლის ჰექტორ და კუნიას ოჯახის გახარება უნდოდა, როცა მშვიდ კვირა-საღამოს ცოლ-შვილი საყვარელი გუნდის „ჩეროს“ საქომაგოდ წაიყვანა სტადიონზე. ავტობუსის გაჩერებაზე სამეულს თავს დაესხა „პენიაროლიის“ ათზე მეტი გულშემატკივარი. ხულიგნებმა უმოწყალოდ სცემეს ოჯახის უფროსი, რომელიც იქვე, ცოლ-შვილის თვალწინ გარდაიცვალა.

ურუგვაის ხელისუფლებამ ფეხბურთის ხულიგანთა ასალაგმავად მკაცრი ზომების გამოყენება აღუთქვა შეშფოთებულ მოსახლეობას, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ კი შეაჩერა ჩემპიონატის მსვლელობა, იქამდე, სანამ სამართალდამცავი ორგანოები არ უზრუნველყოფენ უსაფრთხოების სათანადო ზომებს როგორც სტადიონებზე, ისე მის გარეთ.

თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ხულიგნური გამოხდომები მხოლოდ ურუგვაიში ხდება, ეს სენი ყველგანაა მოდებული, სადაც ფეხბურთს თამაშობენ, სამწუხაროდ, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს.

### ლამაზმანმა გაშიშვლება გადადო

**ცოტა ხანს ჩრდილში ყოფნის შემდეგ ისევ შეგვახსენა თავი იტალიაში მცხოვრებმა უნგრელმა მსახიობმა ქალმა ევა ხენგერმა. შარშან ის „ტორინოს“ გულშემატკივრებს დაპირდა, რომ, თუკი მათი საყვარელი გუნდი A სერიაში დაბრუნდებოდა, საქვეყნოდ გაშიშვლდებოდა.**

კლუბმა თითქოს შეასრულა ამოცანა და გულშემატკივრებიც პიკანტური სანახაობის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ ფეხბურთის ჩინოვნიკებმა ყველაფერი „წყალში ჩაუყარეს“. თურმე კლუბი გაკოტრებულა. „ტორინოს“ საბანკო ანგარიშების შემოწმებისას კი აღმოჩნდა, რომ საგარანტიო ჩეკი ყალბი იყო. ლამაზმანმა გაშიშვლება გადადო.

ახლა ხენგერი ბულვარული გაზეთების ფურცლებზე ბრწყინავს, მონაწილეობს რეალიტ-შოუს „უფროსი ძმის“ იტალიურ ვერსიაში.

კოლეგებთან ევა ძირითადად ფეხბურთზე და „ტორინოზე“ საუბრობს, რითაც ძალზე აოცებს მამაკაცებს, პორნო-ეროტიკულ ფილმებში კი მხოლოდ თავის ქმართან ერთად მონაწილეობს.



თარიღი

***იგი არის საქართველოს უახლეს ისტორიაში ხიდებისა და გვირაბების მშენებლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დიდოსტატი მეხიდე-ინჟინერი, ბატონი ბორის მელქისედეკის ძე ჭილვარია.***
***— მეორედ რომ დავიბადო ამ ქვეყნად, კვლავ ხიდების აღმშენებლობას შევალევ მთელ შეგნებულ ცხოვრებასო, — განაცხადა ბატონმა ბორისმა მის მიერ განვლილი ცხოვრების 75-ე წლის გადასახედიდან.***

# ხიდების დიდოსტატი, კაცობაში – ეტალონი

**აი, ვინ არის კარგი ყმა, მოხსაგონარი ქებითა! ვაჟა**

შტრიხები პროფესიული ცხოვრებიდან: მხოლოდ დედის (ქალბატონ გალინა ცხვედიანისძ ლოცვაკურთხევა იყო მისი მფარველი ანგელოზი, როცა თბილისის სატრანსპორტო-სარკინიგზო ინსტიტუტის ხიდებისა და გვირაბების ფაკულტეტის კურსდამთავრებული, მამით ობოლი (იგი სამამულო ომში დაიღუპაძ, 1953 წელს განაწილებით დაადგა რუსეთის შორეულ ტრამალებისკენ მიმავალ გზას თათრეთის ასსრ, აგრისპრონინო-სურგუტის რკინიგზის მშენებლობაზე ოსტატად გამწესებული.

ვინ იყო რაჭის ულამაზეს სოფელ ჭრებალოში აღზრდილი, პირტიტველა ბიჭის პატრონი და მეურვე რუსეთის ამ უკიდეგანო სივრცეებსა და სტეპებში? პასუხი ერთია: უფლისაგან ნაბოძები ნიჭი, მაძიებელი ბუნება, დასახული მიზნის მიღწევისათვის დაუოკებელი სწრაფვა. ბავშვობა ოცნების — ხიდების მშენებლობის ცოდნის შეძენის დაუძლეველი სურვილი, მუხლჩაუხრელი შრომა, ფიზიკური და სულიერი გამძლეობა, მეგობრებისა და გაჭირვებულის გატანის ადამიანური თვისება, თავგანწირვა, კრიტიკულ სიტუაციებში პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, გულმოწყალება, ცოცხალი მაგალითის ძალა, კოლექტივის გაძღოლის გამჭრიახი უნარი, საკუთარი პროფესიის (ხიდმშენებლობისძ თეორიის საფუძვლებისა და პრაქტიკული გამოცდილების მუდმივი შერწყმა, მისი რეალიზაციის გზების ძიება და ბევრი სხვა, რაც შეუმჩნეველი არ რჩებოდა წლების მანძილზე ამ დარგის კეთილგონიერ და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს საკავშირო სატრანსპორტო სამინისტროს მრავალათასიან კოლექტივში.

და აღიმართა თანდათან ხიდები, როგორც ნიშანსვეტები, ბატონ ბორია ჭილვარიას — ქართველი კაცის ნიჭიერებისა და ფანტაზიის წარმომჩენები, სტრატეგიული დანიშნულების: სარკინიგზო, საავტომობილო, საქალაქო მნიშვნელობის დიდი და პატარა ხიდები, ვიადუკები, გზასატარები, თოვლმჭრელები, ზვავსაწინააღმდეგო გალერეები, ვანტური ხიდები, გზაგამტარები და ესტაკადები, სამდინარო, საზღვაო-საჰაერო ტრანსპორტის მისადგომები, ე. წ. პირსები და ნაგებობები; სურგუტში, ზაპოროჟიეში, ყაზანში, ვლადიმირში, გორკში, როსტოვში, ბატაისკში, სტავროპოლში, პიატიგორსკში, დაღესტანში, აზერბაიჯანში, სამხრეთ კავკასიაში და ა. შ.

500-ზე მეტი ხიდი ამშვენებს ბატონ ბორია ჭილვარიას პირად შემოქმედებას. 1000-ზე მეტი ხიდი და ნაგებობა, მისი უშუალო ზედამხედველობით აღიმართა თითქმის ყოფილი საბჭოეთის ნახევარზე, არქიტექტურულად უზადო დიზაინით, ტექნოლოგიური სიახლეებით განსაცვიფრებელი და კონსტრუქციული გადაწყვეტებით აღფრთოვანებაში რომ მოჰყავდა სახელმწიფო საექსპერტო კომისიები. ყოველი მათგანი უმაღლესი შეფასებით არის მიღებული, მდგრადი, გამძლე და ექსპლუატაციისათვის საიმედო. უკვე ოთხი ათეული წელია, არც ერთი მათგანი არ შერყეულა, არ დანგრეულა და არ დაინგრევაო, — აცხადებს ბატონი ბორია.

სამამულო ხიდმშენებლობის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის საკავშირო უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში, რომელიც საკავშირო ხიდმშენის ტრესტის დაარსების 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნდა, ჩამოთვლილია ქვეყნის უმაღლესი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა სიები: მათგან 15-ს მიენიჭა სახელმწიფო პრემია, მათ შორის არის ბორის ჭილვარია. 29 პირს მიენიჭა საკავშირო მინისტრთა საბჭოს პრემია და ასევე ბატონ ბორისსაც. 71 პირს რუსეთის ფედერაციისა და მოკავშირე რესპუბლიკების დამსახურებული მშენებლის უმაღლესი წოდება, რომელთა შორის არის ბორის ჭილვარია. მას მინიჭებული აქვს: ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, ხალხთა მეგობრობის ორდენი, ორდენი შრომითი მამაცობისათვის, საპატიო ნიშნის ორდენი, სომხეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი, დაღესტნის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი, საბჭოთა კავშირის ღირსების ორდენი, მედალი შრომითი მამაცობისათვის, სატრანსპორტო ნაგებობათა „ღირსეული მშენებლის“, „საქართველოს საპატიო რკინიგზელის“ წოდებები. იგი არის ლაურეატისა და საპატიო დიპლომების მფლობელი. იყო ცალკეული ქალაქებისა და რეგიონების, ადგილობრივი ორგანოებისა თუ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენების, საკავშირო კომიტეტის მიერ გამოცემული, საავტორო რწმუნების დიპლომის ლაურეატი...

ეს არის არასრული სია ბატონ ბორიას ღირსებისა და დამსახურების, თავდადებული შრომის და კეთილი საქმიანობის წარმომჩენი. ამის დასტურია, მისი მიწვევები — ინგლისში, შოტლანდიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ამერიკაში, შვეციაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში და ა. შ. ღმერთო, რამდენი სიკეთე და ძალა დაუნჯებულა ბორის ჭილვარიას პიროვნებაში, რა არ შეძლებია ამ ერთ კაცს, დაბადებულს კეთილი საქმეებისათვის... თუმცა, ეს მხოლოდ აისბერგის ხილული ნაწილია. ახლა თვალი გადავავლოთ აისბერგის უხილავ ნაწილს და მთელ მის კეთილშობილებას, მის უსაზღვრო ადამიანურ ნაწილს, თვალს ვერ გაუსწორებ.

საბჭოთა სინამდვილეში გაშენებულ საუკეთესო ხიდებს შორის, რომლებიც მსოფლიო სტანდარტების ეტალონად გვევლინებიან, საკავშირო სატრანსპორტო სამინისტროს საიუბილეო გამოცემათა ჩამონათვალში, ილუსტრირებულია ბატონ ბორია ჭილვარიას მიერ ვლადიმირში მდინარე კლიაზმაზე აშენებული 410 მეტრი სიგრძის ავტოსატრანსპორტო ხიდი, 1333 მეტრის სიგრძის უნიკალური ხიდი-ესტაკადა ხოსტა — კუდეპსის მონაკვეთში. გზაგამტარი ბატაისკის შემოვლით პერიმეტრზე, უნიკალური თავისი კონსტრუქციული გადაწყვეტითა და დიზაინით ვიადუკი-აგურა-ადლერის ავტოსატრანსპორტო მაგისტრალზე. ასევე აღსანიშნავია, უნიკალური ნაგებობა — 300 მეტრის სიგრძის ვიადუკი კიზინტერის ბორცვის გავლით, დონის როსტოვში... და ვინ ჩამოთვლის კიდევ რა შედევრები ამშვენებს დიდი მამულიშვილის მდიდარ ბიოგრაფიას, ხიდმშენებლობისა და გვირაბმშენებლობის დარგში.

70-იანი წლებიდან მოყოლებული ბატონი ბორისი საბჭოთა კავშირის სატრანსპორტო-სამშენებლო სისტემის სამეცნიერო-საინჟინრო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკადრო კორპუსის ელიტის თვალში უზარმაზარი ავტორიტეტით (თვით პირადად ბრეჟნევის ჩათვლითძ სარგებლობდა.

საქმემან შენმა გამოგაჩინოსო, ნათქვამია და ამ გამორჩენილ და ღირსეულ ადამიანს, საკავშირო სატრანსპორტო სამინისტროს გადაწყვეტილებით დაევალა კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცის ხიდმშენებლობისა და გვირაბმშენებლობის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პოლიტიკის მართვა. გაუხსნეს ჯერ 1967 ხიდმშენის №39 რაზმი, ხოლო შემდეგ საკავშირო ხიდმშენის №12 ტრესტი, რომლის საწყის კაპიტალს 40 მილიონი მანეთი შეადგენდა 3000-ზე მეტი მუშა და მოსამსახურე ასრულებდა ბატონ ბორისის ხელმძღვანელობით ურთულეს სამუშაოებს.

...და დაიწყო ბორის ჭილვარიას ახალი ცხოვრება 23 წლის რუსეთის სივრცეებიდან ამიერ და იმიერკავკასიის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე გადმონაცვლებით, კრასნოდარი, სტავროპოლი, ადიღე, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩერქეზეთი, ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი, დაღესტანი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. ახლა კი, ბატონ ბორიას მიეცა თავისი მშობლიური ქვეყნისათვის სიკეთის კეთების შესაძლებლობა. იგი, თითქმის 30 წელიწადია, როგორც ტრესტის მმართველი და შემდგომ სს „ხიდმშენის“ პრეზიდენტი, განსაცვიფრებელი შემართებით უძღვება ამ საქმეს.

...და აღიმართა თბილისში საინჟინრო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები: ვახუშტის სახელობის ხიდი, დიღომ-გლდანის შემაერთებელი 650 მეტრი სიგრძის ავტოსატრანსპორტო ხიდი, ძვირფასი საჩუქარი თბილისელებისათვის, ახალი უნივერსიტეტის სტუდენტთა ქალაქთან შემაერთებელი ვანტური ხიდი — მდინარე ვერეზე, იგი რიგით მეოთხეა ყოფილ იმპერიაში და უნიკალური საინჟინრო-საპროექტო დაგეგმარებითა და კონსტრუქციული გადაწყვეტით, ახალი ხიდების, ესტაკადებისა და გზაგამტარების კომპლექსი დიღომი-გლდანი-თემქის შემაერთებელ სატრანსპორტო კვანძზე, ულამაზესი დიზაინისა, არქიტექტურული იერ-სახის მრავალი ხიდი-ესტაკადები მტკვრის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სანაპიროებზე, ბარათაშვილის შესანიშნავი საავტომობილო ხიდი, მინდელის სახ. ხიდი და ბევრი სხვა. 200 მეტრის სიგრძის ორხაზიანი სარკინიგზო ხიდი მდინარე რიონზე, ასევე 300 მეტრი სიგრძის ახალი სარკინიგზო ხიდი, ასევე ორხაზიანი მდინარე რიონზე. ამჟერად სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნარში, რომელიც უახლოეს წელიწადში დასრულდება. ხიდი მდინარე ხრამზე — ე. წ. წითელი ხიდი აზერბაიჯანის საზღვართან (რომლის გახსნასთან დაკავშირებით ბატონი ბორის ჭილვარია დაჯილდოვდა ღირსების ორდენითძ.

ბევრმა არ იცის, რომ სამსართულიანი ესტაკადა თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, სწორედ ბ-ნ ბორის ჭილვარიას პირად ანგარიშზე არსებული უნიკალური ხიდებისა და ნაგებობის ნუსხას შეადგენს. უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა „ხიდმშენის“ მძლავრი საწარმოო ბაზა, მრავალპროფილიანი საწარმოო კომბინატი, მექანიზაციის სამმართველო, ბეტონის ქარხნები, ინერტული მასალების, მსუბუქ-შემავსებლების საკარიერო მეურნეობები. „ხიდმშენი“ დაკომპლექტებულია ათეული წლების მანძილზე სწორედ ბატონ ბორია ჭილვარიას მიერ აღზრდილი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით, რომელთაც სატრანსპორტო, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის დიდი გამოცდილება აქვთ, სწორედ ისინი ხელმძღვანელობენ დღეს ამ ურთულეს და უაღრესად საჭირო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის „შპს ხიდმშენის“ მრავალმხრივ საქმიანობას. მათი ხელმძღვანელობით „ხიდმშენს“ შესწევს სრული უნარი, განახორციელოს ნებისმიერი სირთულის ობიექტების სწრაფად, ხარისხიანად და თანამედროვე დონეზე დაპროექტება დამკვეთისათვის მისაღებ პირობებში, თანამედროვე კონსტრუქციებისა და ტექნოლოგიების გამოყენება, აღდგენა და რემონტი მოძრაობის შეუწყვეტლივ. მშენებლობის სწორი ორგანიზაცია გარემო პირობების გათვალისწინებით, არატრადიციული მეთოდების გამოყენება, ყოველივე ზემოჩამოთვლილის ფონზე თავის ძირითად საქმიანობაში „ხიდმშენს“ ბ-ნ ბორის ჭილვარიას ხელმძღვანელობით აქვს სპეციფიკურად სტრატეგიული მიმართულება: სარკინიგზო, საავტომობილო ხიდების, საქალაქო სატრანსპორტო კვანძების, გზაგამტარების, ესტაკადების, ნაპირგამაგრების, მათ შორის საზღვაო და სხვა საინჟინრო ნაგებობების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ყოველმხრივი შესაძლებლობა. მას აქვს კავშირი რუსეთისა და სხვა ქვეყნების, მათ შორის ახლო საზღვარგარეთის ხიდების მშენებელ სპეციალიზებულ მსხვილ ორგანიზაციებთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ამიერ და იმიერკავკასიის ხიდმშენებელთა 3000-იან კოლექტივში მრავალი ათეული მათგანი დაოსტატდა, ჩამოყალიბდა და ახლა სათავეში უდგას თავისი ქვეყნის, კუთხის, ავტონომიის თუ რეგიონის ხიდმშენებლობის ურთულეს და საპასუხისმგებლო საქმეს. ისინი სწორედ საქართველოში საკავშირო „ხიდმშენის“ №12 ტრესტში ბატონი ბორისის ხელმძღვანელობით ეზიარნენ მათი აღმზრდელის უზარმაზარ პროფესიულ გამოცდილებასა და ავტორიტეტს კრასნოდარში, სტავროპოლში, დაღესტანში, აზერბაიჯანში, სომხეთში და სხვაგან. ბატონ ბორის ჭილვარიას, როგორც ხიდმშენებლობის დიდოსტატის და უზადო პიროვნული ღირსების დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი,



რომ სწორედ მასთან პირადი ინიციატივით ხშირი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა საკავშირო სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრს ვ. ნ. ბრეჟნევს, რომელიც რამდენჯერმე იყო ჩამოსული პირადად ბატონ ბორის ჭილვარიასთან მის საყვარელ რაჭაში, სოფელ ჭრებალოში და არაერთი სასიამოვნო მოგონებებით დატვირთული დღესაც ბედნიერად თვლის თავის თავს ამ ურთიერთობათა გამო. სწორედ მას აჩვენა ბატონმა ბორიამ ჭრებალოში ყოფნის დროს ის ადგილი, სადაც ადიდებულმა რიონმა ხიდი ჩაანგრია და შიგ მისი თანასოფლელები ჩაიტანა. ამის მნახველმა შვიდი წლის ბავშვმა, რომელმაც მძიმედ განიცადა მომხდარი ტრაგედია, საკუთარ თავს აღუთქვა, რომ მთელ ცხოვრებას ხიდების მშენებლობას შეალევდა, თანაც ისეთი ხიდებისა, რომლებიც არასდროს ჩაინგრეოდა. ბატონმა ბორიამ თავისი ბავშვობის ოცნება აღასრულა კიდეც. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ არანაკლები სიკეთე და მადლი გაუცია უშურველად ბატონ ბორისს სრულიად უცხო და უცნობი ადამიანებისათვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, იგი იყო დიდი მეცენატი ქართული ფეხბურთისა და ქართველი სპორტსმენებისათვის, ქართველი მსახიობებისა და კულტურის მოღვაწეების, მეცნიერების, ექიმების და მრავალ სხვა დარგში დასაქმებული თანამემამულეებისათვის, რომელთაც არაერთხელ უგრძვნიათ მისი უხვი კაცთმოყვარული თვისება და მგრძნობიარე გული. გული, რომელიც სამუდამოდ დაუმძიმა ცხოვრების ულმობელმა კანონებმა, როცა ერთადერთი ვაჟიშვილი, იურისტი გია ჭილვარია ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა. მაგრამ მას ჰყავს ორი ჩინებულად აღზრდილი შვილიშვილი, ორივე ბაბუების მოსახელეები ბორის გიორგის ძე და ზურაბ გიორგის ძე ჭილვარიები, მოსიყვარულე მეუღლე ქალბატონი ჟუჟუნა ჯაფარიძე და ოჯახის წამყვანი დიასახლისი, ნიჭიერი მუსიკოსი და უკეთილშობილესი რძალი — ეკა ჩიქოვანი, რომელიც უნარიანად უძღვება შვილების აღზრდას, ოჯახურ მეურნეობას, იმ დიდ მემკვიდრეობას, რაც ბატონ ბორის ჭილვარიას სახელს და ავტორიტეტს ახლავს. ეკა ჩიქოვანი ცნობილი მუსიკოსი, აღმზრდელი ახალგაზრდა თაობის, მაღალი პროფესიონალური ღირსებებით დაჯილდოებული ქალბატონი გახლავთ.

ბატონ ბორის ჭილვარიას პროფესიულ გზას დაადგა მისი უფროსი შვილიშვილი, მისივე თანამოსახელე ბორის ჭილვარია. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი არანაკლები ღირსებით და პატივით შეძლებს ბაბუის მიერ ხიდმშენებლობაში შექმნილი დიდი ტრადიციების გაგრძელებას.

წლები მიდის, ბატონ ბორისს თმებში ვერცხლის ფერი გაჩნდა, იგი შემოდგომის სეზონშია. მას შეუძლია თამამად გაიმეოროს გალაკტიონის სიტყვები, რომლებიც დიდმა პოეტმა თავის ხანდაზმულ ასაკს მიუძღვნა.

**ამ ჩემს თმებში ვერცხლის**
**ჩრდილებს**
**სიბერის დრო აქსოვს,**
**არ ვემდური სიყმაწვილეს,**
**ის მე კარგი მახსოვს,**
**და არც შიში გაორების**
**არ მიგრძვნია მწარე,**
**მე ხომ მთელი გზა ცხოვრების**
**ასე გავატარე.**

ღმერთმა ჯანმრთელად, სიკეთით და სიყვარულით ატაროს ცხოვრების დარჩენილ დროში ქვეყნისა და ერის წინაშე ვალმოხდილი ქართველი ხიდმშენებლობის პატრიარქი, დიდოსტატი მეხიდე-ინჟინერი ბატონი ბორის ჭილვარია, რომლის წინაშეც თავს ვხრით მადლიერების გრძნობით აღვსილი მისი კოლეგები, აღზრდილები და მეგობრები.

**კოლეგები, აღზრდილები, მეგობრები.**

◎ შეუცნობელი

### ვასილი დათვის გვარიდან

**იანვრის შუა რიცხვებში ხანტები ტრადიციისამებრ შამანთან ერთად ვერტმფრენით ერთი კვირით ჩადიან სალოცავთან. შამანს ტელეფონით დავუკავშირდი და ვკითხე, რა უნდა წამეღო თან მგზავრობისას. „ჯერ ერთი თავშალი, სახე აუცილებლად დაფარული უნდა გქონდეთ. გარდა ამისა, ქალს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თან სამი მეტრი წითელი ქსოვილი – ქალთა ქალღმერთისთვის – „მჯდომარესთვის“. და კიდევ სულების გასამასპინძლებლად – პური და ცოტა არაყი. ისე კი, რაც ლოცვისთვის გჭირდება, ის წამოიღე, მართლმადიდებლებს და კერპთაყვანისმცემლებს ხომ ერთი და იგივე ღმერთები ჰყავთ“, – მიპასუხა შამანმა.**



# სულებს პური და არაყი უყვართ

ერთი შეხედვით, ვასილი კნიაზიანოვი სხვა ხანტებისგან არაფრით განსხვავდება. ძველი ცისფერი მალიცა (ირმის ტყავის პერანგია, აჩეჩილი თმა, ფეხზე – გაცვეთილი კისები). იმაზე, რომ ის „სულების რჩეულია“, მხოლოდ ის მიუთითებდა, რომ ვასილი კოჭლობდა.

„დილით ადრიანად გავემზადე, ყველას დროულად უნდა მოვუყაროთ თავი, თორემ ზოგჯერ ხანტები ტყიდან რომ ჩამოდიან, „დასვენებას“ იწყებენ და თანაც ისე, რომ ყველაფერი ავიწყდებათ“, – ამოიოხრა ვასილმა. შამანი მართალი ყოფილა: დილით ათი კაციდან ვერტმფრენის მოედანთან ნახევარი თუ მოვიდა, ვერც სამსხვერპლო ირემმა „მოაღწია“. „არ გეგონოს, ტყეში ხანტები სულ არ სვამენ, არ სცალიათ. ხოლო როდესაც სოფელში ჩამოდიან ნათესავებთან, თავს ვეღარ იკავებენ და მაშინ ვეღარაფერს გააწყობ“, – თავს იმართლებდა ვასილი. არც ვერტმფრენი იყო, მენავთობეებს არ მიუციათ, თუმცა ხანტებს ჯერ კიდევ ნოემბერში შეუკვეთავათ. გუნება წამიხდა. „ტყუილად დარდობ, სულერთია, წმინდა საალაფოში ქალებს მაინც არ უშვებენ, მათ აკრძალული აქვთ სულების ხილვა. მე შენ ისედაც მოგიყვები და გაჩვენებ, რისი ჩვენებაც შეიძლება“ – დამაწყნარა შამანმა.

დასამშვიდებლად კი ადგილობრივ მუზეუმში წამიყვანა ძმის საჩვენებლად. „მე ხომ დათვის გვარისა ვარ და ის ჩემი უახლოესი ნათესავია, – მითხრა ვასილმა და დათვის ფიტულს მიუახლოვდა. ის, რასაც დარვინი ადამიანის მაიმუნისგან წარმოშობის შესახებ ამბობდა – მისი ზღაპარია. ჩვენ კი ჩვენი ზღაპარი გვაქვს ამის შესახებ. ოდესღაც მშობლებმა საკუთარი პატარა ქალიშვილი გაანაწყენეს და გოგონა ტყეში გაიქცა, სადაც კენკრად – წითელ მოცვად გადაიქცა. ის დედა დათვმა შეჭამა, რომელსაც ზამთარში მონადირეები მიადგნენ. ყური მიუგდეს და გაიგონეს, რომ ბუნაგში კიდევ ვიღაც მოძრაობდა. შეიხედეს და დაინახეს პატარა გოგონა, წამოიყვანეს ის, გაზარდეს და გაათხოვეს. მას ადამიანი – დათვები ეყოლა და სწორედ მათგან წამოვიდა ჩემი გვარი, რომელიც სპეციალურად დათვზე არ ნადირობს. წმინდა მხეცი კი თვითონ მოდის სტუმრად და ნებას რთავს, რომ ესროლონ მას.

მუზეუმიდან რომ გამოვედით, „მჯდომარესთვის“ მოსაკითხი შევიძინეთ და სოფლის ბოლოსკენ, ტრობაგონის ნაპირისკენ გავემართეთ. „ხანტიურად ამ მდინარის სახელი ასე ჟღერს – ტორუმიაგინ, ტორუმის, უზენაესი ღმერთის მდინარე“, – ამიხსნა ვასილმა. იქ, ქვიან ჩქერთან, გალმა ნაპირზე არის წმინდა ადგილი, სადაც შეიძლება სულებს ელაპარაკო და მოსაკითხი მიართვა.

შუა მდინარეს რომ მივაღწიეთ, შამანმა მთხოვა, განზე გავმდგარიყავი. თოვლი მოასწორა, ქსოვილი გაშალა, მომცრო ნაჭერი მოაგლიჯა და მე მომცა: „ეს შენ, იღბლიანობისთვის“. მერე ტილო თოვლზე გაფინა და ცენტრში არყიანი ბოთლი ჩაასო. მოულოდნელად მან თავი მაღლა აილო და ხმამაღლა დაიყვირა: „ტორუმ!“ და ლოცვების ხანტიურად წამღერებას მოჰყვა, ლოცვა ექოდ ხმიანობდა ტყეში. სიმღერების შუალედებში, შამანი ხშირ-ხშირად ხრიდა თავს ტყის პირის მხარეს და საკუთარი ღერძის გარშემო ტრიალდებოდა. მერე ვასილმა ბოთლი მოიყუდა, ერთი ყლუპი მოსვა და მე მომაწოდა, მეც მოვსვი. მერე მან ქსოვილი თოვლიდან აიღო, ბოთლი კი ისევ იმ ადგილზე ჩაასო. „ახლა მე ტყეში წავალ და ხეზე მივაბამ „მჯდომარესთვის“. შენი იქ წასვლა არ შეიძლება, ამას მხოლოდ მამაკაცები აკეთებენ. აქ იყავი, მანამდე შეგიძლია ადგილობრივ სულებს გამოელაპარაკო, ილოცო, როგორც შეგიძლია და სთხოვო, რაც გჭირდება. „მჯდომარე“ ხომ რუსებისთვის ღვთისმშობელია“.

უკან რომ დაბრუნდა, ვასილმა ისევ მოიყუდა ბოთლი, გაწმენდილ ადგილს მზის მსვლელობის მიხედვით შემოუარა, მიბრძანა კიდევ ერთი ყლუპი დამელია და ირგვლივ წრე შემომევლო. მერე ჩვენ ტყისკენ შევბრუნდით რამდენჯერმე ერთად დავუკარით თავი და უკანმოუხედავად დავტოვეთ იქაურობა.

### 200 წლის შემდეგ მსოფლიოში ერთიანი რელიგია იქნება

**ძლიერი შამანი იყო ვოლკი, ვასილის პაპა, რომელიც კაზიმაზე ცხოვრობდა, მაგრამ 30-იან წლებში ის იძულებული გახდა იუგანზე გაქცევით ეშველა თავისთვის, გვარი შეეცვალა და მთელი სიცოცხლის მანძილზე ემალა თავისი უნარები. მე დავინტერესდი: „ეს კაზიმის შამანთა აჯანყების გამო მოხდა?“ ვასილმა გაოცებით შემომხედა: „შენ ეს საიდან იცი?“**

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაწყებული ციმბირში რელიგიური კულტების აღმოსაფხვრელად სადამსჯელო ექსპედიციები იგზავნებოდა. სალოცავებსა და კერპებს წვავდნენ, შამანებს ციხეებში სვამდნენ და ხვრეტდნენ. უფროსი თაობების წარმომადგენლებს ახსოვთ სამოდიური ჯგუფის ხალხის პიაკების კაზიმური ჯანყი. მისი ჩახშობის დროს ყველა ბელადი და შამანი გაანადგურეს, ცოცხლად გადარჩენილი პიაკები მიმოიფანტნენ, შეიცვალეს ენა, გვარები და ნენცები დაირქვეს. შიში რომ არ განელებულიყო, დროდადრო საჩვენებელი დახვრეტები ტარდებოდა. ერთ-ერთმა ხანდაზმულმა ხანტმა სახელად ნიკოლაიმ 90-იან წლებში არქეოლოგებს საიდუმლო გაანდო და უამბო, როგორ შეყარეს 1952 წელს ხანტები შამანების საჩვენებელი დახვრეტის საყურებლად.

ვასილის პაპამ კი უამბო შვილებს აჯანყების შესახებ, მაგრამ ამის შესახებ ლაპარაკის ნება მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ დართო. „პაპაჩემი ძლიერი იყო, წითლების თვალის ახვევა შეეძლო და ცოცხალი დატოვეს, – ამბობს ვასილი – მან გაქცევა მოახერხა. დედაჩემი პაპა ვოლკის ოჯახში მე-13 შვილი იყო, მისი ქმარიც შამანების გვარიდან იყო. ორი წლის რომ ვიყავი, მივხვდი, რომ შემეძლო ხელებით ტკივილი მომეხსნა ადამიანისთვის და ხისთვის ან წყლისთვის გადამეცა იგი. დიდხანს არ მესმოდა ჩემი ძალა, არ მჯეროდა, მეშინოდა კიდეც. სკოლა დავამთავრე, ჯარშიც ვიმსახურე. 24 წლის ვარ, როდესაც პაპამ თავისი შთამომავლების შემოწმებისას ჩემში ძალა აღმოაჩინა, მას შემდეგ მფარველი სულები ყველგან თან მახლავან. არსებობს უზენაესი სულიც, მისი სახელი ხმამაღლა არ წარმოითქმის. მე „თეთრ“ შამანად ვითვლები, შემიძლია მხოლოდ „კარგი“ მიმართულებით დავეხმარო ადამიანებს. „შავი“ შამანები შხამასოკოს ჭამენ და მათ შეუძლიათ შავი სულები ბოროტი საქმეებისთვის გამოიყენონ. უფრო ხშირად ადამიანებს ხელის დადებით, ბალახებით ვმკურნალობ, იშვიათად ვმკითხაობ. საკუთარი თავის შამანობა არ შემიძლია.

კაცმა რომ თქვას, შამანი ჩვეულებრივი ადამიანისგან არაფრით განსხვავდება. ადათ-წესებს მას არავინ ასწავლის, ყველაფერი თავისით მოსდის თავში, მოგონებასავით. სულები პირდაპირ იშვიათად ლაპარაკობენ. მათთან საურთიერთობოდ მე აუცილებლად მჭირდება კოცონის ან უბრალოდ სიგარეტის კვამლი. მაშინ ბევრი რამ „მახსენდება“. მახსოვს ჩემი წინა სიცოცხლეები. მახსოვს, როგორ მოვიდნენ აქ ერმაკის კაზაკები: ჩვენ მათ არ ვებრძოდით, პირიქით, ვეხმარებოდით. მახსოვს 1812 წლის ომი: ბოროდინოს ველზე მე ციმბირის „ველური“ ჯარის ქვეითი ჯარისკაცი ვიყავი. საფრანგეთამდე ვერ ჩავაღწიე, შინ დავბრუნდი და სწორედ აქ მომკლეს ჩემიანებმა. უკვე 700 წლის ვარ, ეს ჩემი მერვაასე, ბოლო სიცოცხლეა. ამ სიცოცხლის შემდეგ „მამას“ ვეახლები და მოვუყვები, რა გავაკეთე. თუ სრულ სიმართლეს ვეტყვი, შემიძლია ერთი ამდენი კიდევ ვიცოცხლო, სულ ცოტა რომ ვიცრუო, მორჩა – ეს ბოლოა. სიცოცხლე სულის გამოსაცდელად გვეძლევა, გვეძლევა იმისთვის, რომ წინ ვიაროთ და ღმერთს მივუახლოვდეთ.

წარსულის გარდა, მომავალიც მინახავს, 200 წლის შემდგომი დრო. მაშინ დედამიწაზე ერთიანი სარწმუნოება იქნება: ქრისტიანებს, მუსლიმანებს, კერპთაყვანისმცემლებს ერთი რწმენა ექნებათ. შეიძლება, დიდი ომი მოხდეს – აღმოსავლეთში, იქ, სადაც თბილა. რუსეთი იქ პირდაპირ არ იომებს.

**ამის შემდეგ დედამიწაზე ცხოვრება ბევრად უფრო ადვილი გახდება. სახელმწიფოები დარჩება, მაგრამ საზღვრები შეიცვლება“.**

**ადგილობრივი ხანტები, ვასილზე საუბრისას სიტყვანძუნწობენ: „როცა საჭიროა, გვეხმარება!“ აქ შარლატანებს ვერ იტანენ. ადამიანს, რომელიც პირდება, მაგრამ ვერავის ეხმარება, ყველა ითვალისწუნებს. ისე რომ თავად უნდა გადაწყვიტოთ, დაუჯეროთ თუ არა მოხუც შამანს.**

Аргументы и Факты

◎ იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა, თორემ...

# თქვენთვის, „კუნძულის მოყვარულო“ მილიონერებო

***მილიონერებისთვის ოცნებადაა ქცეული საკუთარი კუნძულის შეძენა. ზღვებსა და ოკეანეებში მიკარგული მიწის პაწაწკინტელა ნაწილი ზღაპრული თანხა ღირს, სამაგიეროდ მათი მფლობელები დაზღვეული არიან ქალაქის ხმაურის, აყალმაყალა მეზობლებისა და პაპარაცებისგან. რამდენიმე დღის წინათ ამერიკულმა საქმიანმა ჟურნალმა Forbes-მა შეადგინა და გამოაქვეყნა ყველაზე ძვირადღირებული კუნძულების რეიტინგი.***



**ნალისებრი კუნძულები (Isla de sa ferradurad ესპანეთი. 39,7 მლნ. დოლარი.**

კუნძულის ფართობი დაახლოებით 6 ჰექტარია. იგი იბიცის ჩრდილოეთით მდებარეობს. თვითმხილველები აღტაცებაში მოდიან თოვლივით თეთრი სახლით, რომელსაც უზარმაზარი სასტუმრო დარბაზი, საოჯახო კინოთეატრი, 14 ადამიანზე გაკუთვნილი სასადილო, რამდენიმე ტერასა და საცურაო აუზი აქვს.

* * *



**პაკატოა (pakatoa Islandd. ახალი ზელანდია. 35 მლნ. დოლარი.**

ხაურაკის ყურეში განლაგებულ კუნძულთა უმრავლესობა ბუნებრივი ნაკრძალია. პაკატოა კი გამონაკლისია. მასზე 38 კოტეჯია განლაგებული. აქვეა გოლფის სათამაშო მოედანი, შესანიშნავი პლაჟი, ჩოგბურთის ორი მინიკორტი, სპორტული დარბაზი და რესტორანი.

* * *



**სერალვო (Cerralvo Islandd. მექსიკა. 35 მლნ. დოლარი.**

ეს უზარმაზარი კუნძული, რომლის ფართობი დაახლოებით 14 ათასი ჰექტარია, მდებარეობს კალიფორნიის ყურეში. მიუხედავად იმისა, რომ კუნძული კეთილმოწყობილი არ არის, მასზე შესაძლებელია რამდენიმე სასტუმროსა და გოლფის მოედნის გაშენება. მის გარშემო წყლის სიღრმე კი თევზაობის საშუალებასაც იძლევა.

* * *

**კარიტასი (Caritas Islandd. აშშ. კონექტიკუტის შტატი. 25 მლნ. დოლარი.**



კუნძულის ყიდვა იმითაცაა ხელსაყრელი მისი მომავალი მფლობელისთვის, რომ იგი მანჰეტენიდან ერთი საათის სავალზეა. კუნძული, რომლის ფართობიც 1,5 ჰექტარია, მატერიკს ვიწრო საავტომობილო გზითაც უკავშირდება. მისი მშვენებაა 1906 წელს აგებული ქვის სასახლე. მასზე მოთავსებულია ორი აუზი, დოკი, ცალკე კოტეჯი სტუმრებისთვის და მშვენიერი ბაღი.

* * *



**ალანის კუნძული (allan Islandd. აშშ. ვაშინგტონის შტატი. 25 მლნ. დოლარი.**

მყიდველი მოგებული დარჩება თუ 118 ჰექტარი ფართობის კუნძულს 44 ცალკეულ მონაკვეთად დაყოფს და შემდეგ თავად გაყიდის. ამჟამად კუნძულზე მხოლოდ ორი სახლი დგას. ერთი ორსაძინებლიანი და აბაზანიანი სახლი და მეორეც კოტეჯი სტუმრებისთვის.

* * *

**ცისფერი ლაგუნა (blue lagoond. ფიჯი. 25 მლნ. დოლარი.**



კუნძული, რომლის სახელწოდებაა „ცისფერი ლაგუნა“, კილომეტრნახევარი სიგრძისაა და მისი საერთო ფართი 90 ჰექტარია. მასზე განლაგებულია 20 მდიდრული ვილა მარმარილოს აბაზანებით, სასადილო პავილიონებით, გოლფის მოედნებითა და დაივინგ-კლუბით. კუნძულის ორ მხარეს თეთრი ქვიშით დაფარული პლაჟებია. კუნძულამდე მისვლა შესაძლებელია როგორც საზღვაო, ასევე საჰაერო გზითაც.

* * *



**წმიდა სტეფანეს კუნძული (Isols Santo Stefanod. იტალია. 24 მლნ. დოლარი.**

ეს არაჩვეულებრივი კუნძული ნეაპოლის დასავლეთით 144 კმ. მანძილზეა. კუნძულის ფართობი 24 ჰექტარია. მასზე აგებულია მე-18 საუკუნის ნალისებური ფორმის სასახლე, რომელიც ოდესღაც ციხე ყოფილა. სასახლის გარდა კუნძულზე პატარა ეკლესია და რამდენიმე სახლიცაა.

# გაზეთზე ხელმოწერის ფასი იაფდება

## გმადლობთ, მკითხველო!

მართლაც დიდი და გულწრფელი მადლობა თქვენ, ძვირფასო მკითხველო, ეკონომიკური შე-ჭირვების მიუხედავად რომ არ ივიწყებთ თქვენს საყვარელ გაზეთს „საქართველოს რეს-პუბლიკას“.

სწორედ ამის გათვალისწინებით და იმის მი-უხედავად, რომ ეკონომიკურად არც ჩვენ გვილ-ხინს, გადავწყვიტეთ, 2006 წლის მეორე კვარ-ტალიდან (1 აპრილიდან) შევამციროთ გაზეთზე ხელმოწერის ფასი. თუ აქამდე „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა ერთი თვით 13 ლა-რი ღირდა, აპრილიდან ეს თანხა 11 ლარს შე-ადგენს (შესაბამისად, სამი თვით – 33 ლარს, ექვსი თვით – 66 ლარს).

საცალო ქსელში გაზეთი კვლავ 50 თეთრი ეღირება.

„საქართველოს რესპუბლიკა“ მუდამ ხალხის, ჩვენი გონიერი, ინტელექტუალური საზოგადო-ების თანამდგომი, სიხარულისა და ჭირ-ვარა-მის გამზიარებელი იქნება.

შეგახსენებთ იმ უწყებებს, სადაც დაუბრკო-ლებლად შეგიძლიებათ ჩვენი გაზეთის გამოწე-რა: „საქპრესა“ (ტელ: 35-51-40), „მაცნე“ (37-40-49), „უწყებანი“ (93-64-72), „პრეს-ექსპრესი“ (96-23-11), „პლანეტა-ფორტე (93-38-73), „ინფო-სერვისი“ (34-09-35), „ელვასერვისი“ (36-35-75).

რაიონებსა და ქალაქებში მიმართეთ „საქპ-რესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაში – კოსტავას ქ. № 14, ტელ: 98-96-32; 899- 797679.

კიდევ ერთი სიახლე:

მკითხველთა თხოვნით „საქართველოს რეს-პუბლიკა“ მარტიდან მცირე, ეგრეთ წოდებუ-ლი A-3 ფორმატით გამოდის, ასე უფრო მოსა-ხერხებელი და ადვილად საკითხავიაო.

ნება თქვენია...

კიდევ ერთხელ გმადლობთ რჩევისა და თა-ნადგომისთვის.

**„სრ“ სარედაქციო კოლეგია**

## საეკლესიო კალენდარი

# წმინდა იოანე IV (ოქროპირი) კათოლიკოსი



**16 მარტს საქართველოს სამოციქუ-ლო ეკლესია იხსენიებს წმინდა იოანე (ოქროპირი) კათოლიკოსს, რომელიც დაახლოებით 980-1001 წლებში განა-გებდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას.**

კათოლიკოს ბასილი III თხზულება-ში, „თხრობაი სასწაულთათვის წმი-დისა და ღმერთშემოსილისა მამისა ში-ოისა“ მოთხრობილია, რომ წმინდა იოანეს მშობლებს, დიდხანს არ ჰყავ-დათ შვილი და წმინდა შიო მღვიმელს ევედრებოდნენ შეოხებას. შვილის შე-ძენის შემდეგ, ღვთისმოშიშმა მშობ-ლებმა შვილი აღსაზრდელად შიო მღვიმის მონასტერში მიაბარეს. სწო-რედ აქ შეიძინა წმინდა იოანემ ის სიწ-მინდე და სიბრძნე, რის გამოც ერმა მას, ოქროპირ კათოლიკოსი უწოდა და, ასე შევიდა იგი საქართველოს სამო-ციქულო ეკლესიის ისტორიაში.

წმინდა იოანე კათოლიკოსი, „რო-მელ ყოველთურთ იქნა სწორ იოანე ოქროპირისა, რომლისა სათნოებანი და საქმენი უკეთუ ვინმეს უნდენ ცნო-ბად მიიღედ ხელად მისთვის აღწე-რილი წიგნი“, საქართველოს სამოცი-ქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ეკლესი-ის ისტორი-აში ცნობი-ლია, მეორე იოანე ოქ-როპირი კა-თოლიკო-სი, რომელ-საც 1033-1049 წლებ-ში ეპყრა საქართვე-ლოს ეკლე-სიის სა-ჭეთმპყრობელის ტახტი. იგი იყო აღ-ზრდილი და მემკვიდრე წმინდა მელ-ქისედეკ კათოლიკოსისა, რომლის ცხოვრებაც ასევე წმინდა იყო, რო-გორც მისი წინამორბედის და შემ-დგომი კათოლიკოსებისა“, ამიტო-მაც, წმინდა იოანე IV და V-ს ხშირად აიგივებენ ერთმანეთთან.

იოანე ოქროპირის კურთხევით ითარგმნებოდა ქართულ ენაზე სამღ-ვდელმსახურო წიგნები, მამათა ცხოვ-რებანი და სწავლებანი.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**



შვილები დავითი, კახა, შვილიშვილი თა-მარა, დები ჟუჟუნა, ნათელა, რძლები ნანა პეტრიაშვილი, ნატა უბილავა, ბიძაშვილი მა-დონა თევზაძე, სიძე ამბაკო ტომარაძე, დის-წულები გია, ნინო, მძახლები გიორგი, ლერა პეტრიაშვილები, რუსუდან მიქავა, ცოლის-დები იზო, თინა, ნინო, ლია, მარინა ჯეირა-ნიშვილები ოჯახებით იუწყებიან

მერაბ დავითის ძე ავალიანის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 16, 17 III 17 სთ, დაკრძალვა 18 III 14 სთ. მის: თბილისი, ყიფშიძის ქ. 16, II კორ-პუსი, I სადარბაზო, ბინა 15.

---

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკური ფაკულ-ტეტის 1953 წლის გამოშვების 548 ჯგუფის სტუდენტები იუწყებიან თანაკურსელის

მერაბ ავალიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

პანაშვიდი 16, 17 III 17 სთ, გამოსვენება ბინიდან ყიფშიძის ქ. № 16, 18 III 14 სთ.

---

ზაირა, ზოია, ჯონი, მანანა, გოგიტა, გიორგი, ნანა, ლალი ქაჯაი-ები, ზაური, კახი ელბაქიძეები, დათო, ელენე გოგილაშვილები ოჯა-ხებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა სამსონის ძე ქაჯაია

---

შპს „ლიბო პლიუს კომპანიას“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყე-ბა, რომ გარდაიცვალა კომპანიის თანამშრომლის ნათელა ციცხვა-იას მამა

სერგო ციცხვაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს საავტომობილო ფედერაცია, ქართველი ავტოსპორ-ტსმენები და კარტინგისტები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი კინოხელოვანი

ირაკლი ონოფრიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი გიორგი, რძალი დინა, შვილიშვილები ქეთი, მიშა მდივნე-ბი, დები ლამარა, ნელი, ვენერა ოჯახებით, ძმა გიური ბერძენაძე ოჯა-ხით, ძმისწულები, დისწულები, მაზლი დადაშ მდივანი ოჯახით, მაზ-ლიშვილები იუწყებიან

ქეთევან ბერძენაძე-მდივნის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 16, 17 III 17 სთ-ზე. დაკრძალვა 18 III 15 სთ-ზე. მისამართი: დოლიძის ქ. №72.

## ლარის კურსი

**15 მარტიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1707 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8275 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1886 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0653 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 2,0060 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4035 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6113 ლარი. |
| თურქული ლირა | 1 | 1,3542 ლარი. |

## დარია თუ ავდარია

**დასავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +2° – +5°, ღამით -1° – -5°.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +2° – +4°, ღამით -2° – +5°.

**თბილისში** – ცვალებადი მოღრუ-ბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: ღამით +3° დღისით +11°.



**ბათუმი** – ღ. +6°, დ. +15°; **სოხუმი** – ღ. +5°, დ. +12°; **ქუთაისი** – ღ. +5°, დ. +11°; **ოზურგეთი** – ღ. +5°, დ. +10°, **ზესტაფონი** – ღ. +4°, დ. +12°; **რუსთავი** – ღ. +3°, დ. +11°; **ფოთი** – ღ. +9°, დ. +14°; **მესტია** – ღ. -6°, დ. +1°; **სტეფანწმინდა** – ღ. -5°, დ. +2°; **თელავი** – ღ. +3°, დ. +9°; **გორი** – ღ. +3°, დ. +8°; **ახალციხე** – ღ. +3°, დ. +8°; **ბორჯომი** – ღ. +3°, დ. +7°; **ცხინვალი** – ღ. +2°, დ. +8°; **სამტრედია** – ღ. +7°, დ. +13°; **ზუგდიდი** – ღ. +5°, დ. +13°; **ჭიათურა** – ღ. +4°, დ. +9°.

## ანეკდოტები

მამა სტუდენტ ვაჟს ეჩხუბება:

– იმის ნაცვლად, რომ თავაუ-ღებლად მეცადინეობდე, სულ გო-გოებს დასდევ.

– აჭარბებ, ასე სულაც არ არის...

– ხმა, კრინტი! ბოლოს და ბოლოს, ვინ არის აქ მამა – მე თუ შენ?

– ორივე, მამი, ორივე...

* * *

ქმარი ნადირობი-დან დაბრუნდა.

– როგორ ინადირე, ძვირფასო? – ეკითხება ცოლი.

– ნორმალურად. ახლა მთელი თვე ხორცს არ ვიყიდით.

– შენ რა, ირემი მოკალი თუ ჯიხვი?

– არა, უბრალოდ მთელი ხელ-ფასი სასმელში დავხარჯე!



* * *

– ცოლი დამეკარგა, იქნებ მაპოვ-ნინოთ, – ეუბნება ტიპი პოლიციის უფროსს.

– კეთილი, შეავ-სეთ ბლანკი და აღ-გვიწერეთ მისი გა-რეგნობა.

– კი, ბატონო, ოღონდ ერთი პი-რობით: როდესაც ჩემ ცოლს იპოვით, ეს ბლანკი არ აჩვე-ნოთ.

* * *

იცხოვრე სწრაფად. მოკვდი ახალგაზრდა! – საქართველოს სა-პენსიო ფონდი.

* * *

ქართველი ხალხი ძუნწი არ არის. იგი ყოველ ჯერზე აძლევს ხელი-სუფლებას ნდობის კრედიტს და მუდამ თვითონ იხდის ამის გამო.

## ინფორმაცია

# ეს უაქციზო სიგარეტი

**ფინანსური პოლიციის სამეგრე-ლოს სამმართველომ უაქციზო სი-გარეტის გადაზიდვის ფაქტზე წი-ნასწარი გამოძიება დაიწყო.**

მისმა თანამშრომლებმა ე.წ „ხორც-კომბინატის“ დასახლების მიმდება-რე ტერიტორიაზე ტრანსპორტი-რებისთვის გამზადებული 1 500 კო-ლოფი უაქციზო სიგარეტი აღმო-აჩინეს. დაწყებულია გამოძიება. უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მფ-ლობელის ვინაობა დგინდება.

**ჯი-ეიჩ-ენი.**

# NON-STOP

## „იმქვეყნიური“ ზარი

**მართლაც დაუჯერებელი შემთხ-ვევა მოხდა სერბეთში. ტოპალოვი-კების ოჯახის უფროსი მძიმე და-ავადებით საავადმყოფოში იწვა. ერთ დღეს მის ქალიშვილს საავად-მყოფოდან დაურეკეს, რომ მამა გარდაიცვალა. დახურული კუბო-თი მიცვალებული სარიტუალო სა-სახლიდან გაასვენეს.**

ის იყო უნდა დაეკრძალათ, რომ ქა-



ლიშვილის მობილური აწკრიალდა. მას... მამა ურეკავდა და საყვედურობ-და, რომ მის სანახავად რატომ არ მი-ვიდნენ. ქალს გული შეუღონდა. ყვე-ლაფერი უცბად გაირკვა. საავადმყო-ფოში გვარები აერიათ და ტოპალო-ვიკებს სხვა მიცვალებული მიუტანეს, მათი ცოცხალი მამა კი საავადმყო-ფოში ელოდა ოჯახის წევრებს.

## მოგებულს ჯერაც ელიან

**უცნობი, რომელმაც ლატარია Powe-rball-ის გათამაშებაში ზღაპრული თანხა – 365 მლნ. დოლარი მოიგო, თანხის მისაღებად არ გამოცხადდა.**

გათამაშება აშშ-ს ქალაქ ლინკოლნში (ნებრასკას შტატი) ჩატარდა. ბანკის თა-ნამშრომლები ეჭვობენ, რომ მოგებულმა ჯერ კიდევ არ იცის თუ რა სიმდიდრის



პატრონია. მან ლატარიის ბილეთი ქალაქის ერთ-ერთ ღამის კლუბში შე-იძინა. საერთოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც მოგებული პიროვნება, სა-ნამ ოფიციალურად არ გააფორმებს იურიდიულ და ფინანსურ საბუთებს მანამ ინკოგნიტოდ რჩება. აშშ-ში ყვე-ლაზე დიდი მოგება ლატარიის გათა-მაშებისას ისტორიაში იყო 363 მლნ. დოლარი, რომელიც 2000 წელს გა-თამაშებულ ჯეკ-პოტში ხვდა წილად ამერიკელ დიასახლისს. ამჟამინდელ გამარჯვებულს შეუძლია თანხა ნა-წილ-ნაწილ გაიტანოს 30 წლის გან-მავლობაში, ან ერთდროულად აიღოს 177 მლნ. დოლარი, რა თქმა უნდა, თუ გამოჩნდა.

## ხუმრობა არ აპატიეს

**საიმონ ტომსონი 41 წლის მამაკა-ცია, მაგრამ ბავშვურ ონავრობას მა-ინც ვერ გადაეჩვია.**

იგი საკუთარი მანქანით ლონდო-ნის ქუჩაზე მიქროდა, სწორედ ამ დროს ხუმრობის ხასიათზე დადგა, ქუჩაში ჩამონტაჟებული ვიდეოკამე-რულისკენ ხელი გაიშვირა და ეკრანს ბრანწი უჩვენა. სახლში მისულს კი პოლიციელები დაადგნენ თავზე. რა თქმა უნდა, იუმორი ვერ გაუგეს და 120 ფუნტით დააჯარიმეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის ქ. №12, ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ელგუჯა ლეჟანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.